ტენესი უილიამსი
ტრამვაი, სახელად „სურვილი“

ინგლისურიდან თარგმნა ლევან ინასარიძემ

მოქმედი პირნი

ბლანშ დდუბუა.

სტელა – მისი და.

სტენლი კოვალსკი – სტელას ქმარი.

მითჩი.

იუნისი.

სთივი.

პაბლო.

ზანგის ქალი.

ექიმი.

ზედამხედველი ქალი.

ახალგაზრდა კაცი – ხელმოწერების შემგროვებელი.

მექსიკელი ქალი.

დამტარებელი.

გამვლელი.

მატროსი.

პირველი სურათი

ორსართულიანი კუთხის სახლი ელისეს მინდვრებზე ნიუ-ორლეანში – მდინარესა და რკინიგზას შორის მოქცეულ ქუჩაზე. ღატაკთა გარეუბანია, თუმცა ამ სიღატაკეში – ამერიკის დიდი ქალაქების გარეუბნებისგან განსხვავებით – სრულიად სხვა, გულის ამაჩუყებელი სილამაზეა. აქ მეტწილად თეთრი, ავდრისგან გახუნებული სახლებია – უცნაური ფრონტონებით, მორყეული კიბეებითა და აივნებით. სახლში ორი ბინაა – მაღლა და დაბლა, იქ მოხვედრა თეთრი, გაცრეცილი კიბითაა შესაძლებელი.

ადრეული მაისის საღამოა, ეს-ესაა ჩამოწვა ბინდი, ჩამუქებულ ცაზე ალაგ-ალაგ გამკრთალი ფირუზისფერი სცენაზე პოეტურ განწყობას ქმნის, თითქოს აქაური საცხოვრისის უღიმღამო ატმოსფეროს გადაფარვას ცდილობს. სანაპირო საწყობების მიღმა მოჩქაფუნე მდინარის თბილი ამონასუნთქი ბანანისა და ყავის სურნელს ერთვის. ნიუ-ორლეანის ამ ნაწილში, ყოველი მეორე სახლიდან ისმის დანჯღრეული პიანინოს თავბრუდამხვევი ჟღარუნი, რომელსაც კუთხის ბარში ზანგი მუსიკოსების დაკვრა ეხმიანება. აქაურებისთვის ცხოვრების მუღამი „ლურჯი პიანინოს“ სასოწარკვეთილ დაკვრაშია.

წინკარში ორი ქალი დგას, თეთრკანიანი და ფერადკანიანი, სუფთა ჰაერზე გრილდებიან. თეთრკანიანი იუნისია, მეორე სართულზე აქვს ბინა ნაქირავები, ზანგის ქალი – უახლოესი სამეზობლოდან. ნიუ-ორლეანი – კოსმოპოლიტი ქალაქია, ძველ გარეუბნებში ერთმანეთის გვერდით საკმაოდ მეგობრულად ცხოვრობენ სხვადასხვა რასის ადამიანები. „ლურჯი“ პიანინოს რიტმები ქუჩის მრავალხმიანობას ერწყმის.

ზანგის ქალი. (იუნისს) ...თურმე, წმინდა ბარნაბამ მწევარს ქალის ალოკვა უბრძანა, ამას კი, ქალს, თავფეხიანად გააცია. ჰოდა, იმავე ღამეს...

გამვლელი. (მატროსს) მარჯვენა მხარე გეჭიროთ და მიაგნებთ. დარაბებზე ბრახუნს გაიგონებთ.

მატროსი. (ზანგის ქალსა და იუნისს) სად არის ბარი „ოთხი ორიანი“?

დამტარებელი. გავიგრილოთ გული...

ზანგის ქალი. ამ თაღლითობაში ფულის გადაყრა იქნება?

მატროსი. პაემანი მაქვს იქ.

დამტარებელი. ... აბა, სიცხისგან, პაპანაქებისგან!

ზანგის ქალი. კოქტეილ „ლურჯ მთვარეზე“ ნუ დაფეთდებით, ჯიბე ვერ გაგწვდებათ.

კუთხიდან ორნი გამოჩნდნენ – სტენლი კოვალსკი და მითჩი. ასე, ოცდარვა-ოცდაათი წლისანი. უხეში ქაღალდის ქსოვილის ლურჯი სპეცტანსაცმელი აცვიათ. სტენლის ხელში უჭირავს სპორტული ქურთუკი და სისხლით გაჟღენთილი პაკეტი ახლომდებარე საყასბოდან.

სტენლი. (მითჩს). მერე, ის რას ამბობს?

მითჩი. ყველას თანაბრად მივცემო, რა...

სტენლი. არა, მე და შენ მეტი გვერგება.

კიბესთან ჩერდებიან.

(მთელი ხმით) ეეეჰეჰეი! სტელა! ფისუნა!

პირველი სართულის ბაქანზე სტელა გამოდის – დახვეწილი, ახალგაზრდა ქალი, ასე ოცდახუთი წლისა. აშკარაა, რომ არც წარმოშობით და არც აღზრდით ქმარი არ შეეფერება.

სტელა. (რბილად) ასე ნუ ყვირი. სალამი, მითჩ.

სტენლი. აი, გამომართვი!

სტელა. რა არის?

სტენლი. ხორცია (პაკეტს მიუგდებს).

სტელა შეშინებული შეჰკივლებს, მაგრამ პაკეტის დაჭერას ახერხებს. სტენლი და მითჩი ისევ კუთხეში შეუხვევენ.

სტელა. საით, სტენლი?

სტენლი. ბურთებს გავაგორებთ.

სტელა. სანახავად მოვალ, რა?

სტენლი. მოდი. (მიდის) სტელა. ახლავე დაგეწევით. (იუნისს) გამარჯობა, იუნის, როგორ გიკითხოთ?

იუნისი. რა მიჭირს. სთივს უთხარით, რომ იქვე დანაყრდეს, სახლში მაინც არაფერი გვაქვს.

სამივეს ეცინება. ზანგის ქალი ძლივს იოკებს თავს. სტელა მიდის.

ზანგის ქალი. ნეტავ, რა პაკეტი მიუგდო? (წამოდგება და გულიანად გადაიკისკისებს) იუნისი. ჩუმად, გოგო!

ზანგის ქალი. გამომართვიო – ნეტავ, რაზე უთხრა? (ისევ სიცილი აუტყდება) კუთხის მხრიდან ჩემოდნით ხელში ბლანში გამოჩნდება. ქაღალდის ნაგლეჯს დახედავს, მერე – სახლს, მერე ისევ ნაწერს და ისევ სახლს. რატომღაც გაოგნებულია, საკუთარ თვალებს ვერ უჯერებს. თავად მისი გამოჩენაა ამ ადგილებში სრულიად შეუსაბამო. აცვია ელეგანტური თეთრი კოსტიუმი წელზე მომდგარი ფუმფულა ჟაკეტით, თეთრი შლაპა და ხელთათმანები, მარგალიტის მძივი და საყურეები – თითქოს არისტოკრატთა უბანში, დარბაისელ ნაცნობთან გამოცხადდა კოქტეილზე ან ფინჯან ყავაზე. სტელაზე ხუთი წლით უფროსია. მისი გახუნებული სილამაზე დღის სინათლეს ვეღარ უძლებს. ბლანშის გაუბედაობასა და თეთრ სამოსში არის რაღაც ფარვანასეული.

იუნისი. (დინჯად) რა გნებავთ, საყვარელო, გზა აგებნათ?

ბლანში. (მის ხუმრობანარევ ტონში შესამჩნევი ნერვოზულობა იკითხება) მითხრეს, ჯერ ერთ ტრამვაიში, აქაურები „სურვილს“ რომ ეძახიან, ჩაჯდებიო, მერე მეორეში – „სასაფლაო“, ექვს უბანს გაივლი და ელისეს მინდვრებზე ჩამოხვალო!

იუნისი. მოსულხართ და ეგ არის.

ბლანში. სად, ელისეს მინდვრებზე?

იუნისი. დიახ, აქ იმყოფებით.

ბლანში. გამოდის... სახლის ნომერი ამრევია...

იუნისი. და რა ნომერს ეძებთ?

ბლანში. (უხალისოდ ატრიალებს ქაღალდს) ექვსას ოცდამეთორმეტე.

იუნისი. სწორად მოსულხართ.

ბლანში. (სრულიად სასოწარკვეთილი) ჩემს დას ვეძებ, სტელა დიუბუას. მისტერ სტენლი კოვალსკის ცოლს.

იუნისი. სწორედ აქ ცხოვრობს, უბრალოდ, ერთი ფეხით გაგასწროთ.

ბლანში. მაშ, ეს... არა, რას ამბობთ! ეს მისი სახლია?

იუნისი. ქვედა სართულზე ცხოვრობს, მე – ზედაზე.

ბლანში. ვაიმე! და ახლა შინ არ არის?

იუნისი. მოსახვევში კეგელბანი ხომ არ შეგიჩნევიათ?

ბლანში. მგონი, არა...

იუნისი. ჰოდა, სტელაც იქ არის. უყურებს, როგორ ცელავს მისი ქმარი კეგლის ბურთებს. (ჩუმდება) თუ გნებავთ, ჩემოდანი დატოვეთ, მიაკითხეთ.

ბლანში. არა.

ზანგის ქალი. წავალ, მე ვეტყვი.

ბლანში. გმადლობთ.

ზანგის ქალი. რის მადლობა... (გადის) იუნისი. არ გელოდნენ?

ბლანში. არა. დღეს – არა.

იუნისი. კეთილი. შებრძანდით, მოისვენეთ და დაელოდეთ.

ბლანში. როგორ?

იუნისი. აქ ყველა შინაურები ვართ. მე შეგიშვებთ (დგება და კარს აღებს).

სინათლე ინთება. ბლანში აუჩქარებლად შეჰყვება იუნისს. სცენა ბნელდება,

თანდათან იკვეთება კონტურები. კოვალსკების ბინა. ფარდით ორ ოთახად გაყოფილი სახლი. პირველი – სამზარეულოა, იქვე გასაშლელი საწოლი – ბლანშს მასზე მოუწევს დაძინება. იქით – საძინებელი, საიდანაც ვიწრო კარი სააბაზანოში გადის.

(მეზობელი ბლანშის გამომეტყველებას შეამჩნევს და თავს იმართლებსავით) ახლა ცოტა არეულობაა, მაგრამ რომ მილაგდება, მშვენიერი სანახავია.

ბლანში. გასაგებია.

იუნისი. ასეა, კი. ესე იგი, სტელას და ხართ?

ბლანში. დიახ. (აღარ იცის, როგორ მოიცილოს) გმადლობთ, რომ შემომიშვით.

იუნისი. Ppor nacia,[1] როგორც მექსიკელები იტყვიან, por nacia! თქვენ შესახებ სტელასგან მსმენია.

ბლანში. ჰო?

იუნისი. სკოლაში ასწავლით, ხომ?

ბლანში. დიახ.

იუნისი. მისისიპიდან ჩამოხვედით?

ბლანში. დიახ.

იუნისი. თქვენი სახლის ფოტოსურათი მიჩვენა, იქ, პლანტაციაში.

ბლანში. „ოცნების“?

იუნისი. უზარმაზარი სახლი თეთრი კოლონებით.

ბლანში. მართალია...

იუნისი. ასეთი სახლის პატრონს საქმეს რა გამოულევს.

ბლანში. უკაცრავად, მაგრამ ფეხზე ვეღარ ვდგავარ.

იუნისი. რა გასაკვირია, გენაცვალე. რაღას უდგახართ... ჩამოჯექით.

ბლანში. არა, მე მარტო დარჩენა ვიგულისხმე.

იუნისი. (წყენით) ო! მაშინ აღარ გაგებლანდებით ფეხებში.

ბლანში. თქვენი წყენინება არ მინდოდა, უბრალოდ...

იუნისი. კეგელბანისკენ გავიქცევი, ეგებ დავეწიო... (გადის) გაოგნებული ბლანში სკამზე ჯდება – დაძაბული ხელებით მუხლებზე დადებულ ჩანთას ჩაჰფრენია. ისე იბუზება, თითქოს აციებს. დაკარგული მზერა თანდათან ეცვლება – აუჩქარებლად იწყებს ბინის თვალიერებას.

კატის სულისშემძვრელი კნავილი ისმის.

ბლანშს შიშით ლამის გული გაუსკდა, ინსტინქტურად ასწია ხელი, თითქოს თავს

იცავსო და უცებ ნახევრად გამოღებულ განჯინაში რაღაცა დალანდა. წამოხტა და ვისკის ბოთლი გამოიღო. ნახევარი ჭიქა ჩამოისხა, ერთი ამოსუნთქვით გადაჰკრა, აკურატულად შეინახა ბოთლი თავის ადგილზე, ჭიქა ნიჟარაში გამორეცხა. და ისევ მაგიდას მიუჯდა.

ბლანში. (ჩურჩულით) თავი ხელში უნდა ავიყვანო.

სტელა. (სწრაფად გამოდის კუთხიდან და კართან მიირბენს. მხიარულად) ბლანშ!

ერთმანეთს თვალს ვერ სწყვეტენ. ბლანში წამოხტება და მხიარული სიცილით გაიქცევა დისკენ.

ბლანში. სტელა! ო, სტელა, სტელა! ჩემო ვარსკვლავთვალებავ!

ერთმანეთს ეხვევიან.

(ციებიანივით იკრავს გულში, თითქოს არ სურს, რომ დას ამოსუნთქვისა და გონზე მოსვლის საშუალება მისცეს) აბა, დამენახვე! ასე ნუ მიყურებ, სტელა, აი, აბაზანას მივიღებ, დავისვენებ და... ჭაღი მაინც ჩააქრე, რა! გთხოვ, გამოთიშე! ასეთ უმოწყალო სინათლეზე ნუ შემათვალიერებ, არ მინდა!

სტელას გაეცინება, მაგრამ მის ნებას დაჰყვება.

ბლანში. მოდი, კარგად გნახო, ჩაგეხუტო, ჩემო პატარავ, ვარსკვლავთვალებავ! (ეხვევა დას) მე კი მეგონა, რომ ამ ბუნაგში აღარ დაბრუნდებოდი... ეს რა წამომცდა! მაპატიე... მინდოდა მეთქვა: რა მყუდრო სახლი გაქვთ! რა ლანდშაფტი!... ჰა-ჰა! რა კეთილშობილი ხარ, საყვედურიც არ დაგცდენია.

სტელა. პირი არ გამაღებინე და რა ვთქვა (იცინის, მაგრამ ბლანშის შემხედვარე თვალებში განგაში ეტყობა).

ბლანში. კეთილი, შენი ჯერია. მიდი, მეჭიკჭიკე, მე კი ამასობაში რამე დასალევს მოვძებნი, იქნებ პირი გავისველო. ვიცი, ვიცი, სადმე გექნებათ გადამალული სპირტიანი სასმელი. სად არის ნეტავ? აი, დავინახე, დავინახე! უყურე შენ! (განჯინას მივარდება, ბოთლს გამოიღებს. ციებიანივით თრთის, თუმცა გაღიმებას ცდილობს. სული ეხუთება, ბოთლი ლამის გაუვარდეს ხელიდან).

სტელა. (მის მდგომარეობას ხვდება) დაჯექი, ბლანშ, ჯობს, მე დაგისხა. არც კი ვიცი, რა გავურიო. იქნება კოკა-კოლა? მგონი, მაცივარში უნდა იყოს, აბა, შეიხედე, საყვარელო, მე კი...

ბლანში. რა კოკა-კოლა, ნერვები დაგლეჯაზე მაქვს. და ის სადაა?

სტელა. სტენლი? კეგლის თამაშობს. მისი საყვარელი გასართობია. დღეს მის საძმაკაცოს... აი, სოდიანი!... ნამდვილი ასპარეზობა აქვთ.

ბლანში. უბრალო წყალი, გენაცვალე. ერთი ყლუპი მაინც დავაყოლო. ნუ გეშინია, შენი დაიკო არ გალოთებულა, უბრალოდ მგზავრობამ დაქანცა, სიცხემ ბოლო მოუღო... მოდი აქ, დამიჯექი და გარკვევით ამიხსენი – სად მოვხვდი? ან შენ რა ქარმა გადმოგაგდო ამ სოროში?

სტელა. კი მაგრამ, ბლანშ...

ბლანში. ეჰ, თვალთმაქცობას არ დავიწყებ – სიმართლე უნდა ითქვას. არასოდეს, გესმის, არასოდეს, ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ ვნახავდი... მხოლოდ პო! ამის ღირსეულად შეფასება მხოლოდ ედგარ ალან პოს შეუძლია. სახლის უკან, რასაკვირველია, იურული ტყეა მთელი თავისი უწმინდურობებით... (იცინის) სტელა. აბა, რას ამბობ, ჩემო კარგო! რკინიგზაა, მეტი არაფერი!

ბლანში. არა, მართლა, ხუმრობის გარეშე. რატომ დუმდი, რატომ არ მწერდი?

სტელა. (ფრთხილად ისხამს ვისკის) რა, ბლანშ?

ბლანში. როგორ თუ რა? ასეთ პირობებში რომ გიწევს თავის გატანა.

სტელა. მკაცრი ნათქვამია. არც ისეთი ცუდია აქაურობა. ნიუ-ორლეანი – განსაკუთრებული ქალაქია.

ბლანში. რა შუაშია ნიუ-ორლეანი! სულერთია, რაც უნდა გითხრა.. მაპატიე, საყვარელო. (წყვეტს ამ თემაზე საუბარს) საკითხი ამოწურულია.

სტელა. (თავშეკავებულად) გმადლობ.

ბლანში უსიტყვოდ შეჰყურებს დას, სტელა ღიმილით პასუხობს.

ბლანში. (აცახცახებულ ხელს დახედავს, რომელშიც ჭიქა უჭირავს) ამქვეყნად მხოლოდ შენ დამრჩი, შენ კი არ გიხარია ჩემი ნახვა.

სტელა. (გულწრფელად) კარგი რა, ბლანშ, თვითონაც იცი, რომ ეს სიცრუეა!

ბლანში. სიცრუე?... უი, ჰო, დამავიწყდა, შენ ხომ ისეთი ხარ – სიტყვას ვერ გამოგგლეჯს ადამიანი.

სტელა. შენთან ლაპარაკი არც ისე იოლია, ბლანშ. ჰოდა, მეც დუმილს მივეჩვიე.

ბლანში. (დაბნეულად) არ არის ურიგო ჩვევა... (მტკიცედ) არ მკითხავ, საშემოდგომო სემესტრის დასრულებამდე სკოლას როგორ დავაღწიე თავი?

სტელა. ვფიქრობდი, თუ მოგინდება, თავად მეტყვი... თუ მოგინდება.

ბლანში. გგონია, გამომაგდეს?

სტელა. არა, რატომ... თავადაც ხომ შეგეძლო წამოსვლა.

ბლანში. ყველაფერმა ისე დამაწყვიტა ნერვები... მოკლედ, ვეღარ გავქაჩე. (ნერვიულად ჭმუჭნის სიგარეტს) უკანასკნელ ზღვარზე ვარ, იქით – სიგიჟეა. აი, მისტერ გრეივსმა – სკოლის დირექტორმა – თავისი ხარჯით გამიშვა შვებულებაში. ყველაფერს ტელეგრამით ხომ ვერ შეგატყობინებდი. (დარჩენილ ვისკის დაცლის) უჰ, სულ ძარღვებში დამიარა, მაგარია!

სტელა. ერთსაც დალევ?

ბლანში. ესეც საკმარისია, მეტს არ ვსვამ.

სტელა. დარწმუნებული ხარ?

ბლანში. ჯერაც არ გითქვამს... როგორ გამოვიყურები?

სტელა. გადასარევად.

ბლანში. ღმერთმა გიშველოს მაგ სიცრუისთვის. ჩემნაირი ჯაბახანა ქვეყანაზე მეორე არ დადის. შენ კი ცოტა მომატებული მეჩვენები, კაკაბივით დასრულებულხარ. გიხდება.

სტელა. კარგი რა, ბლანშ...

ბლანში. კი, კი, კი! რაკიღა გეუბნები, შეგიძლია, მერწმუნო. აი, წელს კი უნდა მიაქციო ყურადღება. აბა, წამოხტი.

სტელა. სხვა დროს.

ბლანში. რაო? ადექი-მეთქი!

სტელა უხალისოდ ემორჩილება.

ჰაიტ, შე ფეთხუმო!.... ასეთი მშვენიერი მაქმანიანი საყელო – რაღაცით დაგისვრია. შენი დახვეწილი სახის პატრონი თმას ბიჭურად უნდა იკრეჭდეს. სტელა, მოსამსახურე მაინც ხომ გყავს?

სტელა. არა. ამ ორ ოთახში სად მეყოლება...

ბლანში. რაო, რა თქვი? ორ ოთახში?

სტელა. აი, ეს და... (შემცბარი) ბლანში. და იქითა?! (მწარედ ჩაიცინებს. დაძაბული დუმილი ჩამოვარდება) რა სიმშვიდეა, რა სიწყნარე! ნეტავ შენი თავი დაგანახვა: ზიხარ შენთვის, გულხელდაკრეფილი, ვითარცა – ანგელოზი ანგელოზთა დასში.

სტელა. (იშმუშნება) ნეტავ შენი ენერგია მომცა, ბლანშ.

ბლანში. მე კი – შენი მოთმინება... ჯობს, ერთი კიდევ გადავკრა, გასახურებლად, როგორც იტყვიან. და მოაშორე, აღარ დამანახვო. (დგება) ისე, ჩემი ფიგურა როგორ მოგწონს... (მის წინ დატრიალდება) მინდა იცოდე, რომ ათ წელიწადში ერთი უნციაც კი არ მაქვს მომატებული. ზუსტად ისეთი ვარ, როგორიც იმ წელს, როცა „ოცნებიდან“ გაემგზავრე; აი, მამა რომ გარდაგვეცვალა და შენ კი გაიქეცი.

სტელა. (ნაძალადევად) საოცარია, ბლანშ, რა ეფექტური ხარ!

ბლანში. მე კი, როგორც ხედავ, ისევ ჩემი სილამაზით მომაქვს თავი, ახლაც კი, როცა უკვე ვჭკნები (ნერვიულად იცინის და სტელას უყურებს პასუხის მოლოდინში).

სტელა. (ნაძალადევად) არაფერიც არ ჭკნები.

ბლანში. ამდენი თავგადასავლის შემდეგ? ზღაპრები სხვას მოუყევი! ჩემო საყვარელო გოგო... (აცახცახებული ხელი გადაისვა შუბლზე) მაშ, სულ ორი ოთახი გაქვთ?

სტელა. და სააბაზანოც.

ბლანში. ოოო, ს

წრის ხალხს არ შეადარო.

ბლანში. ამ დონეზე... უცხოა?

სტელა. ჰო, სხვა მოდგმა.

ბლანში. კერძოდ?

სტელა. საყვარელ ადამიანზე, აბა, რა გელაპარაკო? სიტყვებსაც ვერ მოვძებნი. აი, მისი სურათი (დას ფოტოს გაუწვდის).

ბლანში. ოფიცერია?

სტელა. საინჟინრო ჯარის უფროსი სერჟანტია. ეს კი მისი ორდენებია!

ბლანში. გაცნობისას ასეთი ახუნძლული იყო?

სტელა. გარწმუნებ, ამ ჟღარუნებს არ დავუბრმავებივარ.

ბლანში. არა, ვერ გამიგე...

სტელა. ცხადია, მერე რაღაცაზე თვალის დახუჭვამ მომიწია.

ბლანში. მაგალითად, მის გარემოცვაზე, არა? (სტელას უხერხულად გაეცინება) რა თქვა, ჩემი ჩამოსვლა რომ გაიგო?

სტელა. ჯერ არ გაუგია.

ბლანში. (შეშინებული) ჯერ არ გითქვამს?

სტელა. სულ გზაშია და...

ბლანში. მივლინებებში?

სტელა. ჰო.

ბლანში. მშვენიერია. ანუ.. აი, თურმე...

სტელა ისე მაკლია ხოლმე, როცა ღამე შინ არაა...

ბლანში. რას ამბობ.

სტელა. როცა ერთი კვირით მიდის, ლამის კედლებზე გავიდე.

ბლანში. ღმერთო!

სტელა. მობრუნდება და მის კალთაში ბავშვივით ვქვითინებ (თავისთვის ჩაიღიმებს).

ბლანში. უყურე შენ! ასეთი სიყვარული...

სტელა დას შეხედავს მოღიმარი თვალებით.

სტელა...

სტელა. ჰო.

ბლანში. (თითქოს თავს ძალას ატანს) კითხვებით ხომ არ მოგაბეზრე თავი? იმედი მაქვს, ჩემს ამბავს გონივრულად მოეკიდები.

სტელა. რა ამბავს, ბლანშ? (სახეზე განგაში დაეტყობა) ბლანში. რას და... ვიცი, გამკიცხავ, სტელა, მაგრამ რას ვიზამთ... სათქმელი უნდა ითქვას: მაგრამ იქამდე გაითვალისწინე: შენ წახვედი, შენი წილი ბედნიერების საძებნელად ნიუ-ორლეანს შეაფარე თავი, მე კი „ოცნებაში“ დავრჩი და ბოლომდე ვიბრძოდი. არ გამადლი, მაგრამ ოჯახის მთელი სიმძიმე მე დამაწვა მხრებზე.

სტელა. სხვა რა გზა მქონდა, ბლანშ? ფეხზე დამოუკიდებლად უნდა დავმდგარიყავი.

ბლანში (ისევ აციებს) ვიცი, ვიცი, მაგრამ „ოცნებას“ ზურგი შენ აქციე, მე კი არა! მე ბოლომდე დავრჩი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩავები, კინაღამ სული განვუტევე.

სტელა. გეყო ისტერიკა, ადამიანურად მელაპარაკე. რა მოხდა? რას ნიშნავს „სამკვდრო-სასიცოცხლო“?

ბლანში. ასეც ვიცოდი, სტელა, ასეც ვიცოდი, რომ ასე განსჯიდი ამ ამბავს!

სტელა. რა ამბავს? ღვთის გულისათვის!

ბლანში. (ჩუმად) დანაკარგს...

სტელა. „ოცნების“? ის დაიკარგა? არა!

ბლანში. კი, სტელა.

ისინი ერთმანეთს შესცქერიან, მათ შორის მაგიდაა, რომელზეც ყვითელი, კუბოკრული მუშამბაა გადაფარებული. ბლანში ოდნავ აქნევს თავს, სტელა თავდახრილი უყურებს მაგიდაზე დაწყობილ ხელებს. „ლურჯი პიანინოს“ ჰანგები სულ უფრო ხმამაღლა ისმის. ბლანში ცხვირსახოცით იწმენდს შუბლს.

სტელა. კი მაგრამ, რა მოხდა ასეთი?

ბლანში (წამოხტება) იოლი საკითხავია – რა მოხდა!

სტელა. ბლანშ!

ბლანში. რა გენაღვლება... ზიხარ აქ უდარდელად... და თავს ჩემი განსჯის უფლებასაც აძლევ!

სტელა. ბლანშ...

ბლანში. მე! მე! მე მივიღე ყველა დარტყმა – დავიქანცე, დავიღალე... ამდენმა სიკვდილმა ბოლო მომიღო! დაუსრულებელი პანაშვიდები... მამა. დედა. მარგარეთის ასეთი საშინელი აღსასრული. ისე გასივდა ის უბედური, ცხედარი კუბოში ვეღარ ეტეოდა: ამიტომ დაწვა მოგვიწია, როგორც მძორის ნაგავსაყრელზე. შენ, სტელა, დაკრძალვაზე ჩამოსვლას ყოველთვის ასწრებდი ხოლმე, არც ერთი არ გამოგიტოვებია, მაგრამ დაკრძალვა სიკვდილთან რა სახსენებელია! დაკრძალვაზე სიმშვიდე მაინც არის; აი, სიკვდილის წინ კი სულთმობრძავი საზარლად კვნესის, ხროტინებს, ტირის... „ნუ გამწირავ, ცოტაც მაცალე სიცოცხლეო“ – სულ ამას

გაიძახიან, მოხუცებიც კი! თითქოს შენს ხელთ იყოს მათი სიცოცხლე და რამე შეგეძლოს... დაკრძალვაზე კი ყველაფერი დიდებულია, ლამაზი ყვავილები... და ის ყუთებიც კი, რომელშიც მიცვალებულს ჭედავენ! მერე როგორ ეპოტინებიან სიცოცხლეს, საკმარისია, გვერდზე გახვიდე და კვნესას უმატებენ: „ნუ გაგვწირავო“. შენ არც კი დაგესიზმრება, რაც ჩემი თვალით ვნახე! ვნახე! ვნახე! ახლა კი შენს მზერაში საყვედურს ვკითხულობ – გგონია, მე დავკარგე ჩვენი სახლი! აბა, ერთი კარგად დაფიქრდი და მიპასუხე: საიდან შემოსავალი? სად ვშოულობდი ამდენი ავადმყოფის სამკურნალო და დასაკრძალ ფულს?! იქნებ, დამდო პატივი და ტვინი გაანძრიო! ამდენი სიკვდილი პირდაპირ ჩემს ჯიბეზე აისახა! უბედურ მარგარეთს კუზინა ჟესიც ფეხდაფეხ მიჰყვა. ეტყობა, ავი ანგელოზი ჩაგვისახლდა და „ოცნება“ საკუთარ შტაბბინად აქცია. აი, ასე გამეფანტა ყველაფერი, დაიკო. განა რომელიმე მომაკვდავმა რამე გვიანდერძა? ან დაზღვევა მაინც ჰქონდათ? მარტო უბედურ ჯესის ჰქონდა დასამარხად ასდოლარიანი გადანახული. აი, ასეა, სტელა, მორჩა ამბავი! მასწავლებლის მათხოვრული ჯამაგირით რა უნდა მექნა? შენ კი იჯექი ახლა და იფიქრე, დამ სახლი ვერ შემინარჩუნაო. ვერ შეგინარჩუნე... შენ სადღა ბრძანდებოდი მაგ დროს? ლოგინში... შენს პოლონელთან!

სტელა. (წამოხტება) ბლანშ! გონს მოდი! კმარა (საძინებლისკენ მიდის).

ბლანში. სად მიდიხარ?

სტელა. სააბაზანოში, პირზე წყლას შევისხამ.

ბლანში. ეჰ, სტელა... ტირი?

სტელა. გიკვირს?

ბლანში. მაპატიე, არ მინდოდა.

სტელა სააბაზანოში გადის.

ქუჩიდან მამაკაცთა ხმა ისმის. სტენლი, სთივი და მითჩი სახლს უახლოვდებიან.

სთივი. ...ჰოდა, ის ერთი გემოზე თათხავს, რა: არც ამაში ვარგიხარ, ვერც იმაში გამოდგებიო, რამდენი გასწავლეთ, გამოცდილების ნატამალი მაინც არ გაგაჩნიაო; ის კიდევ: ეს გამოცდილება საიდანღა მოვიტანოო? იმან კი: აბა, ახლა აქედან დაახვიეო! ისეთი უყვირა, ლამის გული გაუხეთქა იმ ჩემისას.

ხარხარი ატყდება.

კაცების ხმაზე ბლანში საძინებელში გაირინდება. მაგიდიდან სტენლის ფოტოს აიღებს, დახედავს და უკანვე აბრუნებს.

ხვალ საღამოსკენ წავუპოკეროთ?

სტენლი. ჰო, მითჩთან, რა.

მითჩი. ჩემთან ვერა. დედაჩემი ჯერაც ვერ გამოჯანმრთელდა (წასვლას დააპირებს).

სტენლი. (მიაძახებს) კაი, ჩემთან იყოს. იცოდე, ლუდს ჩამოხვალ.

მითჩი წაუყრუებს, ემშვიდობება და ღიღინით გაუყვება გზას.

იუნისი. (ზემოდან კივის) ეი, თქვენ, აბა, მოცოცხეთ მანდედან! სპაგეტი გავამზადე, მაგრამ თვითონვე გეახელით.

სთივი. (კიბეზე ასვლისას) მგონი, გითხარი, ტელეფონშიც და ისეც, ვთამაშობთ-მეთქი! (კაცებს) აი, ლუდი კი არ გვაწყენდა!

იუნისი. სულაც არ დაგირეკავს.

სთივი. ჯერ საუზმეზე გითხარი, მერე შესვენებაზე დაგირეკე.

იუნისი. ჰო, კაი, კაი, ნეტავ ვის აინტერესებს. სახლში რომ კაცი წელიწადში ერთხელ შევა...

სთივი. გეყო რა, ქვეყანა ნუ შემიყარე.

კაცების სიცილი, დამშვიდობებები. სტენლი კარს მოაფრიალებს და სამზარეულოში შედის. საშუალო ტანისაა, ხუთი ფუთი და რვა დუიმი, ჯანიანი, კარგი აღნაგობის. მანერები და გამოხედვა თავისთავად მიანიშნებს, რომ მასში ცხოველური ინსტინქტი ჭარბობს. სიყრმიდანვე მოსწონდა ქალების დევნა, მათი დაპყრობა და მათით ტკბობა. ქალს ერთი ნახვით აფასებს, სურვილის შემთხვევაში ღიმილითაც დააჯილდოებს, თუმცა მის ღიმილში უხამსობა უფრო გამოსჭვივის, ვიდრე კეთილგანწყობა. დაუცხრომელია და ამაყი, როგორც მამალი სულთანი დედლების გარემოცვაში. ამ კატეგორიის კაცებს განცხრომაზე უჭირავთ თვალი, არც ქეიფზე ამბობენ უარს, ბილწი ხუმრობები, სასმელი და აზარტული თამაშები იტაცებთ. უყვართ ყველა და ყველაფერი, რაც მათ საკუთრებასთან ასოცირდება. თუ ვაჟი ეყოლათ, ჭკუას კარგავენ, ტომის ბელადებივით უფრთხილდებიან, თავს ევლებიან და იცავენ.

ბლანში. (მისი დაჟინებული მზერით შეცბუნებული უნებურად დაიხევს) თქვენ, რა თქმა უნდა, სტენლი ხართ? მე კი – ბლანში.

სტენლი. სტელას და?

ბლანში. დიახ.

სტენლი. გამარჯობა. ჩვენი დიასახლისი რა იქნა?

ბლანში. საბაზანოშია.

სტენლი. აჰა. არ ვიცოდი, ჩვენკენ თუ აპირებდით.

ბლანში. მე...

სტენლი. საიდან ჩამოხვედით, ბლანშ?

ბლანში. მე... მე ლორელში ვცხოვრობ.

სტენლი (განჯინასთან მივა და ვისკის ბოთლს გამოიღებს) ლორელში? გასაგებია. ცხადია, ლორელში! ეგ ჩემი ზონა არაა. სიცხეში ამით წყურვილს ვერ მოიკლავ (ბოთლს სინათლეზე გახედავს, აინტერესებს, დარჩენილია თუ არა შიგ რამე). დავლიოთ?

ბლანში. არა-არა! თითქმის არ ვეკარები. ათასში ერთხელ თუ გავსინჯავ.

სტენლი. ზოგი მართლაც არ ეკარება, აი, ჩემი დედაკაცი სულ ამის წრუპვაშია.

ბლანში. (დუნედ) ჰა-ჰა.

სტენლი. ძაან გახვითქული ვარ, შინაურულად რომ მოვიქცე? (პერანგის გახდას დააპირებს) ბლანში. რასაკვირველია, ნუ მოგერიდებათ...

სტენლი. თავი არაფრით შევიზღუდო – აი, ჩემი დევიზი.

ბლანში. ჩემიც. სიგრილის შენარჩუნება რთულია. მე ჯერჯერობით ვერც შხაპისთვის მოვიცალე, ვერც ფერუმარილისთვის, თქვენ კი უკვე მოხვედით.

სტენლი. ასე გრიპსაც იოლად აიკიდებს კაცი – სველი ტანსაცმლით სიარული ხეირს არავის დააყრის, მით უმეტეს, თუ ცოტა კუნთებიც გაავარჯიშე – კეგლის ბურთები გააგორე, მაგალითად. ისა და, თქვენ მასწავლებელი ხართ, ხომ?

ბლანში. გახლავართ.

სტენლი. და რას ასწავლით, ბლანშ?

ბლანში. ინგლისურს.

სტენლი. სკოლაში მაგ საგანთან მწყრალად ვიყავი. დიდი ხნით გვეწვიეთ?

ბლანში. იცით.. ჯერ არც კი ვიცი...

სტენლი. ჩვენთან აპირებთ დარჩენას?

ბლანში. მინდოდა... თუ არ შეგაწუხებთ.

სტენლი. კეთილი.

ბლანში. მგზავრობას ვერ ვიტან და...

სტენლი. ეგ არაფერი, გაგივლით.

ფანჯრის ქვეშ საშინლად დაიკნავლა კატამ.

ბლანში. (უკან გახტა) რა ხდება?

სტენლი. კატა კნავის. ეე, სტელა!

სტელა (სააბაზანოდან) ჰო, სტენლი.

სტენლი. წყალს ხომ არ გაყევი (ბლანშის მიმართულებით ჩაიცინა. ბლანშმა უღიმღამოდ უპასუხა. დუმილი)? ალბათ იტყვით, უხეშიაო. სტელა სულ თქვენზე მელაპარაკება ხოლმე. გათხოვილი იყავით, არა?

შორიდან პოლკის მელოდია აღწევს.

ბლანში. კი, გოგოობაში.

სტენლი. მერე რა მოხდა?

ბლანში. ის... ის გარდაიცვალა. (თავს ჩაღუნავს) მეშინია, ავად არ გავხდე (სახეზე ხელებს აიფარებს).

მეორე სურათი

მეორე დღე. ნაშუადღევის ექვსი საათი. ბლანში აბაზანას იღებს. სტელა გამოპრანჭვას ამთავრებს. ბლანშის ფერადი ჩითის კაბა სტელას საწოლზეა გადაფენილი. სტენლი ქუჩიდან სამზარეულოში შედის და შესასვლელ კარს ღიად ტოვებს. მას მარადიული „ლურჯი პიანინო“ შემოჰყვება...

სტენლი. ეს რაღაა, კონცერტი გვაქვს?

სტელა. უი, სტენ!... (წამოხტება და ქმარს კოცნის, რასაც ეს უკანასკნელი მბრძანებლის გულგრილობით იღებს) ბლანში „გალატუარში“ მიმყავს სავახშმოდ, მერე კიდევ სადმე გავივლით. აკი, პოკერს ვთამაშობ?

სტენლი. მერე მე სადღა ვივახშმო? ყველა კი არ მიდის „გალატუარში“.

სტელა. ძროხის ხორცი მაცივარშია.

სტენლი. რა გულუხვი ბრძანდებით!

სტელა. ვეცდები, ბლანში დიდხანს შევიქციო, სანამ თქვენ თამაშით გულს არ იჯერებთ. წინასწარ ვერ იტყვი, რა და როგორ იმოქმედებს მასზე. აქვე, უბანში რევიუზეც შევივლით. ასე რომ, ცოტა ფული მომეცი.

სტენლი. თვითონ სადაა?

სტელა. ცხელ აბაზანაში ლღვება. ნერვებს იწყნარებს საწყალი.

სტენლი. რამ დააგლიჯა ნერვები?

სტელა. რაც მაგან გადაიტანა!

სტენლი. ამისთანა რა გადაიტანა?

სტელა. სტენ, „ოცნება“ ჩვენი აღარ არის.

სტენლი. მამული?

სტელა. ჰო.

სტენლი. მაიცა, ეს როგორ?

სტელა (გაურკვევლად) სახლის დათმობამ მოუწია, შეწირვა... მოკლედ, რაღაც

ასეთი.

პაუზა. სტენლი ჩაფიქრდება.

(სხვა კაბას გადაიცვამს) რომ გამოვა, არ დაგავიწყდეს, რაიმე ქათინაური უთხრა. ... ჰო, კიდევ, ახლა პატარაზე ნურაფერს ვეტყვით, არ მინდა ავაღელვო, ჯერ ცოტა დამშვიდდეს.

სტენლი. (ავისმომასწავებელი ტონით) ასე არა?!

სტელა. მასაც უნდა გავუგოთ, რბილად მოეპყარი, სტენ.

ბლანში (მღერის სააბაზანოში) „იმ ქვეყნიდან, სადაც ცისფერი წყლებია, ნორჩი ტყვე-ქალი მოიყვანეს“...

სტელა. მისთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა, რომ ასე ვიწროდ ვართ. იცი, წერილებში ასეთ წვრილმანებზე ყურადღება არ გამიმახვილებია...

სტენლი. ჰო?

სტელა. ხომ შეუქებ კაბას? უთხარი, შენზეა შეკერილი-თქო. ბლანშისთვის ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანია. აქვს ასეთი სისუსტე...

სტენლი. აჰა, გასაგებია. ისა და, რა მითხარი, მამული ლიკვიდირებულიაო?

სტელა. კი, ასეა...

სტენლი. რეალურად რა მოხდა, ვერ ამიხსნი?

სტელა. ჯერ არ გვინდა დაკითხვების მოწყობა, ამოსუნთქვის საშუალება მივცეთ.

სტენლი. კაი ერთი! დაიკო ბლანშს საქმიანი საუბრებისთვის არ სცალია?

სტელა. ხომ ნახე, როგორი ჩამოვიდა?

სტენლი. აჰა, შევამჩნიე. ერთი ნასყიდობის ხელშეკრულებაზე შემახედა.

სტელა. მე არ მინახავს ხელშეკრულება.

სტენლი. მოიცა, სულ არაფერი წარმოგიდგინა – არც ანგარიში, არც გაყიდვის რამე დამადასტურებელი დოკუმენტი? არაფერი?

სტელა. არაფერი.

სტენლი. მაშ, რა ჯანდაბა უქნეს იმხელა მამულს? მუქთად მისცეს ვინმეს? ღატაკების სასარგებლოდ დაახურდავეს?

სტელა. სსსუ! გაიგონებს.

სტენლი. ფეხებზე მკიდია! საბუთები მიჩვენოს!

სტელა. რა საბუთები გიჩვენოს, არც მე მინახავს ოფიციალური ქაღალდები... არც მაინტერესებს.

სტენლი. ნაპოლეონის კოდექსზე გაგიგია რამე?

სტელა. არა, სტენლი, არაფერი გამიგია, ან რა შუაშია...

სტენლი. კარგი, გოგონი, გაგანათლებ.

სტელა. მიდი.

სტენლი. ჩვენთან, ლუიზიანის შტატში, ნაპოლეონის კოდექსი მოქმედებს, რომლის თანახმადაც, ცოლის მთელი ქონება ქმარსაც ეკუთვნის და – პირიქით. მაგალითად, ჩემი ან შენი საკუთრება...

სტელა. თავბრუ დამესხა!

სტენლი. კარგი, მოვრჩეთ. მაგრამ ჭყუმპალაობას რომ დაასრულებს ქალბატონი, ვკითხავ, რამდენად იცნობს ნაპოლეონის კოდექსს. მშრალზე დაგტოვეს, ფისო, გაიგე?! ისე, ნაპოლეონის კოდექსის მიხედვით, მეც გამაცურეს. მე კი არ მიყვარს, როცა ვინმე ჩემს გაცურებას ცდილობს.

სტელა. კარგი რა, კითხვების დასმას ყოველთვის მოასწრებ – ოღონდ ახლა არ გინდა, თორემ ისევ გაღიზიანდება. ზუსტად არ ვიცი „ბელ-რივს“[2] რა დაემართა, მაგრამ იმ აზრის დაშვება, რომ ჩემმა დამ უღირსი საქციელი ჩაიდინა, არ შემიძლია. წარმოუდგენელია, რომ ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს ვინმეს გაცურება შეეძლოს. სასაცილო ხარ, თუკი ასე ფიქრობ!

სტენლი. აბა, ფული სად წაიღო? სახლი ხომ გაიყიდა?

სტელა. კი არ გაიყიდა – დაიკარგა!

სტენლი საძინებელში შევარდება, სტელაც უკან შეჰყვება.

სტენლი!

სტენლი. (გამძვინვარებული ხსნის სამგზავრო ჩანთას და კაბების ამოყრას იწყებს) ბოლო-ბოლო გაახილე თვალები და შეხედე ამ ძვირად ღირებულ ზიზილ-პიპილოებს! შენი ჭკუით, ეს ყველაფერი მასწავლებლის ჯამაგირით იყიდა?

სტელა. ჩუმად.

სტენლი. ერთი ამ ბეწვეულსა და ბუმბულებს დახედე, რამდენი რამე ჩამოუთრევია, ჩვენ კი თვალში ნაცარს გვაყრის! აი, მაგალითად, ეს კაბა ნახე, რას ფიქრობ, მუქთად მისცემდნენ? მთელი ქონება უნდა ღირდეს! აბა, ეს ნახე, ამას დახედე, რა! ეს ხომ ბეწვია, თეთრი მელიის ბეწვი, სტელა! ფუმფულა, ქათქათა! შენი ლურჯი ბეწვი სადაა, მოიტა, შევადაროთ.

სტელა. იაფფასიანი ბეწვია – ბლანშს დიდი ხნის ნაყიდი აქვს – ქალიშვილობის დროინდელია.

სტენლი. ერთ მექურქეს ვიცნობ, დავუძახებ და შევაფასებინებ. ნაძლევს ჩამოვალ, ამ მორთულობებში ათასებია გადაყრილი!

სტელა. ნუ იქნები ასეთი იდიოტი, სტენლი!

სტენლი. (ბეწვეულს დივანზე მოისვრის. სამგზავრო ჩანთის გამოსაწევი უჯრა

იხსნება, საიდანაც სამკაულები მოჩანს) აქ რაღა გვაქვს? მეკობრეთა განძი!

სტელა. ოჰ, სტენლი!

სტენლი. მარგალიტი! თვალ-მარგალიტი! ვინ არის შენი დაიკო, მარგალიტების მაძიებელი? ზღვის სიღრმეებში ყვინთავს? მოუხელთებელი მძარცველი, სეიფების რისხვა? სუფთა ოქროს სამაჯურები ნახე! აბა, შენი სამაჯურები და მარგალიტები მანახე!

შტელა. კარგი, გეყოფა, სტენლი!

სტენლი. ბრილიანტებს უყურე! თითქოს იმპერატრიცას გვირგვინიაო!

სტელა. რაინის ქვების გულქანდია, კოსტუმირებულ მეჯლისზე ეკეთა ხოლმე.

სტენლი. რა რაინის ქვები?

სტელა. უბრალო მინებივითაა.

სტენლი. ხუმრობ კიდეც?! საოქრომჭედლოშიც მყავს ნაცნობი, მოვიყვან და შეგვიფასოს. აი, შენი პლანტაციების და მამულების ნაყოფი!

სტელა. ვერც კი წარმოიდგენ, ახლა როგორი სულმდაბალი და ტუტუცი ხარ! ახლავე დაკეტე ჩანთა, სანამ სააბაზანოდან გამოსულა.

სტენლი. (წიხლის ამოკვრით დახურა კოფრი და სამზარეულოს მაგიდაზე ჩამოჯდა) კოვალსკებსა და დუბუებს ცხოვრებაზე სხვადასხვა შეხედულება გვაქვს.

სტელა. (ნაწყენი) ჰოდა, მადლობა ღმერთს! გარეთ გავალ. (თავის თეთრ ხელთათმანსა და ქუდს აიღებს და გასასვლელი კარისკენ მიდის) გამომყევი, მიეცი ბლანშს საშუალება, ჩაიცვას.

სტენლი. როდის აქეთია, მეუფროსები?

სტელა. შენ რა, აქ დარჩენა და ბლანშის აბუჩად აგდება გაქვს გადაწყვეტილი?

სტენლი. აბა, რა გეგონა? რა თქმა უნდა, ვრჩები.

სტელა გარეთ გადის.

ბლანში. (სააბაზანოდან წითელი ატლასის მოსასხამით გამოდის. ხალისიანად) აჰ, სტენლი! მე კი აბაზანა მივიღე და თითქოს ხელახლა დავიბადე.

სტენლი. (სიგარეტს მოუკიდებს) მშვენიერია.

ბლანში. (ფარდას ჩამოაფარებს ფანჯარას) უკაცრავად, ახალი კაბის ჩაცმა მინდა და...

სტენლი. ჰოდა, ჩაიცვით, რაზეა საუბარი.

ბლანში. (ოთახებს შორის პორტიერს გადასწევს). როგორც ვხვდები, ამ საღამოს აქ კარტს ითამაშებთ, ქალბატონები კი არავის მივუწვევივართ – თავაზიანი საქციელია!

სტენლი. მერე და რაო?

ბლანში (მოსასხამს მოიხსნის, ჩითის ფერად კაბას იცვამს) სტელა სად არის?

სტენლი. გასულია.

ბლანში. მცირედი დახმარება რომ გთხოვოთ, შეიძლება?

სტენლი. გააჩნია.

ბლანში. ზურგზე ღილი რომ შემიბნიოთ. შეგიძლიათ, შემოხვიდეთ.

სტენლი პორტიერს გადასწევს, შედის, ცდილობს, არ უყუროს.

აბა, როგორ გამოვიყურები?

სტენლი. მაგრად!

ბლანში. ძალიან თავაზიანი ხართ. აი, ღილებიც...

სტენლი. არაფერი გამომდის.

ბლანში. ოჰ, კაცებო – რამხელა თითები გაქვთ, თან მოუქნელი... სიგარეტს ვერ მომიკიდებთ?

სტენლი. თავად მოუკიდეთ.

ბლანში. რასაკვირველია. მადლობა. აი, ჩემს სამგზავრო ჩანთაში კი ჩამძვრალან...

სტენლი. კი, მე და სტელა. ამოლაგებაში წაგეშველეთ.

ბლანში. უყურე შენ... გულმოდგინედ გარჯილხართ.

სტენლი. თქვენ კი ალბათ პარიზის არაერთი მოდური მაღაზია გამოაცარიელეთ.

ბლანში. ჰა-ჰა! მართალია, სამოსი – ჩემი სისუსტეა.

სტენლი. აი, ეს ბეწვი, მაგალითად, რა ეღირება?

ბლანში. აჰ, ეს... ერთმა თაყვანისმცემელმა მომართვა.

სტენლი. კაი ძვირად კი უცია... თაყვანი!

ბლანში. ჰო, ყმაწვილქალობისას მართლაც თავბრუდამხვევი ვიყავი. ახლა? (დამაბრმავებელი ღიმილით) როგორ ფიქრობთ, შემეხედება?

სტენლი. საკაიფოდ გამოიყურებით.

ბლანში. აი, კომპლიმენტიც გამოგტყუეთ, სტენლი.

სტენლი. სისულელეა! ეგ არ მჩვევია.

ბლანში. რა არის სისულელე?

სტენლი. ქალისთვის კომპლიმენტის თქმა გარეგნობასთან დაკავშირებით. ქალებმა იციან საკუთარი თავის ფასი, რა საჭიროა მინიშნებები?! იყო დრო, ერთ ასეთ

ლამაზმანთან დავდიოდი, ყურებს მიჭედავდა ხოლმე: „აი, როგორი რომანტიკული ვარ, რა მომხიბლავიო“, მე კი ვეკითხებოდი, „მერე-მეთქი“?

ბლანში. ის რაღას გპასუხობდათ?

სტენლი. არც არაფერს, ენა უვარდებოდა.

ბლანში. და რომანიც დაასრულეთ?

სტენლი. რომანი არა – საუბარი. არიან კაცები, რომელთაც მოსწონთ ჰოლივუდური ლაი-ლაი, ზოგი კი არაფრად აგდებს.

ბლანში. თქვენ, რასაკვირველია, მეორე კატეგორიას ეკუთვნით.

სტენლი. გაარტყით.

ბლანში. ალბათ, არც არსებობს ისეთი ქალი, რომელიც თქვენ დაგიმორჩილებდათ.

სტენლი. ეგრეა!

ბლანში. თქვენ უბრალო, პირდაპირი, პატიოსანი ბრძანდებით, თუმცა ვარსკვლავებს ნამდვილად არ წყვეტთ. თქვენს მოსახიბლად ქალმა ალბათ... (გაურკვეველი ჟესტი).

სტენლი. (პაუზით) ყველა კარტი... მაგიდაზე დადოს.

ბლანში. (ღიმილით) დიახ, დიახ! კარტი მაგიდაზე... ყველას აქვს თავისი ბნელი მხარეები. მე რომ მკითხოთ, მხატვარს ძლიერი, მკვეთრი ხელწერა უნდა ჰქონდეს და პალიტრაზეც მხოლოდ ძირითადი, ყველაზე ელემენტარული ფერები ედოს. მკრთალი, უღიმღამო ნაჯღაბნის ატანა არა მაქვს. არც ისეთი ადამიანები მომწონს, რომ იტყვიან: „არც წყალია, არც ღვინო“. ამიტომაც იყო, წუხელ დაგინახეთ თუ არა, გულში გავიფიქრე: „ჩემი დაიკო ნამდვილ მამაკაცს გაჰყოლია-მეთქი“. ცხადია, ერთი შეხედვით მეტს ვერაფერს ვიტყვი...

სტენლი. (შეუღრენს) აბა, გეყო ახლა კუკუმალობანა!

ბლანში. (ყურებზე ხელებს აიფარებს). უ-უ-უ-უ!...

სტელა. (წინკარიდან) სტენლი! გამო გარეთ, ბლანშს ჩაცმა დააცადე.

ბლანში. უკვე მზად ვარ, საყვარელო.

სტელა. ჰოდა, გამოდი.

სტენლი. აქ ჩვენ შინაურულად ვსაუბრობთ.

ბლანში. (მხიარულად) დაიკო, ერთი მეგობრული სამსახური გამიწიე, აფთიაქში გაიქეცი და კოკა-ლიმონათი მიყიდე, ყინულის ნატეხებიც ბლომად იყოს. ხომ არ დამზარდები?

სტელა. (ყოყმანით) კარგი. (სახლის კუთხეში გაუჩინარდება) ბლანში. საწყალი, ეტყობა, ყურს გვიგდებდა. იცით, მგონია, მე უკეთ მესმის თქვენი, ვიდრე მას... მოკლედ, მისტერ კოვალსკი, რაზე შევჩერდით? ჰო... გულწრფელად მითხარით, რა

გინდათ, ნებისმიერ კითხვაზე გაგცემთ პასუხს. ან დასამალი რა მაქვს. აბა, რა გაინტერესებთ?

სტენლი. ჩვენთან, ლუიზიანაში, მოქმედებს საკმაოდ ცნობილი კანონი – ნაპოლეონის კოდექსი. რომლის თანახმადაც, რაც ცოლისაა, ის ჩემიცაა და პირიქით.

ბლანში. ღმერთო, რა მრისხანე მზერა გაქვთ, მოსამართლევ!

სუნამოს იპკურებს და ხუმრობით პულვერიზატორს სტენლისაც მიუშვერს. ის ფლაკონს წაჰგლეჯს ხელიდან და სატუალეტო მაგიდაზე დაახეთქებს.

ბლანში გულიანად იცინის.

სტენლი. ჩემი ცოლისდა რომ არ იყოთ, გიჩვენებდით სეირს.

ბლანში. მაინც, მაინც?...

სტენლი. თავს ნუ ისულელებთ, ვითომ ვერ ხვდებოდეთ! სადაა ქაღალდები?

ბლანში. ქაღალდები?

სტენლი. საბუთები. პლანტაციის ანგარიშები.

ბლანში. ჰო, რაღაც ქაღალდები კი იყო.

სტენლი. ანუ? – იყო და არა იყო რა?

ბლანში. რატომ „არა იყო რა“, იქნებ არის კიდეც სადმე დადებული...

სტენლი. უკაცრავად და, თქვენს სამგზავრო ჩანთაში ხომ არა?

ბლანში. მანდ სულ ჩემი ნივთებია.

სტენლი. მაშ, მოდი, ჩავიხედოთ (მიდის კოფრთან, სახურავს გადახდის და ხსნის).

ბლანში. ღმერთო ჩემო, რა გჭირთ? ეს რა ბავშვობაა, რა გეტაკათ? გგონიათ, ფული მივითვისე და მშრალზე დავსვი ჩემი და? ვუღალატე? მიმიშვით, თვითონ ამოვიღებ. ასე უფრო სწრაფადაც და მარტივად... (მიუახლოვდა, ზარდახშა ამოიღო) ჩემი საბუთების დიდი ნაწილი ამ ზარდახშაშია. (გახსნა).

სტენლი. ფსკერზე რა აწყვია (ქაღალდების შეკვრაზე მიუთითებს)?

ბლანში. სასიყვარულო წერილებია, სიძველისგან გაყვითლებული. ერთი ყმაწვილი მწერდა ხოლმე...

სტენლი ხელიდან წაჰგლეჯს.

(ბლანშს ხმაში გაცოფება ემჩნევა) დამიბრუნეთ!

სტენლი. ჯერ გადავხედავ.

ბლანში. რა ხელი გაქვთ მაგ წერილებთან?!

სტენლი. გეყო! (ლენტს ააძრობს და წერილებს თვალს გადაავლებს).

ბლანში. (ხელიდან გამოსტაცა, ქაღალდები კი იატაკზე მიმოიფანტა) თქვენი ტორებით დასვრილი წერილები რაღა შესანახია, უნდა დაიწვას...

სტენლი. (ცოტა დაბნეულად) ჯანდაბას, ეგეთი რა წერია?

ბლანში (ფურცლებს იატაკიდან კრეფს) ერთი ბიჭის წერილებია, რომელიც ამქვეყნად აღარ არის. ოდესღაც საშინლად ვატკინე გული, აი, ახლა თქვენ რომ ცდილობთ ჩემთვის გულის ტკენას, ისე... მაგრამ მასთან თქვენ როგორ მიხვალთ! არც ისეთი ახალგაზრდა ვარ, რომ გული მომიკვდეს. ჩემი ქმარიც ახალგაზრდა იყო, მისგან გადაბრუნებული სიტყვა არ მახსოვს, ვერ მოასწრო სიუხეშის სწავლა და მე... ეჰ! ახლა ყველაფერი სულერთია. მომეხმარეთ აკრეფაში, რას უდგახართ!

სტენლი. კი მაგრამ, რატომ უნდა დაწვათ?

ბლანში. უკაცრავად, უბრალოდ თავი დავკარგე. ყველას გვაქვს ჩვენი სანუკვარი, ხელშეუხებელი რამ... (ძალიან ნაწამები მზერა აქვს, სათვალეს ირგებს. ზარდახშით ხელში ჩამოჯდება, ქაღალდების დიდ შეკვრას თანამიმდევრულად ათვალიერებს) ,,ემბლერი და ემბლერი". ჰმ... ქრემბთრი... ისევ ,,ემბლერი და ემბლერი".

სტენლი. რა ,,ემბლერი და ემბლერი"?

ბლანში. კანტორაა. უძრავი ქონების საკითხებს არეგულირებს.

სტენლი. ესე იგი, სახლი გადასახადების დაფარვას შეეწირა?

ბლანში. მგონი, ასეა.

სტენლი. სიტყვა ,,მგონი" არ გავიგონო! დანარჩენ საბუთებში რა წერია?

ბლანში ზარდახშას გაუწვდის. სტენლი მაგიდასთან მოკალათდება და საბუთების შემოწმებას იწყებს.

ბლანში. (იატაკიდან ქაღალდების მსხვილ შეკვრას იღებს) ,,ბელ-რივის" ასწლოვანი ისტორიის ათასობით საბუთია... გრძელი მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ აცამტვერებდნენ მამულს ჩვენი პაპები და მამები, ბიძები და ძმები... ფულს არ ითვლიდნენ, გარყვნილებაში ცხოვრობდნენ (დაღლილი სიცილით სათვალეს იხსნის)... გარყვნილებამ მოსპო ჩვენი პლანტაცია – ამას სტელაც დაადასტურებს – სახლი და ოცი აკრი მიწაღა დარჩა, სასაფლაოს ჩათვლით, სადაც ყველა ჩვენიანია გადაბარგებული... ჩემი და სტელას გარდა. (კონვერტს მაგიდაზე გადმოფერთხავს) აი, ყველა საბუთი! ინებეთ და განკარგეთ! წაიკითხეთ, გადაიკითხეთ, დაიზუთხეთ. უკეთეს დასასრულს ვერავინ მოიფიქრებს: მთელი ,,ბელ-რივი" – ქაღალდების დასტა თქვენს ვეება ტორებში! საინტერესოა, დაბრუნდება ოდესმე სტელა აფთიაქიდან?...

(სკამის საზურგეზე მიწვა, თვალები მოხუჭა) სტენლი. ნაცნობი იურისტი მყავს, ის შეისწავლის ამ საბუთებს.

ბლანში. მზითვად თავის ტკივილის წამალიც მიაყოლეთ.

სტენლი. (შეცბუნებული) იცით რა, ნაპოლეონის კოდექსის მიხედვით, ქმარმა ცოლის საქმეებსაც უნდა მიხედოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცოლი ბავშვს ელოდება.

ბლანში თვალებს გაახელს. „ლურჯი პიანინოს“ ჰანგები უფრო ხმამაღლა მოისმის.

ბლანში. სტელა? სტელას ბავშვი ეყოლება? (მეოცნების ხმით) მე კი არაფერი ვიცოდი! (ადგა და გასასვლელი კარისკენ გაეშურა).

სტელა კუთხეში გამოჩნდება სააფთიაქო მუყაოს კოლოფით ხელში. სტენლი კონვერტსა და ზარდახშას საძინებელში გაიტანს. ოთახები ჩაბნელდება. განათებული ქუჩის ფონზე სახლის გარე ფასადი ჩანს.

(ბლანში სტელას ტროტუარზე ხვდება) სტელა, სტელა, ჩემო ვარსკვლავთვალება! რა ბედნიერებაა ბავშვის ყოლა (ეხვევა დაიკოს)!

სტელაც მაგრად ჩაეხუტება.

ბლანში. (ხმადაბლა) გავარკვიეთ, როგორც იქნა! ცოტა კი მაციებს, მაგრამ, მგონი, საქმე მოვაგვარე. ბევრი ვიცინე და ყველაფერი ხუმრობაში გავუტარე. სულ პატარა ბიჭი ვეძახე; ცოტაც წავიკეკლუცე. წარმოიდგინე, შენს ქმარს წავეარშიყე!

სთივი და პაბლო ლუდის ყუთს მიათრევენ. სტუმრები პოკერზე იკრიბებიან...

მამაკაცები დებს შორის ჩაივლიან, ბლანშს სწრაფ, ცნობისმოყვარე მზერას სტყორცნიან და სახლში გაუჩინარდებიან.

სტელა. აპატიე, რა.

ბლანში. ჰო, ეგ კაცი არაა, ვისთვისაც ჟასმინი ყვავის, მაგრამ იქნებ სწორედ ასეთნაირთან სისხლის შერევამ გადაგვარჩინოს ახლა, როდესაც „ბელ-რივი“ დავკარგეთ. აბა, სხვა რა გვიშველის? რა მშვენიერი ცაა! რაკეტით მაინც გამაფრინა და უკან აღარ დამაბრუნა.

დამტარებელი. (მოსახვევში გამოჩნდება ყვირილით) გავიგრილოთ გული!

ბლანში. (უცებ შეკრთა და წამოიკივლა, თუმცა შიშს არ აჰყვა და გაიცინა) ახლა საით წავიდეთ, სტელა?

დამტარებელი. … სიცხისგან.! პაპანაქებისგან!

სტელა. (ხელკავს გაუკეთებს) აქეთ წავიდეთ.

ბლანში. (სიცილით) ბრმა ბრმას აეკიდაო!

მოსახვევში გაუჩინარდებიან, ჯერ კიდევ ისმის ბლანშის უიმედო სიცილი.

პასუხად – სახლს ხარხარი აზანზარებს. „ლურჯი პიანინო“ და შიგადაშიგ საყვირი კი უფრო და უფრო უმატებენ ხმას.

მესამე სურათი

საპოკერო ღამე.

ვან-გოგს ერთი ნახატი აქვს – საბილიარდო ღამით... იგივე განათებაა სამზარეულოში – ძირითადი ფერების უბრალო სპექტრი.

სამზარეულოს მაგიდაზე ყვითელი მუშამბაა გადაფარებული, რომელსაც კაშკაშა მწვანეაბაჟურიანი ლამპა დაჰნათის. მოთამაშეებს – სტენლის, მითჩს, სთივსა და პაბლოს ჭრელი პერანგები აცვიათ: ღიღილოსფერი, ჟოლოსფერი, თეთრი წითელი უჯრედებით, ღია მწვანე; მათი უხეში პირდაპირობა და მანერები სრულიად ჰარმონიულად ერწყმის გარემოს.

მაგიდაზე – საზამთროს ნაჭრები, ვისკის ბოთლები, ჭიქები. საძინებელი ძუნწადაა განათებული, ორ ფერში – ერთი აბაჟურიანი ლამპისგან მოდის, პორტიერის გავლით, მეორე – ქუჩიდან. ბანქოს დარიგებისას მოთამაშეები დუმილს ინარჩუნებენ.

სთივი. აბა, რა გაიხსნა?

პაბლო. ვალეტის წყვილი.

სთივი. ორივე ამყავს.

პაბლო. შენ, მითჩ?

მითჩი. წაიღე.

პაბლო. ერთი მე.

მითჩი. ვისკი... უნდა ვინმეს?

სტენლი. მე.

პაბლო. ისე, სულ მე რომ ავიყვანო, ვერა?

სტენლი. მე ვაგებ, შენ კიდევ მადა გაგეხსნა. აღარავინ ჩამოდის? გავხსნათ? გავხსენით. აბა, მითჩ, ტრაკი გასწიე მაგიდიდან, გამოიჭიმა! რაკიღა ვთამაშობთ, მაგიდაზე უნდა იყოს მარტო კარტი, მაყუთი და ვისკი (გადაიწია. ფართო ჟესტით მაგიდიდან პირდაპირ იატაკზე გადახვეტა საზამთროს ქერქები).

მითჩი. რა, ჩამოდიხარ უკვე?

სტენლი. ვის რამდენი უნდა?

სთივი. მე – სამი.

სტენლი. მე – ერთი.

მითჩი. ისევ გავიარე. შინ წასვლის დროა უკვე.

სტენლი. მოკეტე, რა.

მითჩი. დედა ავადაა. ვიდრე არ მივალ, თვალს არ მოხუჭავს.

სტენლი. ჰოდა, მჯდარიყავი მის გვერდში.

მითჩი. პირიქით! სულ იმას მეუბნება, ხალხში გაერიეო. მეც გამოვდივარ, მაგრამ არ მიხარია, მისი დარდი მაქვს.

სტენლი. ეეეხ, გაიარე, რა!

პაბლო. რა გყავს?

სთივი. ფლეში. ყვავი.

მითჩი. თქვენ, ყველას, ცოლები გყავთ. მე კი... დედაც რომ აღარ მეყოლება, მარტო დავრჩები, მინდვრის თაგვივით. აბაზანაში გავალ.

სტენლი. დროზე მოდი რა, თორემ გიპწკენთ.

მითჩი. წადი შენი... (სააბაზანოში გადის) სთივი. (არიგებს) შვიდი გაყრაზე. (დარიგებისას მორიგ იგავს ჰყვება) ერთი ზანგის კაცი თავის ეზოში ზის; ზის და წიწილებს სიმინდის მარცვლებს უყრის... უცებ სასოწარკვეთილი კრიახი ისმის, სახლის კუთხიდან თავპირისმტვრევით გამორბის ვარია, კუდში მამალი მოსდევს; დაეწევა მამალი, შეაჯდება...

სტენლი. (მოუთმენლად) ჩამოარიგე, რა!

სთივი. ...როგორც კი მამალი საკენკს შეამჩნევს, დედალს თავს ანებებს და მარცვლის კენკვას იწყებს. ეს ზანგი უყურებს და ამბობს: ,,ღმერთო, რა იქნება, ოდესმე მეც აგრე მომშივდებოდეს“!

სთივი და პაბლო ხარხარებენ. ქუჩის მოსახვევში დები გამოჩნდნენ.

სტელა. ვერ მორჩნენ აქამდე.

ბლანში. აბა, როგორ გამოვიყურები?

სტელა. ლამაზი ხარ, ბლანშ.

ბლანში. ისე მცხელა, არაქათი გამომეცალა. მოიცა, ჯერ არ გააღო. პუდრს წავიცხებ ცოტას. ძალიან დაქანცული იერი მაქვს?

სტელა. სულაც არა, ყვავილს ჰგავხარ.

ბლანში. რამდენიმე დღის მოწყვეტილს, არა?

სტელა კარს აღებს, შედიან.

სტელა. უყურე ამათ... თქვენ, მეგობრებო, როგორც ჩანს, დამთავრებას არ აპირებთ?

სტენლი. სად იყავით?

სტელა. რევიუზე მყავდა ბლანში. ბლანშ, ეს მისტერ გონსალესია, ეს კი, მისტერ ჰაბელი.

ბლანში. გთხოვთ, ნუ წამოდგებით.

სტენლი. არც არავინ აპირებს, ნუ წუხხართ.

სტელა. კიდევ დიდხანს ითამაშებთ?

სტენლი. ვიდრე არ მოვრჩებით.

ბლანში. ჰო, პოკერი მაგარი შემყოლია. ვინმეს ხომ არ მოგიჯდეთ გვერდში?

სტენლი. არა. იუნისთან მაინც ადით, რა?

სტელა. რას ამბობ, სამის ნახევარია!

ბლანში საძინებელში გავიდა და პორტიერი ნახევრად გადასწია.

კარგი რა, ცოტა დროულად მოამთავრეთ ეგ პარტია.

სკამმა გაიჭრიალა. სტენლიმ მეუღლეს ხმაურიანად შემოუტყაპუნა ხელი უკანალზე.

(მკვეთრად) არ მეცინება, სტენლი!

კაცები ახორხოცდნენ.

(საძინებელში გადის) როგორ მაცოფებს ასეთი გამოხდომები სხვების თანდასწრებით.

ბლანში. აბაზანას მაინც მივიღებ.

სტელა. ისევ?

ბლანში. ნერვები. რა, დაკავებულია?

სტელა. არ ვიცი.

ბლანში მიაკაკუნებს. კარი გაიღო. პირსახოცზე ხელების წმენდით მითჩი გამოდის.

ბლანში. უი... გამარჯობათ.

მითჩი. გაგიმარჯოთ (მიაშტერდება).

სტელა. ბლანშ, ეს ჰეროლდ მითჩელია. ჩემი და – ბლანშ დჟუბუა.

მითჩი. (უხეში გალანტურობით) ქედს ვიხრი, მისს დჟუბუა.

სტელა. დედა როგორაა, მითჩ?

მითჩი. გმადლობ, ისევ ისე. მდოგვისთვის მადლობას გწირავთ. უკაცრავად (ნელა გადის სამზარეულოში, თან ბლანშს გამოხედავს და უხერხულად ჩაახველებს. უცებ მიხვდება, რომ პირსახოცი გაჰყოლია და შეცბუნებული უბრუნებს სტელას).

ბლანში. (აშკარა ინტერესით შეათვალიერებს) ეს გაცილებით ზრდილობიანი ჩანს.

სტელა. ჰო, ასეა.

ბლანში. რაღაც უხალისოდ გამოიყურება.

სტელა. დედა ჰყავს ავად.

ბლანში. ცოლიანია?

სტელა. არა.

ბლანში. მექალთანეა?

სტელა. რას ამბობ, ბლანშ?!

ბლანში იცინის.

მეტი არაა ჩემი მტერი.

ბლანში. რითია დაკავებული, რას საქმიანობს (ბლუზას გაიხსნის)?

სტელა. ზეინკალ-მეინსტრუმენტეა, იმავე ქარხანაშია, სადაც სტენლი.

ბლანში. სოლიდური თანამდებობაა?

სტელა. არც ისე... მთელი მათი კომპანიიდან სტენლი თუ წაიწევს წინ.

ბლანში. მართლა?

სტელა. აბა, ერთი შეხედე.

ბლანში. შევხედე.

სტელა. მაშ, რაღას მეკითხები.

ბლანში. უნდა გაგაწბილო, მაგრამ სტენლის შუბლზე გენიოსის ბეჭედი ნამდვილად ვერ შევამჩნიე (ბლუზას იხდის და პორტიერიდან გამომავალ შუქზე დგას. მხოლოდ ვარდისფერი აზღუდი და თეთრი ბოლოკაბა აცვია).

კაცები თამაშს განაგრძობენ, მათი ხმები თითქოს შორიდან ისმის.

სტელა. რა შუაშია გენიოსობა?

ბლანში. აბა როგორ? საინტერესოა.

სტელა. მასში ძალაა – ძალა! პირდაპირ სინათლეზე დგახარ, ბლანშ.

ბლანში. უი, მართალია... (სინათლის ყვითელ ზოლს მოერიდება) სტელა. (კაბას იხდის და ლურჯი ატლასის კიმონოს იცვამს. პატარა გოგონასავით ხმამაღლა კისკისებს) ნეტავ, განახვა, რა ცოლები ჰყავთ!

ბლანში. (სიცილით) წარმომიდგენია. ზორბა, ჩათქვირებული დედაკაცები...

სტელა. ჩვენ ზემოთ რომ ცხოვრობს, იცი, ერთხელ (უფრო ხმამაღლა აკისკისდა)... ერთხელ მან... (სიცილი) ჩვენთან ბათქაში... (სიცილის ახალი ტალღა) სულ თავზე ჩამოგვეყარა...

სტენლი. ეე, დედაკაცებო, გეყოთ!

სტელა. ვითომ არ გესმით.

სტენლი. სამაგიეროდ, თქვენ გესმით ჩემი, ჩუმად-მეთქი!

სტელა. საკუთარ სახლში ვარ, მინდა და ვლაპარაკობ.

ბლანში. სტელა, ნუ ატყდები ახლა.

სტელა. გადაკრულშია... ახლავე მოვალ (სააბაზანოში გადის).

ბლანში დგება, ნელ-ნელა, თითქოს ეზარებაო, მიდის პატარა თეთრ რადიომიმღებთან, რთავს.

სტენლი. მითჩ, შენი ჯერია.

მითჩი. რა? აა, ჰო, მე – პას.

ბლანში ისევ სინათლის ზოლში დგება. ხელებს თავზე შემოიწყობს, ნელა იზმორება, ზანტად უახლოვდება თავის სკამს. მიმღებიდან კი რუმბა იღვრება. მითჩი დგება.

სტენლი. ვინ ჩართო?

ბლანში. მე, რა იყო?

სტენლი. გამორთეთ.

სთივი. უსმინონ გოგოებმა, რას ერჩი? მოიწყინეს ალბათ.

პაბლო. გებრალებიან? ისე, მართლა კაი მუსიკაა.

სთივი. მგონი – ზევიერ კიუგეტია, არა?

სტენლი წამოხტება, რადიომიმღებს ეცემა, გამორთავს. შეამჩნევს სკამზე მჯდომ ბლანშს, განგებ შეყოვნდება. ქალი თვალს თვალში გაუყრის, ისე, რომ არც კი დაახამხამებს. სტენლი ისევ მაგიდას უბრუნდება. ამასობაში მოთამაშეები შეკამათდებიან.

არ მახსოვს, ამდენი თუ გქონდა ნათქვამი.

პაბლო. რამდენი მაქვს ნათქვამი, მითჩ?

მითჩი. არ გამიგონია.

პაბლო. აქ არ იყავი?

სტენლი. პორტიერს გასცქეროდა (წამოხტა და ბრაზით გადასწია ფარდა). ხელახლა მოგვიწევს დარიგება. მოკლედ, ან ვთამაშობთ, ან ვიშლებით! ზოგიერთი ადგილზე ვეღარ ჩერდება, როგორც კი მოიგებს, შარვალში რაღაც აუჩუჩუნდება ხოლმე. (ჯდება) მითჩი დგება.

(უყვირის) იჯექი!

მითჩი. ტუალეტში გავალ. სულელს ეთამაშეთ.

პაბლო. არა, ბიჭო! შვიდი ხუთიანი მოიგდო ჯიბეში და კიდეც არ აუჩუჩუნდეს?!

სთივი. ხვალ დილით ოცდახუთცენტიანებად გადაახურდავებს.

სტენლი. ჰო, და მერე იმ გოჭუნას გამოაძღებს, დედიკომ რომ საშობაოდ აჩუქა.

ყველაზე საიმედო ყულაბაა. (კარტს არიგებს) გინდ გითამაშია, გინდ არა...

მითჩი უხერხულად გაიცინებს და პორტიერს ჩაუვლის. ჩერდება.

ბლანში. (ხმადაბლა) საჭირო ოთახი დაკავებულია...

მითჩი. იცით. ლუდმა...

ბლანში. ატანა არა მაქვს.

მითჩი. სიცხეში ერთადერთი საშველია.

ბლანში. ჩემთვის არა. ლუდი მთენთავს. სიგარეტი გექნებათ? (მუქი წითელი ატლასის ხალათი მოისხა) მითჩი. რასაკვირველია.

ბლანში. რა გაქვთ?

მითჩი. „ლაქი".

ბლანში. წავა. ლამაზი პორტსიგარი გქონიათ. ვერცხლისაა?

მითჩი. დიახ. აბა, წაიკითხეთ რა აწერია.

ბლანში. უი, წარწერაც ჰქონია! ვერ ვარჩევ...

მითჩი ასანთს გაჰკრავს, ახლოს მიიწევა.

უ-უ... (კითხვისას განგებ ბორძიკობს) ...თუკი უფალი ინებებს, სიკვდილის მერეც ძლიერ მეყვარები!

ო... მისის ბრაუნინგი! ჩემი საყვარელი სონეტიდანაა!

მითჩი. იცით?

ბლანში. აბა რა?

მითჩი. ამ წარწერას მთელი ისტორია ახლავს.

ბლანში. როგორც რომანში.

მითჩი. არცთუ მხიარულში.

ბლანში. რას მეუბნებით...

მითჩი. ასეა. ახლა ეს გოგონა უკვე იმ ქვეყნადაა.

ბლანში (თანაგრძნობით) უი!

მითჩი. როცა ამას მჩუქნიდა, იცოდა, რომ ვეღარ გადარჩებოდა. ძალიან უცნაური გოგონა იყო, სათნო და საყვარელი!

ბლანში. ალბათ, უყვარდით. ავადმყოფებს ძალიან ღრმა და გულწრფელი გრძნობები აკავშირებთ საყვარელ ადამიანთან.

მითჩი. მართალს ბრძანებთ. თუმცა გვტოვებენ.

ბლანში. ეტყობა, ასე უწერიათ. განსაცდელში მყოფი ადამიანი გაცილებით გულახდილია.

მითჩი. ცხადია: გულწრფელობას გასაჭირი ბადებსო, ნათქვამია.

ბლანში. დიახ, გულწრფელობა იმასღა შერჩა, ვინც ტკივილი გადაიტანა.

მითჩი. მართალია.

ბლანში. ზუსტად ასეა! აბა, ერთი ადამიანი მაინც მიჩვენეთ, ვისაც უბედურება არ დასტყდომია თავს და... უკაცრავად, რაღაც ენა მებმება. არადა, სულ თქვენი ბრალია – მამაკაცების! წარმოდგენა თერთმეტზე დასრულდა, სახლში კი ვერ წამოვედით – თამაშიაო! ჰოდა, ჩვენც გადავუხვიეთ, რომ თითო გადაგვეკრა. არადა, არ ვარ მიჩვეული ერთ ჭიქაზე მეტს. ორი ჭიქა უკვე მეტისმეტია, სამი კი... (იცინის) დღეს სამი მომიწია.

სტენლი. მითჩ!

მითჩი. უჩემოდ განაგრძეთ! ვლაპარაკობ მისს...

ბლანში. დჟუბუასთან.

მითჩი. დჟუბუა?

ბლანში. ჰო, ფრანგული გვარია, „ხეებს“ ნიშნავს, ბლანში კი – „თეთრს“: თეთრი ხეები. გაზაფხულზე აყვავებული წალკოტივით... ამის მიხედვით დაიმახსოვრეთ ჩემი გვარ-სახელი.

მითჩი. თქვენ ფრანგი ხართ?

ბლანში. წარმოშობით. ამერიკაში საფრანგეთიდან გადმოსული პირველი დჟუბუები ფრანგი ჰუგენოტები იყვნენ.

მითჩი. სტელას და ხართ, ხომ?

ბლანში. კი, სტელა ჩემი საყვარელი, პატარა დაიკოა. პატარაა-მეთქი კი ვამბობ, მაგრამ ჩემზე ცოტა უფროსია. სულ ცოტათი. წელიწადზე ნაკლებით. ერთ თხოვნას შემისრულებთ?

მითჩი. ცხადია! რა გნებავთ?

ბლანში. ბურბონის ქუჩაზე, ჩინელების დახლთან, ქაღალდის აბაჟური ვიყიდე. მშვენივრადაა გაფორმებული. ნათურას ვერ მიმიმაგრებთ? თუ არ შეწუხდებით...

მითჩი. პატივად ჩავთვლი.

ბლანში. ვერ ვიტან შიშველ ნათურას. ტუტუცურ გამოხდომას მაგონებს.

მითჩი. (აბაჟურს ამაგრებს) ვშიშობ, ჩვენსავით უხეში კომპანია თქვენს გემოვნებაში არ ჯდება.

ბლანში. ყველაფერს იოლად ვეგუები.

მითჩი. შესანიშნავი თვისებაა. სტუმრად ჩამოხვედით?

ბლანში. სტელა ვერ არის კარგად, ჰოდა, მეც ჩამოვედი, ხელს წავუკრავ რამეზე. მეტისმეტად გამხდარია.

მითჩი. და ოჯახი...

ბლანში. მყავს თუ არა? გაუთხოვარი ვარ, შინაბერა, თან მასწავლებელი.

მითჩი. სკოლაში სწავლება არ გაგიჭირდებათ, მაგრამ რა შინაბერა თქვენა ხართ!

ბლანში. მადლობას მოგახსენებთ, სერ. მოვიხიბლე თქვენი გალანტურობით.

მითჩი. ესე იგი, ასწავლით?

ბლანში. სამწუხაროდ, ასეა...

მითჩი. დაწყებითში თუ საშუალოში? …

სტენლი. (ხმის ჩახლეჩამდე) მითჩ!

მითჩი. მოვდივარ!

ბლანში. ფილტვებიც ამას ჰქვია! საშუალო სკოლაში, ლორელში.

მითჩი. და რას ასწავლით?

ბლანში. თქვენი აზრით?

მითჩი. ნაძლევს ჩამოვალ, ან მუსიკას, ან ხატვას.

ბლანშს გაეცინება.

აჰ, ვერ გამოვიცანი, არა? იქნებ არითმეტიკას?

ბლანში. რას ბრძანებთ, სერ. არითმეტიკას! (სიცილით) გამრავლების ტაბულაც კი ვერ შევისწავლე. საუბედუროდ, ინგლისურ ენას ვასწავლი. ვცდილობ, მოწიწება აღვუძრა ჰოთორნის, უიტმენისა და პოს მიმართ კიკინიან გოგონებსა და უალკოჰოლო ლიმონათით გაჭყეპილ მამლაყინწა რომეოებს.

მითჩი. მათ კი თავი სულ სხვა რამით ექნებათ გამოტენილი.

ბლანში. რასაკვირველია! უმეტესობა კლასიკური მემკვიდრეობის გარეშეც სიამოვნებით იცხოვრებდა. მაგრამ მაინც მიყვარან. რთულია, გულგრილად შეხედო მათ პირველ სასიყვარულო ვნებათაღელვებს, განსაკუთრებით – გაზაფხულზე. თითქოს მათით იწყება ყველაფერი, თითქოს მანამდე მსგავსი არავის არაფერი განუცდია...

სააბაზანოს კარი იღება, სტელა გამოდის.

მორჩი უკვე? მოიცა, რადიოს ჩავრთავ (ჩამრთველს გადაატრიალებს).

რადიომიმღებიდან გაისმა: „ო, ვენა, ვენა, მხოლოდ შენ“... ბლანში ვალსის რიტმს აჰყვება, მისთვის ეს რომანტიკული ცეკვაა. აღფრთოვანებული მითჩი ბლანშს

წაუცეკვებს. გაწვრთნილი დათვივით გამოუვა. პორტიერების გავლით სტენლი საძინებელში შეიჭრა. მიმღებს ეცა, მაგიდას მოსწყვიტა და ღრიალითა და ლანძღვა-გინებით ფანჯრიდან გადაუძახა.

სტელა. მთვრალი ხარ! გამომტყვრალი, საქონელო! (სამზარეულოში შევარდება) აბა, ყველამ მოუსვით, მოცოცხეთ სახლებში, ერთი წვეთი ნამუსი თუ მაინც შეგრჩენიათ...

ბლანში. (ელდანაკრავი) სტელა, ფრთხილად, ის...

სტენლი სტელას დაესხა თავს.

კაცები. (დაბნეულები) ე-ე, სტენლი, ძმაო, ცოტა რბილად მოიქეცი, ჩვენ, ჯობია....

სტელა. როგორ გიბრუნდება ხელი ჩემს დასარტყმელად, როცა მე... (უკან დაიხევს და გაუჩინარდება. სტენლიც კუდში მიჰყვება და მიიმალება) დარტყმის ხმა, სტელას ყვირილი. გულგახეთქილი ბლანში სამზარეულოში შევარდება. კაცები მისაშველებლად გარბიან. გინებისა და ჯაჯგურის ხმები ისმის. იატაკზე რაღაც დაანარცხეს.

ბლანში. (სულისგამყინავად) სტელა ხომ ფეხმძიმედაა!

მითჩი. აი, კოშმარი...

ბლანში. მხეცი! სულ გაცოფდა!

მითჩი. გამოათრიეთ, ბიჭებო.

ორმა კაცმა სტენლის ხელები გადაუგრიხა და საძინებელში უკრა თავი. სტენლი უძალიანდება და ლამის ხელიდან უსხლტება. მაგრამ უცებ დაოკდა, მიჩუმდა და მოიმჩვარა. ძმაკაცები მშვიდად ესაუბრებიან, არიგებენ, ის ერთ-ერთს მხარში თავს ჩაურგავს.

სტელა. (სცენის უკან, გაუცხოებული ხმით) აქ აღარ დავრჩები, არა! წავალ ახლავე!

მითჩი. სახლში თუ ქალები არიან, პოკერი გამორიცხულია.

ბლანში (საძინებელში შევარდება) სტელას კაბა სადაა! მაღლა ავდივართ, იმასთან...

მითჩი. სად დევს?

ბლანში. (კედლის კარადას აღებს) აი. (დასთან გავარდება) სტელა, საყვარელო! მოდი, გენაცვალე, ნუ გეშინია. (დას გადაეხვევა და კარიდან გავლენ. დები ზემოთ ადიან კიბით).

სტენლი. (უაზროდ) რა ხდება? რა იყო აქ?

მითჩი. მაგარი სანახაობა მოგვიწყვე, სტენლი!

პაბლო. უკვე ყოჩაღად არის.

სთივი ჩვენი ბიჭი ყოველთვისაც ყოჩაღია!

მითჩი. საწოლზე დააწვინეთ და სველი ტილო თავზე.

პაბლო. ყავაც არ აწყენდა, ეგრევე მოვა გონზე.

სტენლი. (ჩახლეჩილი ხმით) წყალი...

მითჩი. ონკანის ქვეშ შეაყოფინეთ თავი.

ძმაკაცები სტენლის სააბაზანოში შესვლაზე დაიყოლიებენ.

სტენლი. გამი! გამიშვით ხელი, თქვე ძაღლიშვილებო!

სააბაზანოდან დარტყმის ხმები ისმის, მერე დიდი ჭავლით წამოვა წყალი.

სთივი. აბა, ავითესეთ, დროზე!

ყველანი სათამაშო მაგიდასთან მიირბენენ, გზად მოგებული თანხით ივსებენ ჯიბეებს და გადიან.

მითჩი (სევდიანად, მაგრამ გადაჭრით) არა, რა, სახლში თუ ქალებია, პოკერი გამორიცხულია.

კარი გაიხურეს. სახლი დაცარიელდა და ჩაჩუმდა. მოსახვევის ბარიდან შავი მუსიკოსები „ქაღალდის თოჯინას“ დაკვრას იწყებენ, ჯერ გაწელილად, მერე ბოლო ხმაზე.

სტენლი (სააბაზანოდან გამოჩნდა. ჯერაც არ გამშრალა, მხოლოდ სველი, შემოტმასნილი თეთრი საცვალი აცვია) სტელა! (პაუზა) წასულა ჩემი თოჯინა, მიმატოვა! (ცრემლებს ღვრის. ზლუქუნით უახლოვდება ტელეფონს და ნომერს კრეფს) იუნის? ჩემი პატარა მალაპარაკეთ. (ელოდება, ყურმილს დაკიდებს და ისევ იღებს ნომერს) იუნის! არ დაგანებებთ, სანამ ჩემს პატარას არ დაველაპარაკები!

ყურმილში ერთი წიოკი და ალიაქოთი ისმის, ვერ გაარჩევ, ვისი ხმაა.

ტელეფონის აპარატი ძირს დაახეთქა.

როიალისა და სპილენძის დისონირებული ხმების თანხლებით ოთახი სიბნელეში იძირება და ღამის ქუჩიდან ანარეკლ შუქზე სახლის კონტურები იხატება. მოგვიანებით, საქმეში „ლურჯი პიანინო“ ერთვება.

(ნახევრად ჩაცმული, ბარბაცით გადის წინკარში, ხის საფეხურებზე დაეშვება და ქვაფენილზე, სახლის წინ დგება. თავს უკან გადაიქნევს, თითქოს ძაღლი შეყმუის მთვარეს და მთელი ხმით აღრიალდა) სტელა! სტელა! ჩემო შეუდარებელო სტელა! სტელა-ა-ა-ა!

იუნისი. (ზევით, საკუთარი სახლის კარში გამოჩნდება) გეყოთ ღრიალი! დროზე – საწოლში!

სტენლი. მე მინდა ჩემი პატარა ჩამოვიდეს! სტელა! სტელა!

იუნისი. არსადაც არ ჩამოვა, ტყუილად ყვირით. გინდათ პოლიციას გააგონოთ?!

სტენლი. სტელა!

იუნისი. ჯერ ცემს, მერე – დაბრუნდიო. ის გოგო კი ამისგან ბავშვს ელოდება. საძაგელო! პოლონელის ნაშიერო! კარგი იქნება, მაგ ქეჩოში წაგავლებდნენ ხელს და ბრანდსპოიტის ქვეშ დაგაყენებდნენ, მაშინდელივით!

სტენლი. (მორჩილად) იუნის, დამიბრუნეთ ჩემი გოგონა, დამიბრუნდეს უკან!

იუნისი. თფუ! (კარს შეიჯახუნებს) სტენლი. (სულისშემძვრელი სასოწარკვეთილებით) სტელა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა!

კლარნეტის ხმადაბალი კვნესა გაისმა.

ზევით ისევ იღება კარი. სტელა მორყეულ კიბეზე ცდილობს ჩაპარვას. თვალებზე ჯერ კიდევ უბრწყინავს ცრემლები, გაშლილი თმა მხრებზე აყრია. ერთმანეთს შესცქერიან. უცებ ცხოველური აღტკინებით ჩაეხვევიან ერთმანეთს. სტენლი მუხლებზე ეცემა და სტელას უკვე საკმაოდ მომრგვალებულ მუცელზე ეკვრის. თვალცრემლიანი სტელა ქმარს თავზე ეხვევა და წამოაყენებს. სტენლი შესასვლელ კარს მოაფრიალებს, ცოლს ხელში აიტაცებს და სიბნელეში გაუჩინარდა.

ბლანში. (ზედა სართული. შუშაბანდში ხალათჩაცმული ბლანში გამოჩნდება, შეშინებული ჩამოდის კიბეზე) ჩემი დაიკო რა იქნა? სტელა... სტელა! (ზღურბლთან შედგება. დის სახლი უკუნეთში ჩაფლულა. უცებ, ელდანაკრავივით მოსწყდება ადგილს და სახლის წინ, ტროტუარზე გავარდება. ხან აქეთ ეცემა, ხან იქით, აღარ იცის, რა წყალში ჩავარდეს, სად ეძებოს გამოსავალი).

მუსიკა ჩაჩუმდა.

მითჩი. (კუთხიდან გამოჩნდება) მის დჟუბუა?

ბლანში. დიახ...

მითჩი. აბა, პოტომაკზე სიმშვიდეა?

ბლანში. ისევ შერიგდნენ... იქ არიან... ერთად...

მითჩი. ერთად იქნებიან, აბა, როგორ!

ბლანში. შოკში ვარ!

მითჩი. ჰო-ჰო! კაი ერთი! გიჟდებიან ერთმანეთზე!

ბლანში. ამგვარ რამეს ნაჩვევი არ გახლავართ...

მითჩი. ჰო, მართლაც, ცუდად მოუვიდა! რაღა თქვენ წინაშე გადაირია.

ბლანში. რა ველურობაა! ეს ხომ...

მითჩი. მოდით, აქ, საფეხურზე, ჩამოვსხდეთ, თითო ღერი გავაბოლოთ.

ბლანში. არც ისე ვარ ჩაცმული, რომ...

მითჩი. ჩვენს უბანში ამას ყურადღებას არ აქცევენ.

ბლანში. რა საოცარი პორტსიგარია...

მითჩი. წარწერა არ მიჩვენებია თქვენთვის?

ბლანში. კი, მიჩვენეთ. (ზეცას ახედავს. დუმს) ამ ცხოვრებაში რამდენი დავიდარაბაა, ღმერთო...

მითჩმა მორიდებით ჩაახველა.

მადლობა – თქვენ კეთილი ხართ. მე კი ახლა... მჭირდება სიკეთე.

მეოთხე სურათი

ადრიანი დილაა. ქუჩის მრავალხმიანი ყაყანი რაღაცით ჩამოჰგავს საეკლესიო გუნდის ბუბუნს. სტელა საძინებელ ოთახშია, ჯერ კიდევ წევს და მზის შუქზე ნებივრობს. სახე გაბადრული აქვს, განაზებული და რაღაც არაამქვეყნიური, როგორც აღმოსავლურ კერპებს. ცალი ხელი მომრგვალებულ მუცელზე დაუდვია, მეორეში – ფერადფურცლიანი კომიქსის ბუკლეტი უკავია. მაგიდაზე დომხალია – საუზმის ნარჩენები, წუხანდელი ღამის ნაკვალევი. სააბაზანოს ზღურბლზე სტენლის ჭრელი პიჟამა გდია. ოდნავ შემოღებულ შემოსასვლელ კარში ზაფხულის ცა ანათებს. ზღურბლზე ბლანში დგას. უძილო ღამეს უკვალოდ არ ჩაუვლია. მას ისეთივე მშვიდი სახე როდი აქვს, როგორიც სტელას. ტუჩებზე ნერვულად იდებს თითებს. ვიდრე შემოვა, იჭყიტება, იქაურობას ათვალიერებს.

ბლანში. სტელა.

სტელა (ზანტად გადმობრუნდა) მ-მ-მ?

ბლანში. (ყრუდ შეჰკივლებს, საძინებელში შევარდება და სინაზემორეული მოწყვეტით ჩაიჩოქებს დის საწოლთან) ჩემო ვარსკლავთვალებავ! ჩემო დაიკო!

სტელა. (უკან გადაიწევა) რა გჭირს, ბლანშ?

ბლანში. (ნელა ადგება და საწოლთან გაჩერდება. ტუჩებზე თითებს მიიჭერს, თან დას თვალს არ აცილებს) წავიდა?

სტელა. სტენი?... ჰო.

ბლანში. მაგრამ დაბრუნდება, არა?

სტელა. ჰო. სახელოსნოდან მანქანის გამოსაყვანად წავიდა. რა ხდება?

ბლანში. რა ხდება?! გული გამისკდა, გამოპარული რომ გნახე! მომხდარის შემდეგ რამ გაფიქრებინა შერიგება? ვიფიქრე, გავეკიდები...

სტელა. კიდევ კარგი, არ გამომეკიდე.

ბლანში. რაზე ფიქრობდი?

სტელა მხრებს აიჩეჩს.

მიდი, მითხარი, რაზე ფიქრობდი?

სტელა. გეყო რა, ბლანშ! დაჯექი და მოთქმა შეწყვიტე.

ბლანში. კარგი, სტელა. მოთქმის გარეშე გკითხავ. ასე უცებ როგორ დაუბრუნდი?... თან ღამეც ერთად გაგიტარებიათ...

სტელა. (საწოლიდან წამოდგება. წყნარია და ზანტი) სულ დამავიწყდა – როგორი ეგზალტირებული გვყავხარ... ამდენი დავიდარაბის ატეხა გაგონილა ასეთ წვრილმანზე?

ბლანში. წვრილმანზე?

სტელა. წვრილმანია, ბლანშ, აბა, რა არის? მესმის შენი, გასაგებია, რომ შეწუხებული ხარ და გული მტკივა, ამ ყველაფერს რომ შეესწარი, მაგრამ არც ისე საშინლადაა საქმე, როგორც ახლა გეჩვენება. ჯერ ერთი, როდესაც მთვრალი კაცები პოკერს თამაშობენ, ეს სიკეთით იშვიათად მთავრდება. ჩათვალე, დენთის კასრზე სხედან. აღარაფერი ახსოვს!... ჩემი დაბრუნებით კი ყველაფერი დამშვიდდა. ახლა მართლა რცხვენია მომხდარის გამო. აწი ბუზსაც აღარ ამიფრენს.

ბლანში. ანუ, ყველაფერი ხუთიანზეა, არა?

სტელა. არა, ასეთ აურზაურში, აბა, ხუთიანზე რა იქნება, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება... სტენლის უყვარს დებოშის ატეხა. ჩვენი ქორწილის ღამეს, აქ მაშინ პირველად შემოვედით, ჩემი ქოში აიღო და მთელი ნათურები ჩამოლეწა...

ბლანში. რა-ა-ა?

სტელა. ქოშის ქუსლით დაერია ნათურებს, ერთიც არ დატოვა მთელი. (იცინის) ბლანში. მერე, იდექი და უყურებდი? არ გაექეცი? დაყვირებით მაინც არ დაიყვირე?

სტელა. იცი... სადღაც სასაცილოდაც კი მომეჩვენა. (დუმილი) იუნისთან ისაუზმე?

ბლანში. რა მესაუზმებოდა!

სტელა. ყავა ქურაზეა.

ბლანში. და შენ, ამ ყველაფერს ჩვეულებრივად აღიქვამ?

სტელა. რატომაც არა. რადიომიმღები გასარემონტებლად წაიღო. ქვაფენილზე არ დანარცხებულა, მხოლოდ ერთი ლამპა გაუტყდა და მორჩა.

ბლანში. იღიმები კიდეც?

სტელა. აბა, თავი მოვიკლა?

ბლანში. სიმართლეს გაუსწორე თვალი.

სტელა. რა სიმართლეს გულისხმობ?

ბლანში. იმას, რომ გიჟს გაჰყოლიხარ ცოლად!

სტელა. არა.

ბლანში. არა კი არა – კი! ჩემზე უარეს ჭაობში ხარ ჩაფლული. უბრალოდ, შენ თვალებს ხუჭავ, მე კი არ შემიძლია გულხელდაკრეფილი ვიჯდე. აი, ძალებს მოვიკრებ და ახალ ცხოვრებასაც დავიწყებ!

სტელა. ჰო?

ბლანში. შენ ყველაფერს შეეგუე. და ასე არ შეიძლება. ჯერაც ახალგაზრდა ხარ, თავის დახსნა შეგიძლია.

სტელა. (ნელა, მაგრამ გამოთქმით) არ მჭირდება!

ბლანში. (ვერ იჯერებს) ანუ? რას გულისხმობ, სტელა?

სტელა. მე ვთქვი: რომ ბედს არ ვუჩივი და არ მჭირდება თავის დახსნა. ნახე რა არეულობაა, საჯინიბო გეგონება. წარმოიდგინე, ორი ყუთი ლუდი დალიეს წუხელ, აბა, რა იქნებოდა?! დღეს კი დამპირდა, სახლში პოკერს აღარასოდეს ვითამაშებო. დიდი ამბავი! ხომ უნდა გაერთოს რამით! მე, მაგალითად, კინოში დავდივარ გასართობად და ბრიჯს ვთამაშობ. ასე რომ, თითო ნაკლი ყველასა გვაქვს.

ბლანში. მართლა არ მესმის შენი.

სტელა მისკენ გადმობრუნდება.

არ მესმის შენი აპათიის. რა, ჩინური ფილოსოფიის მიმდევარი ხარ?

სტელა. რა?

ბლანში. მთელი ეს შენი ლუღლუღი... „მხოლოდ ერთი ლამპა გატყდა, ლუდის ბოთლებიო, საჯინიბოო“... – თითქოს ყველაფერი ასეც უნდა იყოს.

სტელა გაუბედავად იცინის, ცოცხს აიღებს და ხელში ატრიალებს.

რას შვრები, განგებ მიტრიალებ მაგ ცოცხს სახეში?

სტელა. სულაც არა.

ბლანში. მორჩი. დადე ეგ ცოცხი. მის ნაგავს შენ არ უნდა ხვეტდე.

სტელა. აბა, ვინ მიალაგებს? შენ?

ბლანში. მე? მე?!

სტელა. არა, რა თქმა უნდა, ეს არ მიგულისხმია.

ბლანში. მოიცა, აბა, ტვინი გავანძრიოთ... თუკი აზროვნების უნარი კიდევ შემრჩენია, მგონი, ვიცი, რაც უნდა მოვიმოქმედოთ. ფული უნდა ვიშოვოთ! აი – გამოსავალი!

სტელა. ცხადია, ფული არავის აწყენს.

ბლანში. მისმინე, ერთი აზრი მომივიდა. (აკანკალებული ხელით დებს სიგარეტს მუნდშტუკში) შეფ ჰანთლი თუ გახსოვს?

სტელა უარყოფის ნიშნად აქნევს თავს.

როგორ არ გახსოვს შეფ ჰანთლი! მასთან ერთად კოლეჯში ვსწავლობდი, სულ ერთად დავდიოდით. ყველას ეგონა, რომ მეარშიყებოდა; ჰოდა...

სტელა. მერე?

ბლანში. ამ ზამთარს ერთმანეთს შევხვდით. ხომ იცი, საშობაო არდადეგებზე მაიამიში ვიყავი ჩასული.

სტელა. არა, არ ვიცოდი.

ბლანში. ჰო, ვიყავი. გადავწყვიტე, რომ მოგზაურობაში ჩადებულ ფულს უკანვე ამოვიღებდი. ოდესმე მეც ხომ უნდა შევხვედროდი ვინმე მილიონერს!

სტელა. და შეხვდი?

ბლანში. ჰო, შეფ ჰანთლის. ბისკაის ბულვარზე, შობის წინაღამეს, შებინდებულზე... მანქანაში ჯდებოდა – უგრძელეს კადილაკში, ასახდელი სახურავით...

სტელა. ალბათ ქალაქში ასეთი მანქანით მოხვევა გაჭირდება.

ბლანში. ნავთობის ჭაბურღილებზე გსმენია რამე?

სტელა. ჰო... მგონი, მსმენია.

ბლანში. მთელი ტეხასის მასშტაბით აქვს ჭაბურღილები. ეს შტატი პირდაპირ ოქროს საბადოა მისი ჯიბისთვის.

სტელა. ყოჩაღ ბიჭი!

ბლანში. ხომ იცი, ფული სულ არ მაღელვებს, ან უბრალოდ სულ ცოტათი მაღელვებს... ჰოდა, ვიფიქრე, ორიოდე კაპიკი არ დააზარალებს-მეთქი.

სტელა. რას გულისხმობ, ბლანშ?

ბლანში. საქმის წამოწყებაში რომ დაგვეხმაროს... სადმე პატარა მაღაზია რომ ჩაგვედგა, თუნდაც ჯიხურისოდენა...

სტელა. რაო? რა მაღაზია?

ბლანში. აბა, როგორ გითხრა... რა მნიშვნელობა აქვს, ნებისმიერი იყოს. ჰანთლის იმაზე ნაკლები დაუჯდება, ვიდრე მისი ცოლი დოღზე ფლანგავს ხოლმე.

სტელა. მაშ, ცოლიანია?

ბლანში. საყვარელო, უცოლო რომ ყოფილიყო, აქ რა მინდოდა?

სტელა იცინის.

(წამოხტა, ტელეფონისკენ გარბის) ყურმილში: ალო, ალო, ტელეგრაფს შემაერთეთ!

სტელა. აქ ავტომატური ხაზია, საყვარელო.

ბლანში. არ ვიცი როგორ ავკრიფო... მე.....

სტელა. აკრიფე „მ“.

ბლანში. „მ“?

სტელა. ჰო – მორიგე.

ბლანში (წამიერად დაფიქრდება და ყურმილს დაკიდებს) საწერ-კალამი გექნება. სად გიდევს ქაღალდი? ჯობია დავწეროთ, წერილის სახით გავგზავნი (სატუალეტე მაგიდასთან მიდის, კოსმეტიკური ხელსახოცების წიგნაკიდან ფურცელს ამოხევს, წარბის ფანქარს აიღებს და წერას შეუდგება). „ძვირფასო შეფ. მე და ჩემი და სასოწარკვეთილები ვართ“.

სტელა. უკაცრავად!

ბლანში. „...მე და ჩემი და სასოწარკვეთილები ვართ. დეტალები – მერე. რას იტყოდით, თუკი“... (ფანქარი მაგიდაზე დააგდო, ადგა) არა, ასე უბრალოდ თხოვნით არაფერი გამოვა.

სტელა. (სიცილით) რა სასაცილო ხარ, დაიკო.

ბლანში. რა უჭირს, მოვიფიქრებ რამეს... რადაც უნდა დამიჯდეს, მაინც მოვიფიქრებ. ოღონდ დაცინვა არ იყოს, სტელა! ძალიან გთხოვ, აღარ... – ნახე, საფულეში რა მიდევს! ნახე რამდენია! (საფულეს ხსნის) სამოცდახუთი ცენტი ჩხრიალა მონეტა!

სტელა (ბიუროს მიუახლოვდება) სტენლი საოჯახო წვრილმანისთვის არ მაძლევს ხოლმე ფულს, უყვარს, როცა ყველაფერს თვითონ იხდის, მაგრამ დღეს რატომღაც ათი დოლარი მომცა, ეტყობა, გულის მოსაგებად. შუაზე გავიყოთ, მეგობრულად.

ბლანში. არა, არა, სტელა, არაა საჭირო.

სტელა. (დაჟინებით) როცა ჯიბეში ფული გიჭყავის, განწყობაც ამაღლებულია.

ბლანში. არა, არა, რას ამბობ! მაგას პანელზე გასვლა მირჩევნია!

სტელა. რა სისულელეა! ასე როგორ დაიცარიელე ჯიბე?

ბლანში. ჰო, ფული აშკარად ვერ მიჩერდება... ხან რა მინდება, ხან რა... (შუბლს მოიწმენდს) როგორც ვატყობ, დღეს ბრომი თუ მიშველის...

სტელა. ახლავე მოგიმზადებ.

ბლანში. მოგვიანებით. ახლა უნდა დავფიქრდე.

სტელა. მომისმინე, ნუ ავაჩქარებთ მოვლენებს... ცოტა ხნით მაინც...

ბლანში. მაგრამ, სტელა, მასთან ერთად ამ ჭერქვეშ ვერ დავრჩები. შენ შეგიძლია დარჩენა, ქმარია, რაც უნდა იყოს. მე კი, წუხანდელის შემდეგ... მხოლოდ ეს ფარდა მიცავს მისგან!

სტელა. ბლანშ, წუხელ სტენლიმ თავისი უარყოფითი მხარე წარმოაჩინა.

ბლანში. პირიქით, რეალური! რაკი საკუთარი უხეში ძალის საჯაროდ დემონსტრირების მეტი არაფერი შეუძლია... ასეთ ადამიანთან რომ იცხოვრო,

სარეცელსაც უნდა იყოფდე! ეს ჩემი კი არა, შენი საზრუნავია.

სტელა. არა უშავს, დაისვენე და ნახავ – ყველაფერი მოგვარდება. სანამ ჩვენთან ხარ, სადარდებელი არ გექნება, მზამზარეულზე იცხოვრებ.

ბლანში. არა, უნდა მოვიფიქრო, როგორ დავაღწიოთ თავი აქაურობას.

სტელა. ანუ, დარწმუნებული ხარ, რომ შავ დღეში ვარ და თავის დაღწევა მჭირდება?

ბლანში. დარწმუნებული ვარ, არც იმდენად უნდა გქონდეს „ოცნება“ დავიწყებული, რომ ეს ქოხი, ეს პოკერის მოთამაშეები არ გერცხვინებოდეს...

სტელა. ზედმეტად ხომ არ ხარ რაღაცებში დარწმუნებული?

ბლანში. ნუთუ ამას სერიოზულად მეუბნები? არა, ვერ დავიჯერებ.

სტელა. ვერა?

ბლანში. გარკვეულწილად მესმის შენი, როცა გაიცანი, ფორმაში იყო ბიჭი, ოფიცერი, თანაც აქ კი არ შეხვედრიხართ ერთმანეთს, არამედ...

სტელა. ნეტავ მაგას რა მნიშვნელობა აქვს, სად ვნახე და როდის?

ბლანში. ოღონდ ახლა მაგნიტურ ველებზე არ დამიწყო ზღაპრები, უეცრად რომ გაირბენს ადამიანებს შორის. თორემ მოურიდებლად დაგცინებ.

სტელა. საერთოდაც აღარ მინდა ამაზე საუბარი.

ბლანში. კეთილი, რაკი არ გინდა...

სტელა. ქალსა და მამაკაცს შორის, ბლანშ, თავისებური იდუმალი კავშირია, ორთა იდუმალება – სიბნელეში. სხვა დანარჩენი მნიშვნელობას კარგავს, უფერულდება.

დუმილი.

ბლანში. ეს ხომ უხეში ვნებაა... დიახ, სწორედაც „სურვილი“! – იმ ლაყლაყა ტრამვაის სახელწოდება, თქვენი უბნის ვიწრო ქუჩებში რომ დაჩაქჩაქებს.

სტელა. თითქოს შენ არ იყო მაგ ტრამვაით ნამგზავრი!

ბლანში. სწორედ მაგან მომიყვანა აქ... სადაც დაუპატიჟებელი სტუმარი ვარ, აქ – სადაც დარჩენა თავისმოჭრაა.

სტელა. მაშინ ეს შენი ამპარტავნული ტონი ცოტა უადგილოა, არა?

ბლანში. არა, ჩემო სტელა, არ ვაჭარბებ და არც სხვაზე უკეთესი მგონია თავი. შეგიძლია დამიჯერო. ასეთთან ურთიერთობა შეიძლება ერთი დღე, ორი, სამი... ვიდრე ეშმაკი გაცდუნებს, მაგრამ ცხოვრება, მით უმეტეს, მისგან ბავშვის გაჩენა!..

სტელა. მიყვარს-მეთქი, ხომ მაქვს შენთვის ნათქვამი.

ბლანში. სულ დამბურძგლა! შენ მაგივრად მეშინია.

სტელა. რას ვიზამ, დაგბურძგლოს, რაკი დაგიჩემებია.

დუმილი.

ბლანში. შინაურულად, გულწრფელად რომ დაგელაპარაკო, შეიძლება?

სტელა. მელაპარაკე, რა პრობლემაა? ნუ მოგერიდება. ვინმე ხელს გიშლის?

მატარებლის გუგუნი ახლოვდება. ორივე დადუმდა, იცდიან, სანამ ხმაური მიწყნარდება. ორივენი საძინებელში რჩებიან. მატარებლის ხმაურის ფონზე ქუჩიდან შეუმჩნევლად შემოვიდა სტენლი. ხელში რამდენიმე პაკეტი უჭირავს. დგას და მათი საუბრისთვის ყურის მიგდებას ცდილობს. აცვია მაისური და მანქანის ზეთით დასვრილი შარვალი.

ბლანში. მოკლედ, ნება მიბოძე, მოგახსენო, რომ ფრიად ვულგარული ვინმეა!

სტელა. მერე რა? დავუშვათ, ასეა.

ბლანში. დავუშვათ? ნუთუ დაგავიწყდა, როგორ ვიზრდებოდით, რას გვასწავლიდნენ? ნუთუ ვერ ხედავ, რომ მასში კეთილშობილების ნატამალი არ არის? ნამდვილი საქონელია! ოჰ, ნეტავ მართლა მხოლოდ უბრალო გლეხი იყოს! თუნდ სულ უმეცარი, უბირი, მაგრამ კეთილი... არა! მასში სიხარბე ჭარბობს... ამ სიტყვების გამო შემიძულებ?

სტელა. (ცივად) არაფერია, განაგრძე, ბოლომდე დაიცალე.

ბლანში. ნამდვილი საქონელივით იქცევა, ნადირისგან ვერ გაარჩევ! ცხოველივით თქვლეფს, ცხოველივით დაიარება, ცხოველივით ლაპარაკობს! ის შორსაა იმ საფეხურისგან, რომელზეც დგას თანამედროვე ადამიანი. დიახ, ადამიანის მსგავსი მაიმუნია, აი, ისეთი, ანთროპოლოგიის ლექციაზე რომ მინახავს. თითქოს ათასწლეულმა გვერდზე ჩაუქროლა, ის კი, სტენლი კოვალსკი, ქვის ხანაში დარჩა, როგორც ცოცხალი რელიკვია... ჯუნგლებში ნანადირევი უმი ხორცი რომ მიაქვს სახლში. შენ კი ზიხარ აქ და უცდი – გცემს?... თუ დაიღრუტუნებს და გაკოცებს! გასაკვირია, იმხანად კოცნა თუ იცოდნენ საერთოდ. და აი, ღამდება და მაიმუნების შეკრება იწყება! ჰო, აქ, ამ გამოქვაბულის წინ... და ყველა, როგორც ერთი, ღრუტუნებს, თქვლეფს, ხვრეპს, ძვლებს ლოკავს... თუ უცხო მიუახლოვდათ, გადაუვლიან. და შენ, ამ მაიმუნების გართობას „პოკერის საღამოს“ ეძახი. ერთი აღმუვლდება, მეორე ბანს აძლევს, და აი, უკვე დაერივნენ ერთმანეთს. ღმერთო, რა შორს ვართ იმისგან, რასაც ღვთის ქმნილებას უწოდებენ. სტელა, დაიკო, მას მერე ხომ დიდი პროგრესი განიცადა ადამიანთა მოდგმამ. ხელოვნებამ, მუსიკამ, პოეზიამ დედამიწაზე ახალი სხივები მოიტანა. ვიღაცაში ხომ მაინც ჩასახლდა მაღალი გრძნობები. ჩვენი მოვალეობა კი კეთილშობილური გრძნობების ზრდა-განვითარებაა. ჩვენი ვალი – მათი განვითარებაა. რა გზითაც უნდა წაგვიყვანოს ცხოვრებამ, ეს უნდა გახდეს ჩვენი მანათობელი. არ მიენდო მხეცს, ნუ იცხოვრებ მხეცურად!

კიდევ ერთმა მატარებელმა ჩაიარა. სტენლი დაბნეულად ილოკავს ტუჩებს. შეტრიალდება და უხმოდ გადის. ქალებს არ შეუმჩნევიათ. როდესაც მატარებლის ხმა მიიკარგება, სტენლი კარიდან დაიწყებს ძახილს: „სტელა! ეე, სტელა!“

სტელა (აქამდე ყურადღებით უსმენდა ბლანშს) სტენლი!

ბლანში. სტელა, მე...

მაგრამ სტელა უკვე კარისკენ გარბის.

სტენლი (ვითომც არაფერიო, ისე შემოდის ნავაჭრით ხელში) სალამი, სტელა. ვაჰ, ბლანში უკვე დაბრუნდა?

სტელა. კი, შინაა.

სტენლი. ბლანშს გაუმარჯოს. (ჩაიცინებს) სტელა. ისევ მანქანის ქვეშ იძრომიალე?

სტენლი. ფრიცის უქნარა მექანიკოსები არაფრის აზრზე არ არიან, მაგათთვის სულერთია – ბალი ათი შაურია... ეე!

სტელა ორივე ხელით შემოეხვია, პირდაპირ ბლანშის თვალწინ მიეწება, მოურიდებლად. სტენლი იცინის და ცოლს უფრო მაგრად იხუტებს. საძინებლის პორტიერთან მდგომ ბლანშსაც ეღიმება. სცენა ბნელდება, მხოლოდ ორი ერთმანეთს გადასკვნილი ფიგურაღა რჩება განათებული. „ლურჯი პიანინო“, საყვირი, დასარტყამები...

მეხუთე სურათი

საძინებელი. ბლანში ზის, პალმის ფოთლით ინიავებს და ახალდასრულებულ წერილს კითხულობს. სტელა ჩაცმას ამთავრებს. ბლანშმა გულიანად გაიცინა.

სტელა. რა გაცინებს, ძვირფასო?

ბლანში. ჩემს თავზე მეცინება, საკუთარ თავზე! იფ, რა ტყუილებით გავბერე! შეფს ვწერ. (წერილს იღებს) „ძვირფასო შეფ, ზაფხულს ჰაერში ვატარებთ, იშვიათად თუ დავეშვები სადმე აეროდრომზე, ისიც წუთიერად. ისე კი, კაცმა არ იცის, მოულოდნელად იქნებ დალასშიც ამოვყო თავი. ისე, რას იტყოდით ამაზე?“. ჰა-ჰა! (ნევროზულად, გადამდებად იცინის, წერილს დადებს და ყელზე მიიბჯენს ხელს, თითქოს შეფს ელაპარაკებაო) უნდა ვიჩქარო, თორემ როგორც იტყვიან, დღე მეხვალიე კაცსაო, თოვლი მოუვა კარსაო... აბა, როგორ ჟღერს?

სტელა. აჰა...

ბლანში. (აღელვებული განაგრძობს) „ჩემი დის მეგობრები ამ ზაფხულს ჩრდილოეთისკენ მიემგზავრებიან, ზოგსაც სანაპიროზე აქვს ვილა, ყურესთან, აქ კი ყველაფერი თავდაყირა დადგა, ხან ჩაიო, ხან კოქტეილებიო, ახლა ეს ლანჩები“...

ზედა სართულზე რაღაც წარმოუდგენელი იწყება.

სტელა. (კართან მიდის) ალბათ იუნისი და სთივი არჩევენ საქმეებს.

იუნისის განრისხებული წივილი მოისმის.

იუნისის ხმა. იმ ქერასთან დაეთრევი, არა?

სთივის ხმა. ცილისწამებაა!

იუნისის ხმა. ვის აყრი თვალში ნაცარს? მარტო მაგ შენი „ოთხი ორიანით“ რომ ირთობდე თავს და ბარში ლოთობდე, კიდევ დავხუჭავდი თვალს, მაგრამ ახლა მაღლა-მაღლა მოინდომე აფრენა, აი, მაგას კი აღარ შეგარჩენ.

სთივის ხმა. ვინმემ დამინახა?

იუნისის ხმა. მე თვითონ! საკუთარი თვალებით ვიხილე, გალერეაში რომ აედევნე... ზნეობის პოლიციაში დავწერ განცხადებას!

სთივის ხმა. გაწიე ხელი, დედაკაცო!

იუნისის ხმა. ხელსაც მიბრუნებ? ახლავე პოლიციას მოვიყვან!

რაღაც ალუმინის საგანი კედელს შეასკდა, პასუხად – გამწარებული მამაკაცის ღრიალი, ყვირილი, გადაქცეული ავეჯის ბრახუნი. რაღაც გატყდა და სიჩუმეც ჩამოვარდა.

ბლანში. (მხიარულად) მოკლა?

კიბეზე გამოჩნდა თმაგაწეწილი იუნისი.

სტელა. ცოცხალია, გამოჩნდა.

იუნისი. პოლიცია! პოლიციას დამიძახეთ (ჩაიქროლა და მოსახვევში გაუჩინარდა)!

სტელა (კარს მოსცილდება) ...შენი დის ზოგიერთი მეგობარი ზაფხულს ქალაქგარეთ ატარებს, არა?

ორივემ გულიანად გადაიკისკისა. მოსახვევში გამოჩნდა კეგლის სათამაშოდ გამოწყობილი სტენლი, აბრეშუმის წითელ-მწვანე პერანგში. კიბეზე აირბინა, შევიდა. ბლანშს მის დანახვაზე ნერვიულად გააჟრჟოლებს.

სტენლი. იუნისს რა ეტაკა?

სტელა. სთივს ეჩხუბა. პოლიციაში გაიქცა?

სტენლი. არა, ბარში ილეშება.

სტელა. ჰოდა, ასე სჯობია.

სთივი. (კიბეზე ჩადის და შუბლზე ნაჩხაპნს ისრესს. კარში შეიხედა) შინა ხართ?

სტენლი. არა, „ოთხ ორიანში“ ვართ.

სთივი. უჰ, ეგ გაქუცული ძუკნა ეგა! (ფრთხილად გახედა ქუჩას და უტრირებული ყმაწვილური უდარდელობით ცოლს გაეკიდა).

ბლანში. არა, ეს უნდა ჩავიწერო! ჰა-ჰა! პატარა წიგნაკში დავიწყე ყველაზე ფრთიანი ფრაზების წერა. რაც მე აქ მესმის...

სტენლი. ახალს მაინც ვერაფერს ჩაიწერთ.

ბლანში. დარწმუნებული ხართ?

სტენლი. ასიანი!

ბლანში. აჰა, ეს უკვე ხუმრობა აღარ არის.

სტენლიმ კარადის უჯრა ხმაურით გამოსწია და ბათინკები კუთხეში მიყარა. უჯრა მიაჯახუნა.

(ყოველ გაჯახუნებაზე ბლანშს კანკალი იტანს. ბოლოს ვეღარ მოითმენს) რა ნიშნით ხართ დაბადებული?

სტენლი. (იცვამს) ნიშნით?

ბლანში. ზოდიაქოს ვგულისხმობ. დავნაძლევდეთ, ვერძი იქნებით! ვერძები ძლიერები და ფეთქებადები არიან. სიმშვიდეს ვერ იტანენ, მხოლოდ აყალმაყალი ართობთ. ირგვლივ ყველაფერს ანადგურებენ. ჯარში კარგად ხალისობდით, არა? თადარიგში გასული კი გულს იოხებთ!

სტელა (ამ სცენის პარალელურად კარადაში იქექება. თავს ასწევს) სტენლი შობიდან ზუსტად ხუთ წუთშია დაბადებული.

ბლანში. თხის რქა!

სტენლი. და თქვენ თვითონ?

ბლანში. ოჰ, ჩემი დღეობა ერთ თვეშია, 15 სექტემბერს – ანუ, Virgo ვარ.

სტენლი. რა Virgo?

ბლანში. ქალწული.

სტენლი. (უდიერად) ჰა-ჰა! (ჰალსტუხს იკრავს და მისკენ დაიხრება) მითხარით, გეთაყვა, ვინმე შოუს ხომ არ იცნობთ?

ბლანში. (სახეზე რაღაც შეუტოკდა. ოდეკოლონისკენ წაიღო ხელი; აუჩქარებლად დააპკურა ცხვირსახოცს. დაიძაბა) ვიღაც უსათუოდ იცნობს რომელიღაც შოუს.

სტენლი. ჰო, მაგრამ ეს ვიღაც, გვარად შოუ, ლორელიდან გიცნობთ. თუმცა, მგონი, რაღაც ეშლება და სხვაში ერევით, რადგან ის ქალბატონი ოტელ „ფლამინგოში“ გაუცნია.

ბლანში. (იცინის, მაგრამ ჰაერი აღარ ჰყოფნის. ვისკიში ოდეკოლონს ისხამს) ვშიშობ, მართლაც ვიღაცაში უნდა ვერეოდე – ოტელი „ფლამინგო“ ის დაწესებულება არ გახლავთ, სადაც ფეხის შედგმას გავრისკავდი.

სტენლი. ჰო, მაგრამ ამ ადგილის შესახებ მაინც გსმენიათ...

ბლანში. კი, გარეგნულად, სუნით.

სტენლი. ისე ახლო მანძილზე გიწევდათ მაგ დაწესებულებასთან ტრიალი, რომ

სუნიც კი გიგრძნიათ?

ბლანში. იაფფასიანი სუნამოს სურნელი სად არ აღწევს.

სტენლი. თქვენი სუნამო მაღალფასიანია?

ბლანში. უნცია 25 დოლარად. ამომქრალია უკვე. დაბადების დღისთვის გაითვალისწინეთ (ხალისიანად საუბრობს, მაგრამ ხმაში შიში იგრძნობა).

სტენლი. ჰო, შოუს აშკარად ეშლება. მაგრამ ლორელის ხშირი სტუმარია, ამიტომ შეცდომის შემოწმება იოლზე იოლია (შეტრიალდება და პორტიერისკენ მიდის).

ბლანში წამხდარი ხუჭავს თვალებს, თითქოს, სადაცაა, გონებას დაკარგავს. შუბლზე ისევ ცხვირსახოცს დაიდებს აკანკალებული ხელით. მოსახვევში სთივი და იუნისი გამოჩნდნენ. კაცი ხელს ხვევს, ქალი სლუკუნებს, სთივი რაღაც სასიყვარულოს ებჟუტურება. გადახვეულები ავლენ კიბეზე. შორეული ქუხილის ხმა გაისმა.

(სტელას) „ოთხ ორიანში“ გელოდები.

სტელა. ეე! რა იყო, ერთი კოცნაც არ დავიმსახურე?

სტენლი. დაიკოს თანდასწრებით ხომ არ გაკოცებ (წავიდა).

ბლანში. (სკამიდან წამოდგა, ფეხზე ძლივს დგას. მოწამლული ნადირივით იმზირება) სტელა, ჩემზე რამე გსმენია?

სტელა. ჰა?

ბლანში. ჩემ შესახებ შენთვის რამე უთქვამთ?

სტელა. უთქვამთ?

ბლანში. ჩემზე არაფერი გსმენია-მეთქი? ჭორი, მაგალითად, ან ავი ხმები?

სტელა. არა, ბლანშ, რას ამბობ!

ბლანში. ლორელში ყველა ჭორაობდა.

სტელა. შენზე, ბლანშ?

ბლანში. ეს ორი წელი არცთუ ისე უმწიკვლოდ ვიცხოვრე... მას მერე, რაც „ოცნება“ ხელიდან გამომეცალა.

სტელა. კაი, ვის არ მოსვლია...

ბლანში. არასოდეს ვიყავი ძლიერი, დამოუკიდებელი. სუსტები ძლიერ მხარს ვეძებთ, სტელა. იმათი საქმე კი შენი შემოტყუებაა, პეპლის ფრთასავით ნაზი შეფერილობა იზიდავთ. და თუკი ღამისთევაში ვერ გადაიხდი... ჰოდა, მეც არ ვყოფილვარ მაინცდამაინც უმწიკვლო. მე თავშესაფარს ვეძებდი, სტელა. ხან ერთ ჭერქვეშ, რომელსაც არ შეეძლო საიდუმლოს შენახვა, ხან მეორე... ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ სხვა ყველაფერი ვიგემე. განა თანაგრძნობით მომეკიდა ვინმე?... კაცები?... აბა, შეეცადე გამოიწვიო მათი თანაგრძნობა, თუკი არც შეგამჩნევენ. სუსტებს ისღა დარჩენიათ, იბჟუტონ და

ილიცლიცონ... მეშინია, გული გასკდომაზე მაქვს. არ ვიცი, როდის მიმტყუნებს ძალა. ძველებური აღარც სახე შემრჩა, აღარც ენერგია.

ბინდდება. სტელა საძინებელში შევიდა, აბაჟურიანი ნათურა აანთო. ხელში გამაგრილებელი სასმლის ბოთლი უჭირავს.

არ მისმენდი?

სტელა. მაგ სისულელით გამოვიჭედავ ახლა ყურებს. (ბლანშს მიუახლოვდება).

ბლანში. (უცებ გამხიარულდა) ეს ლიმონათი მე?

სტელა. აბა, ვის?

ბლანში. ოქრო ხარ! მარტო ლიმონათი?

სტელა (ღიმილით) შენი აზრით, ცოტაოდენი ვისკის დამატება არ აწყენდა?

ბლანში. ჰო, გენაცვალე, ჩავუმატოთ ცოტა. მოიტა, მე თვითონ ჩავისხამ. შენ რატომ უნდა მემსახურო, ავად კი არა ვარ.

სტელა. რატომაც არა, მსიამოვნებს, მამისეული სახლი მახსენდება (სამზარეულოში გადის, ჭიქას იღებს და ვისკის ასხამს).

ბლანში. გამოგიტყდები, მიყვარს, როცა მემსახურებიან (უცებ წამოხტება და დას გაეკიდება)...

სტელა კი უკვე შემობრუნდა და ჭიქით ხელში შეეჩეხა. ბლანში სტელას თავისუფალ ხელს ჩააფრინდება და კვნესით დაეწებება ტუჩებით. სტელა დაიბნა.

(აღელვებით) შენ... შენ ისეთი კეთილი ხარ ჩემ მიმართ, მე კი...

სტელა. ბლანშ!

ბლანში. კაი, კაი, აღარ გვინდა. ვიცი, გაღიზიანებს ზედმეტი მგრძნობიარობა. მაგრამ მერწმუნე, ძალიან კმაყოფილი ვარ, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე ამის გამოხატვას ვახერხებ. დიდი ხნით არ შეგაწუხებთ! მალე დაგტოვებთ, გპირდები...

სტელა. ბლანშ!

ბლანში (ისტერიკულად) დიდხანს არ შევყოვნდები, გპირდები, მალე გავემგზავრები! ძალიან მალე! თავად ნახავ – წავალ! კისერზე არ ჩამოგეკიდებით, სახლიდან გაგდებას არ დაველოდები!

სტელა. მორჩი, რა სისულელეა!

ბლანში. კარგი, საყვარელო... უყურე, როგორ ასხამ. ქაფი გადმოდის. (გულიანად კისკისებს და ჭიქას ართმევს, მაგრამ ხელი ისე უკანკალებს, ლამის ჭიქა გაუვარდეს).

სტელა სასმელს ჩაუმატებს, ქაფი ისევ გადმოვა, ლიმონათის ნაწილი იღვრება. ბლანში ხმამაღლა შეჰკივლებს.

სტელა. (მისი კივილით შეშინებული) ღმერთო!

ბლანში. დაეწვეთა! საგარეო თეთრ ბოლოკაბაზე...

სტელა. უი, ჩქარა – ცხვირსახოცი! ამოვწმინდოთ.

ბლანში. (თანდათან მოეგება გონს) ჰო, ჰო, კარგი იქნება...

სტელა. სადღაა ლაქა?

ბლანში. არაფერიც აღარ დარჩა! (იკივლებს) ჰა-ჰა! მიმართლებს, არა (დაჯდა, სვამს, ორივე ხელით ჩაფრენია ჭიქას, ჩუმ-ჩუმად იცინის)?

სტელა. რა გაკივლებს?

ბლანში. თვითონაც არ ვიცი. (ნერვიულად) მითჩი... ჰო, შვიდზე გვესტუმრება. არ ვიცი, რა გამოგვივა (სწრაფად, არეულად), ჯერ ვერაფერს მიაღწია: კოცნა მხოლოდ გამომშვიდობებისას – მორჩა და გათავდა, სტელა. მინდა, პატივს მცემდეს. კაცების ხასიათი კი ხომ იცი, რაც ხელში მუქთად ჩაუვარდებათ, ჩალის ფასი აქვს. მით უმეტეს, როცა ქალი ოცდაათს ზევითაა. მათი აზრით, ბალზაკის ასაკის ქალი, უხეშად რომ ვთქვათ, ცხრა ნაბადზეა გადამხტარი. მე ჯერაც არ დავღლილვარ „ხტუნაობით“. ცხადია, მითჩმა არ იცის, პირში ხომ არ მივახლი... ჩემს ასაკს?

სტელა. რა გაგიხდა ეს შენი ასაკი?

ბლანში. ის, რომ მწარედ შეეხნენ ჩემს ქალურ პატივმოყვარეობას. დაე, იფიქროს, რომ სიწმინდისა და უმწიკვლოების განსახიერება ვარ. (იცინის) იმ დონეზე მინდა შევიტყუო, რომ ჩემს დასაპყრობად ბრძოლა დაიწყოს...

სტელა. გჭირდება კი, ბლანშ?

ბლანში. სტაბილურობა მჭირდება! სიმშვიდე... მინდა, თავისუფლად ვსუნთქავდე, აი, რა მინდა.! ჰო, მითჩი მჭირდება! უსიკვდილოდ. წარმოგიდგენია? იქნებ გამომივიდეს. თქვენგან წასვლასაც შევძლებდი და თავსაც ვუშველიდი.

სტენლი. (მოსახვევში გამოჩნდება, ქამარში ბოთლი აქვს გარჭობილი. ყვირის) სთივ! იუნის! ჰე, სტელა!

ზედა სართულიდან მხიარული ყიჟინა ისმის, რასაც ქუჩიდან საქსოფონი და დოლი ემატება.

სტელა. (გრძნობით კოცნის დას) გეღირსება!

ბლანში. (ეჭვით) ასე გგონია?

სტელა. რასაკვირველია (სამზარეულოში გასვლისას ბლანშს შეხედავს). გეღირსება, საყვარელო, გეღირსება. ოღონდ მეტს ნუღარ დალევ (მისი ხმა მიწყდება, რადგან წინკარშია მეუღლესთან ერთად).

ბლანში ჭიქით ხელში დაღლილი ჩამოჯდა სკამზე. იუნისი შეძახილითა და სიცილით კიბეზე ჩამორბის. თხასავით აკიკინებული სთივიც კუდში მოჰყვება და მოსახვევში დაეწევა. სტენლი და სტელა ხელიხელჩაკიდებულნი, სიცილით მიჰყვებიან უკან.

ბინდი შესქელდება. „ოთხი ორიანიდან“ წყნარი, სულისშემძვრელი მუსიკა მოისმის.

ბლანში. ღმერთო დიდებულო, ღმერთო... ღმერთო, შენ მიშველე (თვალები დაუხუჭავს, ხელიდან პალმის ფოთოლი უვარდება. ხელს სავარძლის სახელურს დაარტყამს და ადგება. პატარა სარკეს აიღებს)...

სახლის თავზე გაიელვებს.

მოსახვევში ჩნდება ბარბაცით მომავალი და აღგზნებულად მოხითხითე ზანგის ქალი: აშკარაა, „ოთხი ორიანიდან“ უნდა მოდიოდეს. საპირისპირო მხრიდან ახალგაზრდა კაცი ხვდება. ქალი ვაჟს პირდაპირ ცხვირთან გაუტკაცუნებს თითებს.

ზანგის ქალი. ეე, ლამაზო (ბორძიკით ბლუყუნებს რაღაცას)!

ახალგაზრდა კაცმა გადაჭრით გააქნია თავი და კიბეზე აირბინა. რეკავს. ბლანშმა სარკე დადო. ზანგის ქალი წაბანცალდა.

ბლანში. დიახ, დიახ!

ახალგაზრდა კაცი პორტიერიდან დაენახვება.

ახლავე მოვალ, რით გემსახუროთ?

ახალგაზრდა კაცი. ხელმოწერებს ვაგროვებ. „საღამოს ვარსკვლავიდან“ ვარ.

ბლანში. ვარსკვლავებსაც თუ ხელის მოწერა უნდოდა, არ ვიცოდი.

ახალგაზრდა კაცი. გაზეთია ასეთი.

ბლანში. კეთილი. სასიამოვნოა. ვიხუმრე. თუმცა წარუმატებლად. ხომ არაფერს დალევთ?

ახალგაზრდა კაცი. არა, მემ, ნუ შეწუხდებით. სამუშაოზე ვარ.

ბლანში. გასაგებია... რა გავაკეთოთ?... გროშიც კი არ მაქვს, და საერთოდაც, სტუმრად ვარ აქ. ღარიბი ნათესავი – გსმენიათ ასეთების შესახებ?

ახალგაზრდა კაცი. გასაგებია. სხვა დროს იყოს (წასვლა უნდა).

ბლანში. (მიუახლოვდა) მოიცათ!

გაკვირვებული შედგება.

(გრძელ მუნდშტუკში სიგარეტი ჩადო) ვერ მომიკიდებთ? (უახლოვდება, ოთახების გამყოფ კართან წამოეწევა).

ახალგაზრდა კაცი. ცხადია. (სანთებელას იღებს) ისევ ვერ აინთო ეს ოხერი!

ბლანში. ჭირვეულია? (ცეცხლი ინთება) ოჰ, დიდი მადლობა!

ახალგაზრდა კაცი. რას ბრძანებთ (წასვლას აპირებს).

ბლანში. მოიცათ რა!

ვაჟი ისევ ყოვნდება, დაბნეულია.

რომელი საათი იქნება?

ახალგაზრდა კაცი. შვიდის თხუთმეტი წუთია.

ბლანში. უი, უკვე? როგორ მოგწონთ ნიუ-ორლეანის ეს გაუთავებელი წვიმები? როცა საათი საათი კი არა, მარადისობის ნამსხვრევია – დაგეცემა ხელისგულზე და არ იცი, რა უყო...

ახალგაზრდა კაცი. დიახ, მემ.

ჩამოწოლილი დუმილი „ლურჯმა პიანინომ“ დაარღვია და არც ამ სცენის ბოლოს და არც მომდევნოს დასაწყისში არ შეწყვეტილა. ახალგაზრდა კაცი ჩაახველებს და კარს შეხედავს.

ბლანში. ხომ არ დასველდით?

ახალგაზრდა კაცი. არა, მემ, შენობას შევაფარე თავი.

ბლანში. აფთიაქს? და სოდიანიც დალიეთ, არა?

ახალგაზრდა კაცი. ჰოო...

ბლანში. შოკოლადიანი?

ახალგაზრდა კაცი. არა, მემ, ხერესით.

ბლანში (სიცილით) უყურე შენ – ხერესითო!

ახალგაზრდა კაცი. სოდიანი ხერესით.

ბლანში. ნერწყვი მომადგა.

ახალგაზრდა კაცი. მოკლედ, წავედი...

ბლანში. (აკავებს) მოიცადეთ, ყმაწვილო! რა ახალგაზრდა ხართ! რა ნორჩი! არ უთქვამთ, რომ „ათას ერთი ღამის“ პრინცს ჰგავხართო?

ახალგაზრდა კაცი. არა, მემ (დარცხვენილი იცინის).

ბლანში. (ალერსით) კი, ჰგავხართ, კრავივით ხართ! მოდით აქ. მოდით, რას უდგახართ. თქვენი კოცნა მინდა, მხოლოდ ერთხელ... გულიანი კოცნა, პირდაპირ ტუჩებში (პასუხს არ უცდის, სწრაფად მიუახლოვდება და ტუჩებზე დაეკონება). ახლა კი მოუსვი! დროზე, გაფრინდი აქედან! სიამოვნებით მიგისაკუთრებდი, მაგრამ ბავშვები რა ჩემი საქმეა, კეთილგონიერება კი არ დამიკარგავს.

ყმაწვილი გაფართოებული თვალებით მიაჩერდა. ბლანშმა კარი გაუღო. კიბეზე ჩამავალს კი ჰაეროვანი კოცნა დაადევნა. ჩაფიქრებული დადგა კართან, უყურებს, სანამ ყმაწვილი თვალს მიეფარება. მოსახვევში კი მითჩი გამოჩნდება ვარდების თაიგულით.

ბლანში. (ხალისიანად) ამას უყურეთ, ვინ მობრძანდება... ჩემი ვარდების კავალერი! ჯერ მუხლი მოიყარეთ... ახლა კი ვარდები მომართვით.

მითჩი ემორჩილება.

(ღრმა რევერანსს აკეთებს) აჰ, მერსი! (კეკლუცად მიაქვს ვარდები ტუჩებთან და მერეღა მიაპყრობს მამაკაცს მზერას) გაცისკროვნებული მითჩი თავდავიწყებით შესცქერის ქალს.

მეექვსე სურათი

შუაღამეს გადასცდა, ორი სრულდება... ქუჩა, სახლის განათებული კედელი. ბლანში და მითჩი გამოჩნდებიან. ბლანშის ხმასა და მოძრაობაში ის დაქანცულობა მოჩანს, რომლის გაგებაც მხოლოდ ნევრასთენიკებს შეუძლიათ. მითჩი ენერგიითაა სავსე, თუმცა დათრგუნვილია. ხელში თავდაყირა უჭირავს „მეი-უესთის“ თაბაშირის ქანდაკება. ასეთებს ტირში მოგებულებს ან საკარნავალო ლატარიებში გამარჯვებულებს აძლევენ ხოლმე. ისინი ღამის სეირნობიდან დაბრუნდნენ, უფრო ზუსტად კი ტბისპირა „ლუნა-პარკიდან“, ფონშართრენ-ლეიქზე რომ არის.

ბლანში. (ძალაგამოცლილი წინკართან ჩერდება) აი, მოვედით.

მითჩს უხერხულად გაეცინება.

მოვედით...

მითჩი. უკვე გვიანაა, დაიღლებოდით.

ბლანში. ცხელი ტამალების გამყიდველიც კი არსად ჩანს, არადა, დღე და ღამე აქ დაყიალობს ხოლმე.

ისევ უხერხული სიცილი.

სახლში მისვლა არ გაგიჭირდებათ?

მითჩი. ბურბონებამდე ფეხით ჩავივლი, იქ კი ტაქსის დავიჭერ.

ბლანში. (უხალისოდ გაიცინებს) ჩვენი უბნის ტრამვაი – „სურვილი“ ვერ მიგიყვანთ?

მითჩი. (სევდიანად) ვშიშობ, მოწყენილს გტოვებთ, ბლანშ.

ბლანში. ოჰ, სულ გაგიფუჭეთ საღამო...

მითჩი. არა, რას ამბობთ. მაგრამ გული მეუბნებოდა: არაფერი გამოგივაო. თქვენ არ გაინტერესებთ ჩემთან ყოფნა.

ბლანში. უბრალოდ, მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოვჩნდი. მორჩა და გათავდა. მეც ხომ ვცდილობდი გახალისებას, მაგრამ რაღაც საცოდაობა გამომივიდა. ბეჯითობისთვის ასი ქულა მეკუთვნის. მართლა ვცდილობდი, გეფიცებით.

მითჩი. კი მაგრამ რატომ, ბლანშ?

ბლანში. ასე უნდა! ბუნების კანონია.

მითჩი. რა კანონი?

ბლანში. ის, რომელიც გვაუწყებს, რომ ლედიმ ჯენტლმენი უნდა გაახალისოს ან საერთოდ გამოვიდეს თამაშიდან. ნახეთ, ერთი, ჩანთაში კარის გასაღები უნდა მქონდეს. ისე ვარ დაღლილი, თითებს ვერ ვიმორჩილებ.

მითჩი. (ეძებს) ეს?

ბლანში. არა, ეგ ჩემი სამგზავრო კოფრისაა, რომლის ჩალაგებაც ძალიან მალე მომიწევს.

მითჩი. იმის თქმა გნებავთ, რომ მალე გაემგზავრებით?

ბლანში. სტუმრობა გამიგრძელდა. დროა.

მითჩი. ეს?

მუსიკა მიწყდება.

ბლანში. აჰა, ევრიკა! თუ არ შეწუხდებით, კარი გამიღეთ, მე კი ცას შევავლებ თვალს (მოაჯირს ეყრდნობა).

მითჩმა კარი გახსნა და დგას, ვერ გაუგია, რა ქნას.

პლეადებს ვეძებ, „შვიდ დას“, მაგრამ გოგონებმა დღეს ცაზე გამოჩენა არ ისურვეს. თუმცა, არა! აი, ისინიც! ღმერთმა უშველოთ, ბრიჯის პარტიიდან დაბრუნებულები შინისაკენ მიიჩქარიან. კარი ღიაა! ყოჩაღ! თქვენც სახლისკენ, ხომ?

მითჩი (უხერხულად ტკეპნის ადგილს, ჩაახველებს) შეიძლება, ძილის წინ გაკოცოთ?

ბლანში. ყოველ ჯერზე კითხვა სად გაგონილა?

მითჩი. არ ვიცი, გსურთ თუ არა?

ბლანში. ასეთი გაუბედავიც ნუ იქნებით.

მითჩი. ტბის პირას რომ ვსეირნობდით და გაკოცეთ, თქვენ...

ბლანში. კოცნაში როდია საქმე. მაკოცეთ – მაგას რა ჯობია! სხვა რამეშია საქმე – გაშინაურებისა შემეშინდა. კოცნას კი საერთოდაც არ ვნანობ. პირიქით, მსიამოვნებს კიდეც, ასე რომ ცდილობთ ჩემი გულის მონადირებას. მაგრამ, თქვენ ხომ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ: მარტოხელა ქალი, რომელსაც მომკითხავიც არ გააჩნია, გრძნობებს არ უნდა აჰყვეს – თავს დაკარგავს....

მითჩი. თავს დაკარგავს?

ბლანში. დიახ. თქვენ ალბათ ისეთ ქალებთან გაქვთ საქმე, რომელთაც დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, პირველივე შემხვედრს რომ უგორდებიან.

მითჩი. სულაც არ მინდა მათნაირი იყოთ, სწორედ ისეთი მომწონხართ, როგორიც ხართ! თქვენისთანა არასოდეს შემხვედრია.

ბლანში ჯერ სერიოზულად უყურებს, მერე უცებ აკისკისდება და პირზე ხელს იფარებს.

დამცინით?

ბლანში. არა, საყვარელო, არა... სახლის პატრონები ჯერაც არ დაბრუნებულან, შევიდეთ, თითო ჭიქა დავლიოთ გამოსამშვიდობებლად. სინათლის ანთებაც არ გვინდა. კარგი?

მითჩი. როგორც გენებოთ.

ბლანში სახლში შედის, მითჩიც მიჰყვება. გარე კედელი აღარ ჩანს, მკრთალ ნათებაში კოვალსკების ინტერიერი ჩნდება.

ბლანში (სამზარეულოში შეყოვნდება) აქ უფრო სიმყუდროვეა, შემოდით. რაღაც გადმოვაგდე... რა მოუქნელი ვარ... ამ სიბნელეში დასალევსაც ვერ ვაგნებ.

მითჩი. ასე გსურთ?

ბლანში. მე მსურს, რომ თქვენ დალიოთ. მთელი საღამო ისეთი გაუბედავი და მოღუშული იყავით. ისე, მეც კარგი ვინმე ვარ, თითქოს მე კი არ ვიყავი გაუბედავი და მოღუშული, ამიტომ ეს უკანასკნელი წუთები მაინც გავატაროთ გემრიელად და შევსვათ joie de vivre![3] სანთელს ავანთებ.

მითჩი. კარგი.

ბლანში. ბოჰემაში ჩავიძიროთ. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე არისტოკრატიულ ბარში ვზივართ, პარიზში, სადმე მარცხენა სანაპიროზე (სანთლის ნატეხი აანთო და ბოთლში ჩადო). Je suis la Dame aux Camelias!.. Vous etes… Armand![4] გესმით ფრანგული? Voulez vous coucher avec moi ce soir? Vous ne comprenez pas? Ah, quel dommage! [5] არადა, რა სასიამოვნო იქნებოდა. ვიპოვე! ჩვენ კი გვეყოფა.

მითჩი (უხალისოდ) კარგი.

ბლანში (საძინებელში ჭიქითა და სანთლით ხელში შედის) დაჯექით. გაიხადეთ პიჯაკი. გაიხსენით ეგ საყელო.

მითჩი. ასე მირჩევნია.

ბლანში. არა, არა! მინდა, ბოლომდე ისიამოვნოთ.

მითჩი. მეუხერხულება ცოტა. ოფლი მასხამს და პერანგი ზეგ მეკვრება.

ბლანში. ოფლი სასარგებლოა. ოფლის გამოყოფის გარეშე ხუთ წუთსაც ვერ იცოცხლებს კაცი. (პიჯაკს გახდის) კარგი პიჯაკია. რა ქსოვილისაა?

მითჩი. ალპაკა ჰქვია.

ბლანში. აჰა! ალპაკა.

მითჩი. დარბილებული ქსოვილია.

ბლანში. უყურე შენ... დარბილებულიც ყოფილა.

მითჩი. ტილოს პიჯაკს ვერ ვიტან, გასაწური ხდება ხოლმე.

ბლანში. ა-ჰა...

მითჩი. თან არც მიხდება. ჩემი აღნაგობის კაცმა ჭკუით უნდა ჩაიცვას, თორემ ზონზროხა გამოჩნდება.

ბლანში. ნუთუ ასეთი მძიმეწონოსანი ხართ?

მითჩი. ვერ მატყობთ?

ბლანში. ტანწერწეტას, ცხადია, ვერ გიწოდებთ, მაგრამ ძვალმსხვილს, ახოვანს ვიტყოდი...

მითჩი. გმადლობთ. შობას ნიუ-ორლეანის ათლეტთა კლუბში მიმიღეს.

ბლანში. რა მაგარია!

მითჩი. უკეთესი არაფერი მღირსებია ცხოვრებაში. ჰანტელებს ვეწევი, ვცურავ და სულ ფორმაში ვარ. რომ ვიწყებდი, რბილი პრესი მქონდა, ახლა ქვასავით მაქვს. რა ძალით უნდა დამარტყან, რომ რამე ვიგრძნო. გნებავთ? სინჯეთ. ნუ გეშინიათ.

მუცელზე ფრთხილად შეახებს თითებს.

აბა?

ბლანში. ღმერთო! (ხელით მკერდზე შეეხება) მითჩი. რამდენი კილო ვარ, თუ გამოიცნობთ?

ბლანში. ერთი 80-85 იქნებით.

მითჩი. კიდევ ერთი ცდა!

ბლანში. ნაკლები?

მითჩი. პირიქით – მეტი!

ბლანში. თქვენი სიმაღლის პატრონს სიმსუქნე არ დაეტყობა.

მითჩი. წონა – 90 კგ, სიმაღლე – 190 სმ. ფეხშიშველი, ფეხსაცმლის გარეშე. წონაც ბუნებრივია, უტანსაცმლოდ.

ბლანში. ღმერთო, მიშველე! რა დამაინტრიგებელი დეტალებია...

მითჩი. (შეიშმუშნა) ჰო, ჩემი წონა რა საინტერესო თემა უნდა იყოს. (გამბედაობას მოიკრებს) თქვენ რამდენს იწონით?

ბლანში. მე?

მითჩი. დიახ.

ბლანში. ახლა თქვენ გამოიცანით.

მითჩი. რომ აგწიოთ?

ბლანში. სამსონ! კარგი, რა გეწყობა...

მითჩი ზურგს უკნიდან მოავლებს წელზე ხელებს და მსუბუქად ასწევს.

აბა?

მითჩი. ბუმბულივით ხართ?

ბლანში. ჰა-ჰა!

უშვებს, მაგრამ წელზე ხელები აქვს შემოჭერილი.

(მოჩვენებითი მორცხვობით) შეგიძლიათ, ხელი გამიშვათ.

მითჩი. რა?

ბლანში. (მხიარულად) ხელი გამიშვით-მეთქი, სერ!

მითჩმა უგერგილოდ მიიხუტა.

(მის ხმაში რბილი საყვედური გაისმის) არა, მითჩ. მარტონი რომ ვართ, სწორედ ამ დროს გმართებთ ჯენტლმენობა.

მითჩი. თავს თუ ვერ შევიკავებ, მითავაზეთ ერთი.

ბლანში. არ დაგვჭირდება. ნამდვილი ვაჟკაცი ხართ, უკანასკნელი მოჰიკანი... შინაბერა ქალის ფხუკიანობაში არ ჩამომართვათ, უბრალოდ, მე...

მითჩი. რა?

ბლანში. უბრალოდ, ძალიან დრომოჭმული იდეალები მაქვს და ეს მბოჭავს (იცის, რომ არ ჩანს, ამიტომაც უჟუჟუნებს თვალებს).

მითჩი ჩუმად მიდის კარისკენ. ხანგრძლივი დუმილი. ბლანში ამოიოხრებს.

მითჩი. (პაუზის შემდეგ ჩუმად ჩაახველებს) სტენლი და სტელა სად არიან?

ბლანში. მისტერ და მისის ჰაბელებთან ერთად არიან სასეირნოდ წასულები.

მითჩი. სად?

ბლანში. კინოში, მგონი, ბოლო სეანსზე არიან.

მითჩი. ერთხელ ყველანი ერთად წავიდეთ.

ბლანში. არა მგონია, აქედან რაიმე კარგი გამოვიდეს.

მითჩი. რატომ გგონიათ?

ბლანში. დიდი ხანია, სტენლისთან მეგობრობთ?

მითჩი. ჯარის ამხანაგები ვართ, ორას ორმოცდამეერთეში ვიყავით ერთად.

ბლანში. თქვენთან გულწრფელია?

მითჩი. აბა, როგორ!

ბლანში. ჩემზე თუ უთქვამს რამე?

მითჩი. თითქმის არაფერი.

ბლანში. თავშეკავებაზე გემჩნევათ, რომ რაღაც უნდა ჰქონდეს ნათქვამი.

მითჩი. რაღაც კი აქვს ნათქვამი. განსაკუთრებული არაფერი.

ბლანში. მაგრამ რა? რა ტონით გითხრათ?

მითჩი. რაში გაინტერესებთ??

ბლანში. ისე...

მითჩი. უთანხმოება ხომ არ გაქვთ?

ბლანში. ამით რისი თქმა გსურთ?

მითჩი. მე მგონი, მის თქვენდამი დამოკიდებულებაში... გაურკვევლობაა, სხვა არაფერი.

ბლანში. რბილად მეუბნებით? რომ არა სტელას ფეხმძიმობა, ერთი დღეც ვერ გავჩერდებოდი აქ.

მითჩი ის რა, უზრდელობს?

ბლანში. აუტანლად უხეშია. თან სულ მეყოყოჩება!

მითჩი. ანუ როგორ?

ბლანში. ეგრე.

მითჩი. ვერ ვიჯერებ.

ბლანში. ვერ იჯერებთ?

მითჩი. თქვენთან უხეშობა როგორ შეიძლება? არა... ვერ წარმომიდგენია და რა ვქნა?

ბლანში. მართლაც საშინელი სიტუაციაა. სწორად გამიგეთ, მე აქ ჩემი კუთხეც არ გამაჩნია. ღამით ამ ორ ოთახს მხოლოდ პორტიერი ჰყოფს. ის კი ამ ოთახში ქვედა საცვლებით დააბიჯებს. ხანდახან სააბაზანოს კარსაც კი არ მიხურავს ხოლმე. აღვირახსნილი მორალის პატრონია. ალბათ გიკვირთ, აქ რაღა მაკავებს? კეთილი, გულს გადაგიშლით. მასწავლებლის ხელფასით თავი ძლივს გამაქვს. მთელი წელი ვერაფერი დავზოგე და ზაფხულშიც აი, სად ამოვყავი თავი. აქ კი სიძის ატანა მიწევს. აშკარად ყელში ვეჩხირები. ალბათ, გეტყოდათ, როგორ ვძულვარ.

მითჩი. აბა, რას ამბობთ?

ბლანში. ვძულვარ! რომ არ ვძულდე, განა ასე მომექცეოდა? დანახვისთანავე ვიფიქრე: აი ის, შენი ჯალათი-მეთქი. სიამოვნებით გამაქრობდა, რომ არ... კი, კი, მერწმუნეთ... აქ სახეზე ისეთი აშკარა სიძულვილია, არც კი გამიკვირდებოდა, თუკი ის... თავისებურად, არაადამიანურად... ღმერთო მიშველე! გაფიქრებაც კი მზარავს, რომ ის მე (ჟესტით თითქოს აზრს გაფანტავს. ვისკიან ჭიქას გამოცლის)...

დუმილი.

მითჩი. ბლანშ...

ბლანში. ჰო, საყვარელო.

მითჩი. ერთი კითხვა მინდა, დაგისვათ.

ბლანში. დამისვით.

მითჩი. რამდენი წლის ხართ?

ბლანში. (აწრიალებული) რაში გჭირდებათ?

მითჩი. თქვენზე დედაჩემთან მაქვს ნათქვამი ორიოდე სიტყვა... ჰოდა, მკითხა, რამდენი წლისაა, მე კი ვერაფერი ვუპასუხე.

ისევ პაუზა.

ბლანში. ჩემზე? დედამ?

მითჩი. ჰო.

ბლანში. საიდან სადაო?

მითჩი. ვუთხარი, ძალიან სათნო ქალია და მომწონს-მეთქი.

ბლანში. გულწრფელი იყავით?

მითჩი. რასაკვირველია.

ბლანში. დედათქვენს რაღაში აინტერესებს... ჩემი ასაკი?

მითჩი. ავადმყოფი ქალია და...

ბლანში. დასანანია. მძიმედ არის?

მითჩი. დიდი დღე არ უწერია, ორი პარასკევიღა დარჩენია...

ბლანში. უი!

მითჩი. ჩემი ბერბიჭობა აწუხებს.

ბლანში. აა...

მითჩი. უნდა, ცოლი შევირთო, სანამ ცოცხალია (ხმა უწყდება, ჩაახველებს. არ იცის, სად წაიღოს ხელები, ხან ჯიბეში ჩაიყოფს, ამოიღებს, ისევ ჩაიყოფს)...

ბლანში. ძალიან გიყვართ?

მითჩი. ძალიან.

ბლანში. თქვენ ალბათ როცა გიყვართ, მთელი გულით გიყვართ. მის გარეშე თავს მარტოსულად იგრძნობთ, არა?

მითჩი ისევ ჩაახველებს და თავს დაუქნევს.

ეჰ, ნამდვილად ვიცი ამის ფასი...

მითჩი. მარტოობას გულისხმობთ?

ბლანში. ჰო. ოდესღაც მეც მიყვარდა ერთი ადამიანი, მერე დავკარგე და მარტო დავრჩი.

მითჩი. გარდაიცვალა?

ბლანში ფანჯარასთან მივიდა, რაფაზე შემოჯდა და ქუჩას გადახედა. თავისთვის ჩამოისხა.

მამაკაცი იყო?

ბლანში. ბიჭი, ჯერ კიდევ ყმაწვილი... იმხანად მეც სულ ახალგაზრდა ვიყავი, თექვსმეტი წლის, და უცებ ამხელა სიყვარული მეწვია. ისეთი გაცისკროვნებული ვიყავი, თითქოს კაშკაშა სინათლემ გამოგლიჯა შუქჩრდილებში მიმალული რაღაც... მაგრამ არ მეწერა ბედნიერება! შემიტყუეს და მორჩა. იმ ბიჭს რაღაც უცნაურობა სჭირდა: ჭირვეული აღმოჩნდა, უხასიათო, და რაღაცნაირი უკარება... თუმცა ერთი შეხედვით კაცს ჰგავდა, არაფერი ქალური.... მაგრამ მასში იყო ეს, იყო... ის ჩემგან ელოდა დახმარებას. მე კი... ნეტავ რა მესმოდა მაშინ! ვერც შეუღლებისას შევამჩნიე რამე, ვერც საქორწილო მოგზაურობისას, ვერც მერე, როცა დავბრუნდით; ერთი ვიცოდი: არის რაღაც გამოცანა, რომელიც მიშლის, დახმარების ხელი გავუწოდო, არც იმის ძალა აღმომაჩნდა, რამე მეკითხა, გამომერკვია... მე მისთვის მაშველი რგოლივით ვიყავი, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ამომეთრია, მასთან ერთად ვიძირებოდი. ვერაფერს ვხვდებოდი, გარდა ერთისა – მე ის უსაზღვროდ მიყვარდა. მერე კი ყველაფერს მივხვდი.... უარესს ვერ მოიგონებ, ისეთი რამ აღმოჩნდა. ერთხელ დაუკაკუნებლად შევედი ოთახში, მეგონა არავინაა, რას ვიფიქრებდი... საწოლში ორნი იყვნენ: ჩემი ბიჭი, ჩემი ქმარი და მისი ძველი მეგობარი, ჩვენზე ცოტა უფროსი მამაკაცი...

ლოკომოტივის ბორბლების გუგუნი ახლოვდება.

(ყურებზე ხელებს მიიჭერს და თავს მუხლებში ჩარგავს. პროჟექტორმა სარკმელს დაარტყა და მთელი ოთახი ცივი შუქით გაანათა. ლოკომოტივმა გრუხუნით ჩაიარა. ბლანში მხრებში გასწორდა).

თავი ისე დავიჭირეთ, ვითომც ახალი არაფერი მომხდარა და სამივენი სამორინე „მთვარის ტბაში“ წავედით. ცოტა შეზარხოშებულები ვიყავით, და მთელი გზა ვიცინოდით.

სადღაც შორიდან მინორში დაკრული პოლკის ყრუ ხმამ მოაღწია.

პოლკა-ვარშავიანკას რიტმზე ვცეკვავდით. მერე უცებ, ვერ გავიგე რა ეტაკა, ჩემმა ქმარმა მიმატოვა, გარეთ გავარდა და სროლის ხმაც გავიგონე.

პოლკა უცებ შეწყდა.

(დადუმდება – დაჭიმულია, დაძაბული. პოლკა კი ნახევრიდან გრძელდება, ზუსტად იქიდან, სადაც შეწყდა, თუმცა უკვე მაჟორულად.) გარეთ გავვარდი... ყველა

გაცვივდა! ერთ ადგილას მოიყარეს თავი, ტბის პირას, ზედ წყალთან რაღაც საშინელება მომხდარიყო. ამხელა ბრბოში გზის გაკვალვა გამიჭირდა. ვიღაცამ ხელი მტაცა: „არ მიეკაროთ, წადით აქედან, აქ საყურებელი არაფერიაო“! საყურებელი? რა იყო საყურებელი? უცებ ხმები ჩამესმა... თითქოს ნაცნობი ხმა... „ალან! ალან! ალან!“ ჩემო სევდიანო ბიჭო! – პირში ჩაეხალა რევოლვერი, ნახევარი თავი წაეცალა. (თვალებზე აიფარებს ხელებს, წინ და უკან ირწევა) და იცი რატომ მოხდა ეს ყველაფერი? იმიტომ, რომ საცეკვაო მოედანზე თავი ვერ შევიკავე და მივახალე: „ვიცი, რა ნაგავიც ხარ, ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე-მეთქი“... და აი, მაშინ ჩაქრა ჩემთვის სამყაროს მანათობელი პროჟექტორი, და მას მერე ამ სტეარინის სანთლებზე კაშკაშა სინათლე არც მღირსებია.

მითჩი მოუქნელად ადგა, ბლანშისკენ მიიწია. პოლკა უფრო ახმაურდა.

მითჩი. (ბლანშის ზურგს უკან დგას, ნელა მიიკრავს მკერდზე) თქვენ მეგობარი გჭირდებათ, მეც, ბლანშ, იქნებ მე და თქვენ... ა, ბლანშ?

ის განყენებული მზერით უყურებს მითჩს. მერე სუსტი კვნესით ჩაუვარდება მკლავებში. ცრემლმორეულს რაღაცის თქმა უნდა და სიტყვებს ვერ პოულობს. მითჩი შუბლზე, თვალებში, ტუჩებში კოცნის. პოლკა წყდება.

ბლანში. (ხანგრძლივი, ნეტარი ამოსუნთქვა) რა უცებ შეისმინა უფალმა... ხდება ხოლმე!

მეშვიდე სურათი

თხუთმეტი სექტემბერი, მოსაღამოებული. სამზარეულოსა და საძინებელს შორის პორტიერი გადაწეულია, მაგიდაზე საზეიმო სუფრაა გაწყობილი – ტორტი, ყვავილები. სტელა სუფრის გაწყობას ამთავრებს, შემოდის სტენლი.

სტენლი. რას ვზეიმობთ?

სტელა. ბლანშის დღეობას.

სტენლი. თვითონ სად ბრძანდება?

სტელა. სააბაზანოშია.

სტენლი (გამოჯავრებით) „განვიბანოთ მოკვდავი სხეული“.

სტელა. დაახლოებით.

სტენლი დიდი ხანია?

სტელა. ჩათვალე მთელი დღე.

სტენლი. (დაცინვით) „ცხელ აბაზანაში ვლბებით“?

სტელა. აჰა!

სტენლი. ასი გრადუსია გარეთ, ეგ კი ცხელი წყლიდან არ ამოდის.

სტელა. ამბობს, საღამოთი უფრო გრილად ვიგრძნობ თავსო.

სტენლი. კოკა-კოლა უკვე მოგირბენინებია, პირდაპირ სააბაზანოში მიართვი?

სტელა მხრებს აიჩეჩს.

სტენლი. ჩამოჯექი.

სტელა. არ მცალია, სტენლი.

სტენლი. დაჯე-მეთქი. ახლა ვიცი შენი დაიკოს სუსტი მხარეები.

სტელა. შეეშვი რა, სტენლი.

სტენლი. ეგ ანჩხლი მე რომ ხეპრეს დამიძახებს!

სტელა. სულ დასცინოდი, აბუჩად იგდებდი, ბლანში კი ბუტიაა, აბა, რა იქნებოდა. გაიგე, რა, ბოლოს და ბოლოს – მე და ბლანში სულ სხვა გარემოში ვართ გაზრდილები.

სტენლი. გავიგე, რამდენჯერ უნდა გაიმეორო?! უბრალოდ მაინტერესებს, რაში დასჭირდა ამდენი ტყუილი?

სტელა. არ ვიცი და არც მაინტერესებს.

სტენლი. მოგვატყუა – იცრუა! მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალება; ახლა მთელი მაგის საქმეები ამოტივტივდა.

სტელა. რა საქმეები?

სტენლი. რასაც თავიდანვე ვეჭვობდი. მაგრამ ახლა სამხილები მაქვს, ხელჩასაჭიდი საბუთები! პირველი ხელიდან მაქვს ინფორმაცია მიღებული, მე თვითონ გადავამოწმე.

ბლანში აბაზანაში ღიღინებს: უბრალო, მარტივი მოტივია, სიტყვებიც შინაარსობრივად თითქოს სტენლის საუბარს განაგრძობენო.

სტელა. (სტენლის) ნუ ყვირი.

სტენლი. ჰმ, სამოთხის ჩიტი!

სტელა. წესიერად! ადამიანურად ამიხსენი, ასეთი რა გაიგე ჩემს დაიკოზე.

სტენლი. სიცრუე ნომერი 1: მთელი ეს უკარებას რეპუტაცია, – აქ რომ იჭერს თავს წმინდანივით, – სიაბანდობაა! – ნეტავ გენახა მითჩთან როგორ იგრიხებოდა, როგორ დაახვია თავბრუ. მითჩმაც დაიჯერა, რომ იმ ლაწირაკის გარდა ცხოვრებაში არავისთვის უკოცნია. დაიკო ბლანში კი, სულაც არ ბრძანდება შროშანივით სპეტაკი. ხა, ხა, ეგ და შროშანი...

სტელა. ამისთანა რა გითხრეს? ან ვინ გითხრა?

სტენლი. ჩვენი ქარხნის მომმარაგებელი მრავალი წელია ლორელში დადის, კარგად ცნობია შენი ბლანში, ისევე როგორც ყველა მამაკაცს მაგ დაბაში. იმას აღარ იკითხავ, მაგაზე რამდენმა ისწავლა? აშშ-ის პრეზიდენტივითაა სახელგანთქმული, ეგ არის – პარტიული მხარდაჭერა არ გააჩნია, და არც ამომრჩეველთა პატივისცემა. ეს ჩვენი მომმარაგებელი სულ ოტელ „ფლამინგოში“ ჩერდება ხოლმე.

ბლანში. (მხიარულად ღიღინებს) „ცირკში ქაღალდის ზღვა არის, ცირკში უცეცხლო ალია, ცოტას რომ დამიჯერებდე, ეს ხომ ვაჟკაცის ვალია“.

სტელა. მერე რა?

სტენლი. მერე ის, რომ ბლანშსაც იმავე ოტელში ჰქონდა საბუდარი.

სტელა. ჩემი და „ოცნებაში“ ცხოვრობდა!

სტენლი. ეს მერე, როცა სახლი გაუფრინდა თავისი შროშანისებრი ხელებიდან. ამის შემდეგ დაიდო ბინა „ფლამინგოში“! უბადრუკი ოტელია, მაგრამ ერთი პლუსი აქვს – მობინადრეთა პირად ცხოვრებაში ცხვირს არავინ ჰყოფს. „ფლამინგოში“ ყველას თვალებზე აქვს ხელი აფარებული, თუმცა თითებს შორის იჭყიტებიან. ამ ჩვენი თეთრი მანდილოსნის საქციელს კი იმ დონეზე აღუშფოთებია ოტელის ადმინისტრაცია, რომ გასაღების დაბრუნება და ნომრის დაცლა სთხოვეს. მოკლედ, გამოუპანღურებიათ, ორ კვირაში კი ჩვენ დაგვადგა თავზე.

ბლანში. (ღიღინებს) „ცირკის წარმტაცი პრიალი

ზიზილ-პიპილოს ბრალია, ცოტას რომ დამიჯერებდე

ეს ხომ ვაჟკაცის ვალია“.

სტელა. ბინძური სიცრუეა!

სტენლი. რა თქმა უნდა, შენ გაჟრიალებს ეგეთ რაღაცებზე! მაგან შენც გაგასულელა და მითჩიც.

სტელა. მონაჩმახია! ჭორი! მე რომ კაცი ვყოფილიყავი, ვიღაც არარაობას ჩემს დაზე არ ავალაპარაკებდი.

ბლანში. (ღიღინებს) „უშენოდ, უსიყვარულოდ, ცირკიც დაკარგავს ფერსაო, უშენოდ, უსიყვარულოდ, ცაზე ვერ ვხედავ მზესაო“.

სტენლი. ყველაფერი გადამოწმებულია, საყვარელო. წყალი არ გაუვა. მაგრამ ჯერ სადა ხარ, დამამთავრებინე. ლორელში ისე ჰქონია თავი მოჭრილი, რომ თითით საჩვენებელი გამხდარა. ერთი-ორჯერ თუ ჩაიწვენენ ლოგინში და მერე კარგად მეყოლე. ხელიდან ხელში გადადიოდა და ყველასთან ერთსა და იმავე კომედიას თამაშობდა – ვითომ არ უნდა, ვითომ იძულებულია. ლორელი პატარა დაბაა, ეს დაგნარი დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. თავდაპირველად ჭკუასუსტი ჰგონებიათ, სოფლის გიჟი...

სტელა შეირხა.

ბოლო ორი წელია – მეძავი. და ამ მოგზაურმა პრინცესამ აქ გასტროლებზე ინება ჩამობრძანება. სხვა გზა არ ჰქონდა – ქალაქის მერმა გამოაძევა. და კიდევ. ლორელთან, გეცოდინება, სამხედრო ბანაკია... ჰოდა, თქვენი სახლი, შენი დის წყალობით, იმ დაწესებულებების სიაში ყოფილა შეტანილი, სადაც ჯარისკაცებს შესვლა ეკრძალებათ.

ბლანში. (ღიღინებს) „ცირკში ქაღალდის ზღვა არის, ცირკში უცეცხლო ალია, ცოტას რომ დამიჯერებდე, ეს ხომ ვაჟკაცის ვალია“.

სტენლი. ეგეც შენი მგრძნობიარე ნატურა – რჩეული და შეუდარებელი... მაგრამ ჯერ არ დამიმთავრებია, ახლა სიცრუე ნომერი 2!

სტელა. არ მინდა! გეყო!... ხმა აღარ გამაგონო!

სტენლი. სკოლაშიც ვეღარ დაბრუნდება. დაგენაძლევები, წამოსვლისას დაბრუნებაზე არც უფიქრია! მას ხომ სკოლა საკუთარი სურვილით არ დაუტოვებია, არც დროებით, არც ნერვების გამო. ნურას უკაცრავად! გამოაპანღურეს იქიდანაც, სასწავლო წლის დასრულებასაც არ დაუცადეს. მიზეზის თქმაც კი მრცხვენია. ჩვიდმეტი წლის ბიჭს ატორღიალებია!

ბლანში. (ღიღინებს) „ცირკის წარმტაცი პრიალი

ზიზილ-პიპილოს ბრალია“...

სააბაზანოში წყალი უფრო ძლიერ მოუშვეს, სიცილ-კისკისი და წამოკივლებაც კი ისმის, თითქოს აბაზანაში ცელქი ბავშვი ჭყუმპალაობსო.

სტელა. გული მერევა ამ ყველაფერზე...

სტენლი. ბიჭის მამას გაუგია და ეგრევე სკოლის დირექტორს დასდგომია თავზე. ნეტა მეც იქ ვყოფილიყავი, როცა მაგას მორალს უკითხავდნენ. მაინტერესებს, როგორ დაიძვრენდა თავს! არ გამოუვიდა, გაება ჩიტი მახეში. დროულად აითესეო, ურჩიეს, ისეთ ადგილას მიბრძანდი, სადაც არავინ გიცნობსო. მოკლედ, გასახლება ადმინისტრაციული წესით.

ბლანში. (სააბაზანოდან გამოიხედა, თავზე პირსახოცი აქვს დახვეული) სტელა!

სტელა. (ქანცგაწყვეტილი) ჰო, ბლანშ.

ბლანში. ერთი პირსახოციც მომეცი რა, თმას შევიმშრალებ.

სტელა. ახლავე. (პირსახოცით ხელში მიდის მისკენ) ბლანში. რა ხდება, საყვარელო?

სტელა. რა იყო, რატომ მეკითხები?

ბლანში. უცნაური სახით მიყურებ.

სტელა. აა... (გაცინებას ცდილობს.) ცოტა დავიღალე, ალბათ, მეტი არაფერი.

ბლანში. აბაზანა უნდა მიიღო, მე რომ მოვრჩები.

სტენლი. (სამზარეულოდან) ოდესმე გამოხვალთ?

ბლანში. ძალიან მალე, ნუ გეშინიათ... სული დაიმშვიდეთ.

სტენლი. სული კი არა – ჭაჭები მაღელვებს!

ბლანშმა კარი მიიხურა. სტენლი ხითხითებს. სტელა ფეხაკრეფით ბრუნდება სამზარეულოში.

აბა, რას იტყვი?

სტელა. არ მჯერა – იგავ-არაკია! ეგ თქვენი მომმარაგებელი კი ნამუსგარეცხილი ნაძირალაა, აბა, კაი კაცი რომ იყოს, ასეთ რამეს პირიდან როგორ ამოუშვებდა. სრულიად შესაძლებელია, მის ნათქვამში სიმართლის მარცვალი ერიოს, დიახ, ჩემი და ანგელოზი არ არის, მის გამო ჩვენს ოჯახს დიდი ჯაფა დაადგა... ყველაფერში კი არ ვამართლებ. ყოველთვის თავქარიანი იყო...

სტენლი. უხ, თავქარიანი!

სტელა. ყმაწვილობისას ისეთი განსაცდელის გადატანამ მოუწია, რომ ყველა ილუზია ჩაეკლა!

სტენლი. ოხ, განსაცდელი!

სტელა. ჰო. მის გათხოვებაზე მოგახსენებდი, სულ მთლად გოგო იყო, რომ გათხოვდა. ერთ ლექსიწერია ბიჭს წაჰყვა. მართლაც საოცარი სილამაზის ბიჭი იყო. ბლანშს კი არ უყვარდა, იმ მიწას აღმერთებდა, რომელზეც ის ყმაწვილი დააბიჯებდა. გიჟდებოდა მასზე, სრულყოფილებად მიაჩნდა, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ხელშეუხებლად. მერე... მერე კი გაიგო...

სტენლი. რა გაიგო?

სტელა. ლამაზი, ნიჭიერი ბიჭი თახსირი აღმოჩნდა. ამის შესახებ მაგ შენს მომმარაგებელს არაფერი უთქვამს?

სტენლი. ასე შორს აღარ წავსულვართ. ასეთი ძველი ამბავია?

სტელა. ჰო... ძველი ამბავია

სტენლი ცოლს უახლოვდება, ნაზად დაადებს მხრებზე ხელებს. სტელა უთქმელად გაიწევა და ჩაფიქრებული, მექანიკურად დაიწყებს ტორტში ვარდისფერი, სიფრიფანა სანთლების ჩაწყობას.

სტენლი. რამდენ სანთელს არჭობ?

სტელა. ოცდახუთზე გავჩერდები.

სტენლი. სტუმრებიც იქნება?

სტელა. მითჩი გვყავს მოპატიჟებული.

სტენლი. (შეცბასავით. აუჩქარებლად უკიდებს ახალ სიგარეტს) მითჩის იმედი დღეს ტყუილად გაქვთ.

სტელა. (მორიგი სანთლით ხელში გაშეშდა, ნელა შეტრიალდა ქმრისკენ). ვითომ

რატომ, რა ხდება?

სტენლი. ხომ იცი, ძმებივით ვართ. ორას ოცდამეერთეში ერთად ვუბერავდით. ერთ ქარხანაში ვმუშაობთ. ერთ გუნდში ვთამაშობთ. რა გგონია, როგორღა შევხედავდი თვალებში, რომ...

სტელა. სტენლი კოვალსკი, არ მითხრა, რომ ყველაფერი მოუყევი...

სტენლი. აბა, რას ვიზამდი, რასაკვირველია მოვუყევი! რომ არ მეთქვა, მთელი ცხოვრება სინდისი შემაწუხებდა!

სტელა. მითჩმა რაო?

სტენლი. და შენ რას იზამდი...

სტელა. მე მითჩზე გეკითხები – ვშორდებიო?

ბლანში (ხმამაღლა მღერის, ხმა წკრიალებს, ზარივით) ,,ცოტას რომ დამიჯერებდე, ეს ხომ ვაჟკაცის ვალია".

სტენლი. არა, არა მგონია, რომ უსათუოდ დაშორდება. უბრალოდ, უკვე იცის, ვინ და როგორ. მეტი არაფერი.

სტელა. სტენლი, ბლანში ფიქრობდა, რომ მითჩი... ცოლად შეირთავდა. მეც იმედი მქონდა.

სტენლი. არა, აღარ შეირთავს. ადრე არ ვიცი, მაგრამ აწი ნაღდად... მაგ ხაფანგში ფეხს არ ჩადგამს. (ადგა) ეე, ბლანშ! ნებას დამრთავთ ჩემს – ჩემს! სააბაზანოში შევიდე? (პაუზა) ბლანში. არის, სერ. წამიც მაცალეთ, გავშრე – მაცლით?

სტენლი. რაკი საათი ვიცდი, წამსაც მოვითმენ, ოღონდ დიდხანს არ გაიწელოს.

სტელა. მასწავლებლადაც აღარსად მიიღებენ! რა უნდა გააკეთოს, სად წავიდეს?

სტენლი. სამშაბათამდე უნდა დარჩეს, დაგავიწყდა? ასე არ დავთქვით? რამე გაურკვევლობა რომ არ ყოფილიყო, ბილეთი ვუყიდე ავტობუსზე, პირდაპირ რეისზე!

სტელა. ჯერ ერთიც, ბლანში ავტობუსით არაფრის დიდებით არ გაემგზავრება....

სტენლი. ისე გაემგზავრება, როგორც დაგიბარებია! ზედ ორ სტროფ ლექსსაც დააყოლებს.

სტელა. არა, არ გაემგზავრება, არა და არა.

სტენლი. გაემგზავრება-მეთქი! სამშაბათს დაახვევს და მორჩა, სიტყვა აღარ გამაგონო!

სტელა. ასე ბედის ანაბარა როგორ მივაგდო, რამე რომ დაემართოს?

სტენლი. ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება. ჩემს სიტყვას არ გადავალ.

სტელა. ამით რისი თქმა გინდა?

ბლანში ისევ იმ სიმღერას ღიღინებს.

სტენლი. ეი, იადონო, გალობამ გაგიტაცა? დროზე გამოდით სააბაზანოდან, მერამდენეჯერ გაგიმეოროთ?

სააბაზანოს კარი იღება და ბლანში კისკისით გამოდის. როცა სტენლის ჩაუვლის, სახე წამით დაემანჭება. სტენლიმ ზედაც არ შეხედა, შევიდა სააბაზანოში და კარიც მიიჯახუნა.

ბლანში. (თმის ჯაგრისს აიღებს) მაინც, რა კარგია ცხელი აბაზანის მერე. ისეთი მადლია... რა სიგრილეა, გულზეც მომეშვა...

სტელა. (სამზარეულოდან სევდიანად და იჭვნეულად) მართლა, ბლანშ?

ბლანში. (ჯაგრისს ძლიერად დაისვამს თმაზე) ჰო – ძალების მოზღვავებას ვგრძნობ (ხელში ყინულიანი ვისკით სავსე ჭიქა აუწკრიალდა). ცხელი აბაზანა და ცივი ვისკი – სამყარო სულ სხვა ჭრილში წარმოჩნდა (პორტიერს მიღმა გახედა დას და ვარცხნა შეწყვიტა). რამე მოხდა, სტელა?

სტელა. (სწრაფად შებრუნდება) რას ამბობ, ბლანშ, არაფერიც არ მომხდარა.

ბლანში. მატყუებ! მოხდა... (შიშისგან გაფართოებული თვალებით უყურებს სტელას, ის კი არ იმჩნევს, ვითომ მაგიდის გაწყობითაა დაკავებული) სადღაც შორს პიანინო ჩაბჟირდა გიჟური პასაჟით და მალევე მიჩუმდა, თითქოს მელოდია მთელი ძალით დაასკდა რაღაცას და დაიმსხვრა.

მერვე სურათი

სამი მეოთხედი საათის შემდეგ.

დიდი სარკმლების მიღმა ოქროსფერ ბინდბუნდში ჩაფლული ბუნდოვანი ქალაქი მოჩანს. დაისის ანარეკლი წყალსაქაჩ ანძასა თუ ნავთობის ცისტერნაზე კიაფობს, რომლის უკანაც ყამირი მიწაა და ქალაქის საქმიანი უბანი ილანდება. უბანს პუნქტირივით მიჰყვება ფანჯრების მანათობელი წერტილები – შუქი აანთეს თუ დაისის ლიცლიცია. მაგიდას სამნი უსხედან, უხალისო საზეიმო ვახშამი დასასრულს უახლოვდება. სტენლი მოღუშულია, თითქოს ცუდი რამე აქვს ჩაფიქრებულიო. სტელა დაბნეული და სევდიანია.

ბლანშს სახეზე დაყენებული ღიმილი შეჰყინვია.

ხელუხლებლად დევს მეოთხე პირისთვის განკუთვნილი კერძი.

ბლანში. (საერთო მდუმარებას არღვევს) გეხუმრათ მაინც, სტენლი ან რამე მოგეყოლათ. რას შეკარით პირი, ნეტა გამაგებინა. თაყვანისმცემელმა რომ დამიწუნა, იმიტომ?

სტელა საცოდავად ცდილობს გაღიმებას.

ასეთი რამ ცხოვრებაში არ დამმართნია, გამოცდილება კი ისეთი მაქვს, ბარემ ათ ქალს ეყოფა. რანაირ კაცს არ შევხვედრივარ, მაგრამ ასეთი გადაგდება... ხა-ხა... არც ვიცი, რა ვიფიქრო. რამე სასაცილო ანეკდოტი მაინც მოგვიყევით, სტენლი. სიტუაცია განვმუხტოთ.

სტენლი. აქამდე ჩემი ანეკდოტები არ მოგწონდათ, ბლანშ.

ბლანში. თუკი თავშესაქცევია და უხამსობის გარეშე, რატომ არა?

სტენლი. ასეთი დახვეწილი გემოვნების პატრონთან ჩემი იუმორი სად მოვა?

ბლანში. მაშინ, მე თვითონ მოგიყვებით.

სტენლი. მართლა, ბლანშ? მიდი, ძველი დრო გაიხსენე.

შორიდან მუსიკა გაჟღერდა.

ბლანში. კარგი, რომელი მოგიყვეთ... ახლავე, ჩავიხედო რეპერტუარში. აჰა, გამახსენდა! თუთიყუშზეა, მიყვარს ძალიან თუთიყუშებზე ანეკდოტები, თქვენ? მოკლედ, ერთ შინაბერასა და თუთიყუშზეა. ასე და ამგვარად, ერთ შინაბერას თუთიყუში ჰყავდა, ისეთი ენამწარე, რომ მისტერ კოვალსკიც გახუნდებოდა.

სტენლი. ჰ-ჰა!

ბლანში. ჰოდა, ამ თუთიყუშის დაწყნარების მხოლოდ ერთი საშუალება არსებობდა – გალიაზე გადაფარება, ეგონა, დაღამდაო და იძინებდა. მოკლედ, ერთი დილაა და შინაბერამ ის-ისაა გალიას გადასაფარებელი მოაცალა, რომ კარში, არც მეტი არც ნაკლები, მღვდელი შენიშნა. ქალი გალიისკენ გაიქცა, ისევ გადააფარა და მხოლოდ ამის შემდეგ შემოუშვა მოძღვარი. თუთიყუში კი თავისთვის ზის, თაგვივითაა გასუსული, მაგრამ გაიგონა თუ არა დიასახლისის ხმა, რამდენი შაქარი ჩაგიყაროთ ყავაშიო, მაშინვე დააყრანტალა: „ჯანდაბას, ეს რა მოკლე დღეაო!“ (თავი გადააგდო და იცინის).

სტელა უშედეგოდ ცდილობს, მხიარულად მოაჩვენოს თავი.

სტენლი ყურადღებას არ აქცევს მის მონაყოლს, მაგიდაზე გადაიზნიქება, ტორტის ბოლო ნაჭერს დაითრევს და ხელით შეექცევა.

როგორც მივხვდი, მისტერ კოვალსკის სულაც არ ეცინება.

სტელა. მისტერ კოვალსკი ღორულად იქცევა და იმდენად გაერთო, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევს.

სტენლი. რაც მართალი მართალია, გოგონი.

სტელა. ყველაფერი მოითუთხნე – სახე, ხელები... დანახვაც მეზიზღება! წადი, დაიბანე და მაგიდის მილაგებაში მომეხმარე.

სტენლი. (თავის თეფშს ძირს დაახეთქებს) აი, ასე მიგილაგებ მაგიდას. (ხელს სტაცებს) არ გაბედო ჩემთან ასეთი მოქცევა, ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყე ეს

მანერა: „ღორი... პოლონელი... საძაგელი, ბინძური, ვულგარული“... – მეტი არაფერი ისმის თქვენი პირებიდან. თქვენ რაღას წარმოადგენთ? გამომიხტნენ აქ, დედოფლები! ჰაი ლონგის სიტყვები გაიხსენეთ: ..ყველა თავის თავის მეფეა!“ და აქ, ჩემთან, მე ვარ მეფე. კარგად დაიმახსოვრეთ (ფინჯანი და ლამბაქი მოისროლა მაგიდიდან)! აი, ჩემი წილი მაგიდა ავალაგე, თქვენსასაც ხომ არ მივხედო?

სტელა ჩუმად ატირდა. სტენლი მედიდურად გაემართა კარისკენ, ზღურბლზე შედგა, სიგარეტს მოუკიდა. ბარიდან ზანგი მუსიკოსების აჟღერებული ჰანგები ისმის.

ბლანში. შხაპს რომ ვიღებდი, აქ რამე მოხდა? რა გითხრა ჩემზე ასეთი, სტელა?

სტელა. არაფერი! არაფერი! არაფერი!

ბლანში. ვხვდები – ჩემსა და მითჩზე გეტყოდა. შენ იცი, რატომ არ მოვიდა მითჩი და არ მეუბნები!

სტელა უიმედოდ აქნევს თავს.

ახლავე დავურეკავ.

სტელა. არ გირჩევ.

ბლანში. მაინც დავურეკავ.

სტელა. (ჩამქრალი ხმით) არ ღირს, ბლანშ.

ბლანში. კი მაგრამ, ასე როგორ შეიძლება, ვინმემ ხომ უნდა ამიხსნას, რა ხდება (საძინებელში გავარდა დასარეკად)!

სტელა წინკარში გადის და ქმარს უბღვერს. სტენლი რაღაცას ჩაიბუტბუტებს და ზურგს შეაქცევს.

სტელა. გიხაროდეს, ჩაგვამწარე ყველაფერი... ყელზე მედგა თითოეული ლუკმა, როცა მის სახესა და ცარიელ სკამს ვუყურებდი. (ატირდა) ბლანში (ტელეფონზე) ალო! თუ არ შეწუხდებით, ბატონ მითჩელს სთხოვეთ. აა... თუ არ შეგაწუხებთ, ჩემს ნომერს დაგიტოვებთ. მაგნოლია ოთხმოცდაათი – ორმოცდაშვიდი. და გადაეცით, რომ გადაუდებელი საქმე მაქვს... დიახ, დიახ, მართლაც მნიშვნელოვანია.. გმადლობთ (დაბნეული და შეშინებული შედგება ტელეფონთან).

სტენლი. (ნელა შეტრიალდება ცოლისკენ და უხეშად მოიქცევს მკლავებში) ეგ წავა, ბავშვიც გვეყოლება და ყველაფერი მოგვარდება. ისევ ბედნიერად ვიცხოვრებთ, ძველებურად. გახსოვს, როგორი ღამეები გაგვიტარებია ერთად! ღმერთო, ჩემო საყვარელო, როგორი თავისუფლები ვიქნებით ღამ-ღამობით, ისევ ისე ვიხმაურებთ, ისევ ისე გაგვიბრწყინდება თვალები, და არავის მოვერიდებით, არავითარ დაიკოებს ფარდის მიღმა!.

ზედა სართულიდან ხმამაღალი ხარხარი და ხორხოცი ისმის.

(ჩუმად ჩაიცინა) აი! – სთივი და იუნისი...

სტელა. დავბრუნდეთ. (სამზარეულოში გადის და თეთრ ტორტში ჩარჭობილი

სანთლების ანთებას იწყებს.) ბლანშ!

ბლანში. ჰო! (მაგიდასთან ბრუნდება.) რა საყვარელი სანთლებია, პაწუკები, პაწუკები, პაწუკები... არ აანთო, სტელა, არ გინდა.

სტელა. კარგი რა!

სამზარეულოში სტენლიც დაბრუნდა.

ბლანშ, ეგ სანთლები პატარისთვისაც შევინახოთ. დაე, მთელი ცხოვრება საზეიმო სანთლები უნათებდნენ გზას. დაე, მისი თვალები ისე ენთოს, როგორც ორი ლურჯი ალი თეთრ ტორტზე...

სტენლი. (დაჯდება) რა პოეზიაა!

ბლანში. (ჩაფიქრებულია და დუმს) რა ტყუილად დავურეკე, არც ღირდა.

სტელა. აბა, რა, ვინ იცის, რა მოხდა!

ბლანში. ასეთ რამეს არ პატიობენ, სტელა. უპატიებელია. რატომ უნდა ეგონოს, რომ ჩემთან ყველაფერი გაუვა.

სტენლი. ჯანდაბა! სააბაზანოდან ისეთი სიცხე გამოდის – ორთქლით არის სავსე!

ბლანში. უკვე სამჯერ მოგიხადეთ ბოდიში. (პიანინო ერთვება) ცხელი აბაზანები ნერვების გამო მჭირდება. ამას ჰიდროთერაპია ჰქვია. თქვენ, პოლონეთელო, ჯანმრთელი ადამიანი ბრძანდებით, უნერვო არსება; ამიტომაც ვერ ხვდებით, როგორია, როცა ნერვებმოშლილი ადამიანი ადგილს ვერ პოულობს.

სტენლი. პოლონეთელი კი არა, პოლონელი ვარ! პოლონეთიდან წამოსულ ხალხს პოლონელები ჰქვიათ, პოლონეთელები კი არა! მე კი სუფთა სისხლის ამერიკელი ვარ – დავიბადე და გავიზარდე მსოფლიოს უდიდეს ქვეყანაში და ამით წარმოუდგენლად ამაყი ვარ! ასე რომ, პოლონეთელები თქვენკენ მოიკითხეთ!

ტელეფონი აწკრიალდა.

ბლანში. (თითქოს ამას ელოდაო, უცებ წამოხტება) ეს მე მირეკავენ, უეჭველია, მე მირეკავენ.

სტენლი. ეგ არავინ იცის. რას წამოხტით? (აუჩქარებლად მიდის ტელეფონისკენ) გისმენთ! აა. ჰო... ჰო, კარგად, მაქ! (კედელს მიეყუდება, დამცინავად და მძიმედ უყურებს ბლანშს თვალებში) ბლანში დამფრთხალივით მიეკრობა სკამის საზურგეს. სტელა გვერდით დაუდგა, მხარზე მიეკრა.

ბლანში. არ გინდა, სტელა. რა დაგემართა?... ასე სიბრალულით რატომ მიყურებ?

სტენლი (ღრიალებს) მოკეტეთ!!! ჩაგვისახლდა აქ და ჭკუაზე აღარ არის... ჰო, გისმენ, მაქ. რაილისთან? არა, რაილისთან არ ვითამაშებ. ნაჩხუბარი ვარ და იმიტომ. წინა კვირაში. მე მგონი, ჯერ კიდევ მქვია გუნდის კაპიტანი. არა? აჰა! ჰოდა, რაილისთან არ ვითამაშებთ. ჰო, უესთ-საიდში ან „გალაში“. კაი, მაქ, ეგრე იყოს. დროებით. (ყურმილს დაკიდებს და ცოლისდისკენ შებრუნდება) ბლანში დიდი ძალისხმევის ფასად ახერხებს თავის შეკავებას. სწრაფად მოსვამს წყალს თავისი ჭიქიდან.

სტენლი. (თითქოს ვერც ამჩნევსო, ჯიბეში იყოფს ხელს. აუჩქარებლად, ყალბი მეგობრული ტონით) დაიკო ბლანშ, თქვენთვის საჩუქარი მაქვს შემონახული.

ბლანში. მართლა? რატომ წუხდებოდით, სტენლი? ვერც კი ვიფიქრებდი... საერთოდ ვერ ვხვდები, ან სტელამ რატომ მოინდომა ჩემი დღეობის აღნიშვნა. მერჩივნა, არც კი გამეხსენებინა, რომ უკვე... ოცდაშვიდის ვარ! ან რატომ მივაქციო ასაკს ყურადღება, ჯობია, სულ დავივიწყო.

სტენლი. ოცდაშვიდის?

ბლანში. (ნაჩქარევად) აბა, რას მჩუქნით, სტენლი?

ის ნელა გაუწვდის პატარა კონვერტს.

მართლა მჩუქნით?

სტენლი. კი. იმედია, მოგეწონებათ.

ბლანში. ეს... ეს ხომ...

სტენლი. ბილეთია! ლორელამდე! ავტობუსი პირდაპირი რეისით სამშაბათს გადის.

ჩუმად, თითქოს შეპარვით, პოლკა-ვარშავიანკა აჟღერდა და აღარ ჩერდება. სტელა წამოხტა, შეტრიალდა. ბლანშმა გაღიმება სცადა – არ გამოვიდა. გაცინება სცადა – ესეც არ გამოვიდა. უცებ საძინებელში შევარდა, ხელები ყელზე მიიდო და სააბაზანოში შეიკეტა. მისი ხველების ხმა გაისმა, თითქოს რაღაც გადასცდაო.

აი, ასე!

სტელა. უნდა ჩაგემწარებინა! ამის გარეშე არ შეიძლებოდა?

სტენლი. ცოტა მოვითმინე? თუ დაგავიწყდა?

სტელა. არ იყო საჭირო ასეთი შეუბრალებლობა – ისედაც მარტოა, ყველასგან მიტოვებული.

სტენლი. კეთილშობილი...

სტელა. დიახაც, კეთილშობილი!... იყო. შენ მას ადრე არ იცნობდი. ყველაზე კეთილი, თავდადებული. შენ და შენნაირებმა კი ზედ გადაუარეს, გათელეს, და ის, რომ დღეს ასეთია, თქვენი ბრალიცაა.

სტენლი საძინებელში გადის, პერანგს იხდის და მბზინვარე სპორტულს იცვამს.

(სტელაც გაჰყვება) და ამის შემდეგ თამაშის გუნებაზე ხარ? ახლა კეგლისთვის გცხელა?

სტენლი. აბა, როგორ გინდა?

სტელა. არა, არა-მეთქი! (პერანგში ჩააფრინდება) ასე რატომ ერჩი?

სტენლი. არაფერსაც არ ვერჩი. გამიშვი, არ გამიხიო!

სტელა. არა-მეთქი! მინდა ვიცოდე – რატომ? დროზე მიპასუხე!

სტენლი. როდესაც გაგიცანი, ზევიდან მიყურებდი, როგორც პლებეის. არც ცდებოდი! ჰო, მდაბიო ვარ, ჰო, მუტრუკი. მერე ის ფოტო მიჩვენე: დიდი, ვეებერთელა, სვეტებიანი სახლი. მე მაგ სვეტებიანი სახლიდან გამოგიყვანე, აქ, ძირს ჩამოგიყვანე და ბედნიერებაც გაჩუქე, ნამდვილი ბედნიერება! ჩვენ ხომ ყველაფრით კმაყოფილები ვიყავით. მაგრამ ეს ქალბატონი გამოცხადდა და ყველაფერი აგვერია. რა, ასე არ არის?

სტელა დარეტიანებულივით დგას. განყენებული მზერა ერთი წერტილისკენ აქვს მიმართული, თითქოს შინაგანი ხმა ეძახის. ფრთხილად, მორღვეული ფეხებით გადის საძინებლიდან სამზარეულოში, სკამის საზურგეს დაეყრდნობა, მერე მაგიდის კიდეს – ბრმასავით გაუბედავად მიაბიჯებს.

(სტენლი პერანგს იკრავს და შარვალს ისწორებს. სტელას პასუხი არც გაუგია, თავისას იმეორებს) განა ბედნიერები არ ვიყავით? ორნი ცუდად ვცხოვრობდით? გვაკლდა რამე, ვიდრე ეს დედაკაცი გვესტუმრებოდა! ყველაფრით უკმაყოფილოა, მე მაიმუნად აღმიქვამს. (ამჩნევს, რომ სტელას თავს რაღაც ხდება) ეე, სტელ, რა გჭირს? (უცებ მიირბენს მასთან) სტელა. (ძლივს გასაგონად) საავადმყოფოში წამიყვანე.

სტენლი ხელს მოხვევს წელზე, ჩუმად ეჩურჩულება, კარისკენ მიჰყავს. მისი ჩურჩული თანდათან იკარგება. წავიდნენ.

ბლანშის ხმა[6] (ჩუმად და სევდიანად ღიღინებს). El pan de mais, el pan de mais, El pan de mais sin sal. El pan de mais, el pan de mais. El pan de mais sin sal

მეცხრე სურათი

ცოტა ხნის შემდეგ. ბლანში მოკუნტული, უხერხულ და დაძაბულ პოზაში ზის სავარძელში, რომელსაც დიაგონალზე გასდევს თეთრი და მწვანე ზოლები. აცვია კვასკვასა წითელი ატლასის ხალათი. მის წინ, მაგიდაზე – ბოთლი და ჭიქა. ისმის პოლკა-ვარშავიანკას გიჟური მოტივი. ბლანში მუსიკას აჰყვება, რომ როგორმე მოიშოროს უბედურების გარდაუვალი შეგრძნება. ტუჩებით რაღაც სიტყვებს გამოთქვამს, ალბათ, პოლკის ტექსტს. ახლოდან ელექტრომარაო აფრიალდა.

ქუჩაში მითჩი გამოჩნდა. ლურჯი სპეცტანსაცმელი აცვია – უხეში ქაღალდის ქსოვილისგან შეკერილი შარვალ-ხალათი. გაუპარსავია. მოსახვევს გამოსცდა და კიბეზე ამოდის, რეკავს.

ბლანში. (შეშინებული წამოხტება) ვინ არის?

მითჩი. (ჩახლეჩილი ხმით) მითჩი ვარ.

პოლკა წყდება.

ბლანში. მითჩი? ახლავე! (დაფაცურდა, ბოთლი კედლის განჯინაში შეინახა; სარკის

წინ დატრიალდა, სახე ოდეკოლონით გაიგრილა, პუდრიც შეიფრქვია. აღგზნებულია და მოუთმენელი, მძიმედ სუნთქავს, წყვეტილად. როგორც იქნა – მოემზადა: კართან მირბის და აღებს) მითჩ!... ალბათ, არც უნდა გიღებდეთ კარს – თქვენი საქციელის მერე! არარაინდული საქციელია თქვენის მხრივ! თუმცა, რას ვიზამთ... მობრძანდით, საყვარელო. (ტუჩები მიუშვირა) ჩემი საკუთარია. დედიკო როგორ გყავთ? უარესად?

მითჩი. საიდან მოიტანეთ?

ბლანში. ვფიქრობ, რაღაც შეგემთხვათ... არა, არა, ნუ შეშინდებით, არავითარი ჯვარედინი დაკითხვა არ იქნება. პირიქით, მე... (დაბნეულად, თითქოს აზრებს უყრის თავსო, შუბლი მოისრისა) ისევ გაისმა პოლკის მოცეკვავე მოტივი.

ვცდილობ, არ შევიმჩნიო, რომ ისეთი აღარ ხართ... აი, ისევ ეს მუსიკა!

მითჩი. რა მუსიკა?

ბლანში. ისევ ის! პოლკა, მაშინაც ამას უკრავდნენ, ალანმა რომ.... მოიცათ! ახლავე, ახლავე...

რევოლვერის გასროლის ხმა შორიდან.

(თითქოს მხრებიდან ტვირთი მოეხსნაო) აი, ისიც... გასროლა! ამის შემდეგ, როგორც წესი, მუსიკა წყდება.

პოლკაც ნელ-ნელა ჩუმდება.

ჰო... შეწყდა.

მითჩი. დღეს რა, სრულ ჭკუაზე ვერა ხართ?

ბლანში. ახლავე ვნახავ, იქნებ რამეს მივაგნო (კედლის განჯინასთან მიდის, თავი ისე უჭირავს, თითქოს არ იცოდეს, დახვდება თუ არა ბოთლი)... რა მაგისი პასუხია, და მაპატიეთ, ჩაუცმელი ვარ. სიმართლე გითხრათ, თქვენზე უკვე ჯვარი მქონდა დასმული. დაგავიწყდათ ვახშამზე მოსვლა?

მითჩი. თქვენი დანახვაც კი აღარ მინდოდა.

ბლანში. ერთ წამს. აქ ცუდად ისმის, თქვენ კი სიტყვაძუნწი ხართ, არ მინდა, რამე გამომრჩეს.

მითჩმა თითქოს ვერც კი შეამჩნია, ისე შევიდა ბინაში.

(შიშით უცქერის, როგორ ჩაუარა მითჩმა და საძინებელში დაწინაურდა) ღმერთო ჩემო, რა უდიერად იქცევით, გაუპარსავი ხართ, ან ეს უცნაური ჩაცმულობა... ესაა ქალის პატივისცემა?... მაგრამ მიპატიებია. გპატიობთ, რაკი მოხვედით, გულზე მომეშვა. თანაც პოლკის ეს ოხერი მოტივი ამომიგდეთ თავიდან, არადა, უშნოდ ამეკვიატა. თქვენ არ გჩვევიათ ხოლმე აკვიატება? თუმცა, თქვენი კუნთების პატრონს, რისი მოცილება უნდა გაუჭირდეს!

მთელი ეს დრო, სანამ ბლანში უახლოვდება, მითჩი ბოროტ მზერას არ აცილებს, წარბშეკვრით უყურებს. ემჩნევა, რომ გზად ერთი-ორი უნდა ჰქონდეს გადაკრული.

მითჩი. უამისოდ არ შეიძლება? (ელექტრომარაოზე მიუთითებს) ბლანში. რატომაც არა.

მითჩი. ვერ ვიტან.

ბლანში. მაშ, გამოვრთოთ, საყვარელო. არც მე მეხატება მაინცდამაინც გულზე. (გამომრთველს დააჭირა და ელექტრომარაოს ხმაც მიწყდა. უხერხულად ჩაახველებს, როდესაც მითჩი საწოლზე მიწვება და გააბოლებს. იშმუშნება) არც კი ვიცი, გვაქვს თუ არა რამე ყელის გასასველებლად... ნახვა ვერ მოვასწარი.

მითჩი. სტენის უკვდავების წყალიც არ მინდა.

ბლანში. სტენისა არ არის! ყველაფერი მას კი არ ეკუთვნის. ამ სახლში სხვისი რამეც მოიპოვება... ჰო, მართლა, რას ვეძებდი? აჰ, ჰო... დასალევს. მთელი საღამო ვქეიფობდით, ასე რომ, ახლა მართლაც ვერ ვარ სრულ ჭკუაზე (ისეთ იერს იღებს, თითქოს ბოთლს ახლაღა მოჰკრა თვალი).

მითჩმა ცალი ფეხი საწოლიდან გადმოკიდა. ზიზღით უცქერს ბლანშს.

აი, რაღაცას მივაგენი. თქვენ კი, როგორც ვხედავ, გვარიანად მოგილხენიათ... აჰა, აბა, ეს რა არის ნეტავ?

მითჩი. რაკი არ იცით, ე.ი. თქვენიც არ არის.

ბლანში. ჩამოიღეთ ფეხი საწოლიდან. პირდაპირ თეთრ გადასაფარებელზე! თქვენ, კაცებს, ასეთი წვრილმანები სულ არ განაღვლებთ. მე კი იმდენი შრომა გავწიე ამ სახლის მოსაწესრიგებლად.

მითჩი. ჰო, აბა, თქვენ რომ არა...

ბლანში. რა, არ გინახავთ, აქ რა ხდებოდა, სანამ მე... ახლა კი, სულ სხვაა. ოთახი კი არა – სათამაშოა. უკვე სრულ წესრიგშია აქაურობა, ამ მხრივ მკაცრი ვარ... არც კი ვიცი, ამას ურევენ რამეში თუ პირდაპირ სვამენ... მმმ... ტკბილია. საშინლად ტკბილია, შაქარივითაა... უი, ლიქიორი ყოფილა! ასეა – ლიქიორი.

მითჩმა რაღაც ჩაიბურდღუნა.

ვშიშობ, არ მოგეწონებათ. მაინც გასინჯეთ, რა იცით, რა ხდება?

მითჩი. სტენისა არაფერი მინდა-მეთქი, გასაგებად გითხარით. რამდენჯერ გავიმეორო? ან თქვენ რაღაში გჭირდებათ მისი სასმელი? ისედაც სულ იმას წუწუნებს, რომ მის ვისკის დააცხერით, ცოფიან კატასავით.

ბლანში. რა სისულელეა! თქვენც დგახართ და იმეორებთ – დაუჯერებელია პირდაპირ! მე ამაზე მაღლა ვდგავარ და ასეთ მდაბიურ ცილისწამებაზე პასუხის გაცემასაც არ ვიკადრებ.

მითჩი. ჰა-ჰა!

ბლანში. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? თვალებში გატყობთ, რაღაც გაქვთ ჩაფიქრებული.

მითჩი. (საწოლიდან დგება) რას ვზივართ სიბნელეში?

ბლანში. ასე მირჩევნია, ბინდბუნდში უფრო მყუდროდ ვგრძნობ თავს.

მითჩი. მგონი, სინათლეზე არც კი მყავხართ ნანახი.

ბლანშმა უხმოდ ჩაიცინა.

ბლანში. მართალია.

მითჩი. დღისით არც ერთხელ.

ბლანში. მერე, ვისი ბრალია?

მითჩი. დღისით გამოჩენა არ გნებავთ – სულ ასეა.

ბლანში. დღისით მუშაობთ და...

მითჩი. კვირა დღეებიც ხომ არსებობს. რამდენჯერ მითხოვია თქვენთვის, კვირას გავისეირნოთ-მეთქი, თქვენ კი მუდამ იძვრენდით თავს. ექვსამდე სახლიდან ვერ გაგიყვანთ კაცი, ექვსის მერე კი ისეთ ადგილს ეძებთ, სადაც ნაკლები სინათლეა.

ბლანში. რაღაცას აბუქებთ, მითჩ, ვერ ვხვდები, რა გაქვთ თავში.

მითჩი. განსაკუთრებული არაფერია, ბლანშ, უბრალოდ, აქამდე დღის სინათლეზე არ მინახავხართ-მეთქი, ამას ვამბობ. მოდით, ერთი, სინათლე ავანთოთ, ადამიანურად შეგხედოთ.

ბლანში. (შეშინებულია) სინათლე? რა სინათლე? რად გინდათ?

მითჩი. ეს ნათურა მაინც ავანთოთ, აბაჟური რომ უკეთია... (ნათურას ქაღალდის აბაჟურს ჩამოჰგლეჯს) ბლანში. (ამოიკვნესა და წამიერად თითქოს ენა ჩაუვარდა შიშისგან) კი მაგრამ...

მითჩი. წესიერად შეგათვალიეროთ, სისულელეების გარეშე.

ბლანში. ვერ ვიჯერებ... ნუთუ თქვენც ჩემი დაცინვა გაქვთ განზრახული?

მითჩი. დაცინვა კი არა – რეალობის დანახვა მინდა.

ბლანში. რეალიზმს არ ვცნობ – მაგიას ვამჯობინებ.

მითჩს ეცინება.

დიახ, დიახ, მაგიას! მსურს, რომ ხალხს გავაცნო მაგია. ხალხი ფაქტებს სულ სხვაგვარად უნდა ხედავდეს, ისე არა – როგორც რეალობაში. დიახაც, ხანდახან ტყუილს ვამბობ, ანუ იმას, რაც არ არის, მაგრამ რაც უნდა იყოს! მე ისე ვლაპარაკობ, როგორც უნდა იყოს ცხოვრება მოწყობილი. თუკი ამით ვცოდავ, დაე, ამ ცოდვის გამო მომეკითხოს, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს... ნუ ანთებთ ამ სინათლეს!

მითჩი შტეფსელთან მიდის, შუქს ანთებს და გამომცდელად უყურებს. ბლანში კივის – სახეზე ხელებს იფარებს. მითჩი სინათლეს აქრობს.

მითჩი. (ნელა, მწუხარედ) იმაზე უფროსი ყოფილხართ, ვიდრე მეგონეთ, თუმცა ეს

კიდევ არაფერი. სხვა დანარჩენი... ღმერთო! მთელი ზაფხული ძველმოდური იდეალების ბალადებით მაბოლებდით. ის, რომ ქალიშვილი არ ხართ და არც თექვსმეტი წლისა, ისედაც ვხვდებოდი. მაგრამ ისეთი სულელი აღმოვჩნდი, რომ დაგიჯერეთ, თითქოს პატიოსანი იყავით.

ბლანში. პატიოსანი? და ვინ გესაუბრათ ჩემს „პატიოსნებაზე?“ ჩემი საყვარელი სიძე ხომ არა? თქვენც დაუჯერეთ, არა?

მითჩი. კი, თავიდან ჭორიკანაც კი ვუწოდე, მაგრამ მერე გავარკვიე, სინამდვილეში რა ხდებოდა. ჯერ ჩვენს მომმარაგებელს მივმართე, ის სულ ლორელში დაეთრევა, მერე საქალაქთაშორისოთი დავრეკე და იმ ვაჭრუკანას დავაფქვევინე ყველაფერი.

ბლანში. ვის? ვისზე ამბობ?

მითჩი. ქიფეიბერს.

ბლანში. ქიფეიბერს... ლორელელი ვაჭარი? ჰო, ვიცნობ... ქუჩაში სტვენას მადევნებდა ხოლმე. ერთხელაც ადგილზე მოვსვი. ახლა ის სამაგიეროს მიხდის, გაუგონარ სიბინძურეებს მიგონებს.

მითჩი. ქიფეიბერი, სტენლი, შოუ – სამივე იგონებს?!

ბლანში. სერზე მიდის სამი მგელიო, მათზეა ნათქვამი...

მითჩი. მითხარით, მაგ „ფლამინგოში“ გიცხოვრიათ?

ბლანში. „ფლამინგოში“? რას ამბობთ?... „ტარანტულში“! აი, სად ვცხოვრობდი – სასტუმროში, სახელად „ტარანტულის თათებში“.

მითჩი. (დაბნეულად) „ტარანტული“?...

ბლანში. დიახაც! დიდრონი ობობაა... სწორედ მასში ვიტყუებდი ჩემს მსხვერპლს. (ჭიქა აივსო) დიახ, ნებისმიერს ვიტყუებდი, იმდენს, რომ სათვალავიც კი ამერია. ალანის დაღუპვის შემდეგ სულ მეჩვენებოდა... რომ უცხო, უცნობი მამაკაცის ალერსი შემივსებდა დარჩენილ სიცარიელეს... ალბათ, შიშისგან მეჩვენებოდა ასე... დიახ, დიახ, სწორედაც შიში, ის მერეკებოდა, ხან ერთის მკლავებში ვეძიებდი შვებას, ხან მეორის... დასაყრდენს ვეძებდი, სულ მცირეს, მაგრამ მაინც, ვიდრე საქმე ჩვიდმეტი წლის ბიჭუნამდეც არ მივიდა... ჰოდა, აიღო ვიღაცამ და სკოლის დირექტორს მისწერა: „ეს დედაკაცი მასწავლებლის სახელს არცხვენსო“. (გაეცინა და თავი გადაკიდა. ისე გააკანკალა, ვერ გაიგებდი – გადაიკისკისა თუ ამოიკვნესა... და სიტყვასიტყვით გაიმეორა: „ეს დედაკაცი“... ყელი გაუშრა, გადაჰკრა). განა ეს სამართალია? ვარცხვენდი... ალბათ, ასეც იყო... გააჩნია, რა კუთხით შეხედავ... ჰოდა, ჩამოვედი, აი, აქ ვარ! სხვაგან სად წავსულიყავი: მორჩა, ჯართში ვარ გადასაგდები. იცით, რას ნიშნავს ჯართში გადაგდება? უცებ აღმოვაჩინე, რომ ახალგაზრდობა გაქრა – ქარმა დაუბერა და სადღაც წაიღო... და აი, თქვენ შეგხვდით. მეგობარი მჭირდებაო, ხომ მეუბნებოდით? მეც მჭირდება... ღმერთს მადლობა შევწირე, რომ თქვენი თავი მაპოვნინა. ისე მეიმედებოდით, როგორც მაშველი რგოლი მღვრიე ტალღებში, ნავსაყუდელი, რომელიც არ დაგაღალატებს! ახლა ცხადი გახდა, რომ ბედისგან ბევრი მოვითხოვე, არ მეღირსა გვირაბის ბოლოს სინათლის დანახვა. ქიფეიბერმა, სტენლიმ და შოუმ საქვეყნოდ გამომაჭენეს.

დუმილი.

მითჩი. (უხმოდ მიაჩერდა, დაბნეულია) თქვენ მე მატყუებდით, ბლანშ.

ბლანში. მორჩით... არ გატყუებდით.

მითჩი. ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა, თქვენს სიტყვებსა და აზრებში მხოლოდ სიცრუეა!

ბლანში. არ არის მართალი! გულის სიღრმეში ერთხელაც კი არ მომიტყუებიხართ.

მოსახვევში ვაჭარი გამოჩნდა – შავშალმოსხმული მექსიკელი ბრმა ქალი. ხელში თუნუქის ყვავილების შეკვრა უჭირავს – მექსიკური სიღატაკის ნიშანი – დაკრძალვაზეც რომ გამოდგება და ზეიმზეც. რაღაცას იძახის, ძნელად გასარჩევს. მკრთალად იხატება მისი ქუჩაში აღმოცენებული ფიგურა.

მექსიკელი ქალი. ლორეს. Flores. Flores para los muertos. Flores. Flores.[7]

ბლანში. რაო?... კარზეა ვიღაც (კართან მიდის, აღებს. მის წინ მექსიკელი ქალი დგას) მექსიკელი ქალი. (ბლანშს რამდენიმე ცალ თუნუქის ყვავილს გაუწვდის) Flores. Flores para los muertos.

ბლანში. (შეშინებული) არა, არა! არ მინდა! ჯერ არ მჭირდება. ჯერ რად მინდა! (მექსიკელ ქალს ცხვირწინ კარი მიუჯახუნა და სწრაფად გადაინაცვლა ოთახის სიღრმეში) მექსიკელი ქალი. ლორეს. ლორეს para los muertos...

პოლკის მოტივი აჟღერდა.

ბლანში. (თითქოს თავის თავს ესაუბრება) ყველაფერი ნადგურდება, ცამტვერდება, ქრება... ადამიანები კი – ინანიებენ, ერთმანეთს ემდურიან... „შენ რომ ისე მოქცეულიყავი, მე ასე მოქცევა აღარ დამჭირდებოდა“.

მექსიკელი ქალი. Coronas para los muertos...

ბლანში. მიცვალებულთა მემკვიდრეობა... ჰა-ჰა! თავისი მზითვითურთ... სისხლის ლაქებით დასვრილი ბალიშის პირები, მაგალითად! „თეთრეული უნდა გამოცვალოს“... „კარგი, დედა! მაგრამ მოსამსახურე ხომ გვყავს, იქნებ ზანგის ქალმა გამოცვალოს?“ ... „არა, რასაკვირველია, წავიდა ის დრო. ყველაფერმა ჩაიარა, არაფერი დარჩა. მხოლოდ“...

მექსიკელი ქალი. ლორეს.

ბლანში. სიკვდილი... ყოფილა, მე საწოლის ერთ მხარეს ვარ, ის – მეორე, სიკვდილი კი იქვეა, გვერდით. ჩვენ კი არ ვიმჩნევდით, თავს ვიტყუებთ, თითქოს მსგავსი არაფერი გაგვიგია.

მექსიკელი ქალი. Flores para los muertos. Flores. lores.

ბლანში. სიკვდილს წინ რა დაუდგება? სურვილი, სიყვარული. მაშ, რაღა გიკვირთ? რა არის გასაკვირი! „ოცნების“ მახლობლად, მაშინ ჯერ კიდევ ჩვენ გვეკუთვნოდა – სამხედრო ბანაკი იყო, სადაც ახალწვეულებს წვრთნიდნენ. შაბათობით ბიჭები დაბაში ჩამოდიოდნენ და თვრებოდნენ.

მექსიკელი ქალი. (მინავლული ხმით) Coronas...

ბლანში. უკანა გზაზე კი – ყოფილა, ფეხზეც ძლივს იდგნენ – ჩვენკენ შემოუხვევდნენ ხოლმე და ფანჯრის ქვეშ გაჰყვიროდნენ: „ბლანშ!“ ბებერს სმენა ჰქონდა დაკარგული და ვერაფერს ხვდებოდა. მე კი... მე ვსარგებლობდი შემთხვევით და მათ დაძახილზე სახლიდან ვიპარებოდი... მერე კი პატრული სატვირთო მანქანაში აგდებდა ჩვენს მდელოზე დაყრილ მათ უსიცოცხლო სხეულებს... და გზას გაუყენებდა...

მექსიკელი ქალი აუჩქარებლად წაბორიალდა, მისი მონოტონური შეძახილები მიჩუმდება. ბლანში ტუალეტის მაგიდასთან მივიდა, ჩამოეყრდნო. დუმილი. მითჩი წამოდგა და მისკენ წავიდა. პოლკა მიჩუმდა, მითჩმა ბლანში მიიხუტა, წელზე მოხვია ხელები და თავისკენ შეტრიალება სცადა.

ბლანში. რა გნებავთ მეტი?

მითჩი (გაუბედავად ეხვევა) ის, რასაც მთელი ზაფხული ვერ ვეღირსე.

ბლანში. მაშინ, ცოლად მომიყვანეთ, მითჩ.

მითჩი. მსგავსი სურვილი საერთოდ გამიქრა.

ბლანში. ანუ – არა?

მითჩი. (ხელებს უშვებს) არც იმდენად სპეტაკი ხართ, რომ სახლში შეგიყვანოთ, ბლანშ... იქ ხომ მარტო არ ვარ – დედაც იქაა.

ბლანში. რაკი ასეა – წაბრძანდით.

ის დაჟინებით უყურებს ბლანშს.

თქვენი ფეხიც არ ვნახო აქ... თორემ მთელ ქუჩას დავაყენებ ფეხზე! (ისტერიკა ეწყება) გიმეორებთ, მთელ ქუჩას...

მითჩი გამომცდელ მზერას არ აცილებს.

(ფანჯარას მივარდება, უზარმაზარ ჩარჩოს, რომელშიც ზაფხულის ცის ნაზი, მოშავო-მოლურჯო ფრაგმენტი ჩანს... და გიჟივით გაჰკივის) ხანძარი! ხანძარი! ვიწვით!

მითჩმა შიშით პირი დააღო და კარს ეცა. კიბეზე ჩაძუნძულდა და მოსახვევში მიეფარა თვალს. ბლანში ბარბაცით მოსცილდა ფანჯარას და მუხლებზე დაეშვა. სადღაც შორიდან პიანინოს სევდიანი ბგერები მოისმა.

მეათე სურათი

კიდევ რამდენიმე საათი გავიდა. ღამეა.

მითჩის გაძევების შემდეგ ბლანშმა სასმელში სცადა შვების პოვნა. თავისი კოფრი შუა საძინებელში გამოიტანა, გადახსნა და ფერად-ფერადი კაბები ამოყარა, ასე, სმითა და მოსართავების თვალიერებით ისე გაერთო და ისეთ ექსტაზში ჩავარდა, რომ ცა ქუდად აღარ მიაჩნდა, დედამიწა ქალამნად. მერე ადგა და საკმაოდ შელახულ, თეთრი ატლასის კაბაში გამოეწყო, ვერცხლისფერი, ბრილიანტებით დაწინწკლული ფეხსაცმელიც ჩაიცვა. მაგიდაზე რაინის ქვებით შემკული ტიარა დადო და თვითკმაყოფილი ჩურჩულს მოჰყვა, თითქოს უხილავ თაყვანისმცემელთა გარემოცვაში იმყოფებაო.

ბლანში. ისე, არ ჯობია, ყველანი საბანაოდ წავიდეთ ძველი ქვის სამტეხლოსთან – მთვარის შუქზე ვიბანავებდით, ჰა? მაგრამ საჭესთან დაჯდომის თავი აქვს ვინმეს? ყველანი მთვრალები ვართ. ჰა-ჰა! თავბრუსხვევაზე ყველაზე კარგი, იცი, რა არის? – ცურვა! ეგრევე გეხსნება. მაგრამ გაფრთხილდით, ჩაძირულ კარიერთან ღრმა არის, დაკვირვებით უნდა ჩაყვინთო, თორემ შვერილზე თუ მიახეთქე თავი – ერთი დღის მერე ამოცურდები (აკანკალებული ხელით აიღებს სარკეს, ჩაიხედავს. მერე ისეთი ძალით დაახეთქებს ტუალეტის მაგიდაზე, რომ სარკეს ნამსხვრევებად აქცევს. ჩუმად ამოიკვნესებს, წამოდგომას ცდილობს).

ქუჩაში, მოსახვევში სტენლი გამოჩნდა. ისევ ის ღიამწვანე აბრეშუმის სპორტული პერანგი აცვია. მის გამოჩენას ბალაგან-ორკესტრის ხმაური ერთვის, რაც მეორე სცენაშიც გულის გამაწვრილებლად მეორდება. აგერ უკვე სამზარეულოშია, მის უკან კარი მიჯახუნდა. ბლანშს შეხედა და ხმადაბლა შეუსტვინა. ცოტა გადაკრულშია, გზად ლუდის რამდენიმე კვარტიანი ბოთლი გამოაყოლა.

როგორ არის ჩემი და?

სტენლი. ყოჩაღად.

ბლანში. ბავშვი?

სტენლი (მეგობრულად გაეკრიჭა) ხვალ დილას გაჩნდება, ასე რომ, შინ წადი და წაუძინეო, მირჩიეს.

ბლანში. აქედან გამომდინარე, აქ მარტოებს მოგვიწევს დარჩენა? ერთი ერთზე?

სტენლი. აჰა. თქვენ და მე, ერთად, ბლანშ... თუკი, ცხადია, საწოლქვეშ არავის გყავთ დამალული. რასთან დაკავშირებით გამოწყობილხართ ბუმბულებში?

ბლანში. ხო, საქმე იმაშია, რომ თქვენს არყოფნაში ტელეგრამა მომივიდა.

სტენლი. თქვენ?

ბლანში. ერთი ძველი თაყვანისმცემლისგან.

სტენლი. კარგი ამბავია?

ბლანში. კი... მიწვევა.

სტენლი. სად? მეხანძრეთა მეჯლისზე?

ბლანში. (თავს გადასწევს) კარიბის ზღვაში იახტით გასეირნება!

სტენლი. აჰა, გასაგებია.

ბლანში. ამაზე გაკვირვებული ცხოვრებაში არ ვყოფილვარ.

სტენლი. აბა, რა! ამისთანა რამეა...

ბლანში. ეს ტელეგრამა სრული მოულოდნელობაა ჩემთვის!

სტენლი. ვისგანო, რა მითხარით?

ბლანში. ძველი თაყვანისმცემლისგან.

სტენლი. ბეწვეული რომ გაჩუქათ, იმისგან ხომ არა?

ბლანში. მისტერ შეფ ჰანთლი. კოლეჯის ბოლო კურსზე ჩემი მუდმივი თანამგზავრი იყო. შარშანდელ შობამდე აღარც მინახავს. ბისკაის ბულვარზე შევეჩეხეთ ერთმანეთს. ჰოდა, აი, უცებ ეს ტელეგრამაც!... კარიბის ზღვაზე სასეირნოდ მიპატიჟება! აზრზე არ ვარ, რა ჩავიცვა. ტროპიკებისთვის შესაფერი სამოსის ძებნაში მთელი ჩემი ტანსაცმელი გადავაქოთე.

სტენლი. და ამ ალმასებით დახუნძლულ მდიდრულ ტიარაზე შეჩერდით?

ბლანში. რა, ეს წარსული დიდების ნაშთი?... ჰა, ჰა, ეს მხოლოდ და მხოლოდ რაინის ქვებია!

სტენლი. ფუ შენი! მე კი ნაღდი ალმასები მეგონა ტიფანისაგან (პერანგის გახსნას იწყებს).

ბლანში. ეგ არაფერი. სამაგიეროდ, იქ ვიცხოვრებ ფუფუნებაში.

სტენლი. ჰმ... ამაზეა ნათქვამი, ქალი იჯდეს, ბედს ელოდესო...

ბლანში. არადა, აღარაფრის იმედი არ მქონდა, ბედნიერებამ დამივიწყა-მეთქი, ვფიქრობდი...

სტენლი. როგორც სცენაზე ხდება ხოლმე – უცებ მშველელად მილიონერი მოგევლინათ მაიამიდან.

ბლანში. მაიამიდან სულაც არ არის – დალასიდანაა.

სტენლი. რას მეუბნებით?

ბლანში. დიახ, დალასიდანაა... იქ ხომ ოქრო შადრევნებად ამოჩქეფს.

სტენლი. კარგია, საიდანღაც ხომ არის (პერანგს იხდის).

ბლანში. სანამ სულ გაიხდიდეთ, იქნებ, ფარდა მაინც გაგეწიათ.

სტენლი. (გულღიად) პერანგის მეტს ხომ არაფერს ვიხდი. (ლუდის ბოთლს სახვევს მოხსნის) გასახსნელი არ გინახავთ?

ბლანშმა ტუალეტის მაგიდისკენ დაიხია, გადაჯაჭვული თითებით დგას.

ერთი ბიძაშვილი მყავდა, ლუდის ბოთლებს კბილებით ხსნიდა. (უახლოვდება, რომ მაგიდის ნაპირზე გახსნას ბოთლი) ... ეს ერთი ნიჭი ჰქონდა – მეტი არაფერი. ადამიანი-საცობი! ერთხელ, ვიღაცის ქორწილში ვიყავით, ბოთლის გახსნისას ერთიანად ჩაემტვრა წინა კბილები! ამ ამბის მერე სიმორცხვე დასჩემდა, როგორც სტუმრები დაიწყებდნენ შეკრებას, ჩუმ-ჩუმად ითესებოდა ხოლმე.

ბოთლს საცობი სძვრება, ლუდის ქაფი ჭავლით იფრქვევა ბოთლიდან.

(ბედნიერი იცინის, თავზემოთ სწევს ბოთლს) ჰა-ჰა! აი, შხაპუნა წვიმაც ამას ჰქვია! (ბოთლს ბლანშს გაუწოდებს) აბა, ნეკი-ნეკისაო და შერიგებისაო? შევრიგდეთ?

ბლანში. არა, გმადლობთ.

სტენლი. კარგი, რა! ორივესთვის ასეთი მნიშვნელოვანი ღამეა: (დაიკუზა, ქვედა უჯრიდან რაღაც გამოიღო) თქვენ – მილიონერი მენავთობე, მე კი – ვაჟი! (საძინებელში გადის, შიფონერთან, ქვედა უჯრიდან რაღაცას იღებს.) ბლანში. (უკან იხევს) აქ რა გნებავთ?

სტენლი. აი... ამას დღესასწაულებზე ამოვიღებ ხოლმე... აბრეშუმის პიჟამაა – საქორწილო ღამესაც ეს მეცვა!

ბლანში. აა...

სტენლი. როგორც კი ტელეფონი დამირეკავს და მეტყვიან: „ვაჟი შეგეძინათო“, ამას სულ ნაკუწებად ვაქცევ და დროშებად გამოვკიდებ. (ცისარტყელას ფერებად აელვარებულ აბრეშუმის პიჟამას იქნევს) დღეს, მგონი, ორივეს გადასარევი დღე გვაქვს (პიჟამას ხელზე გადაიკიდებს და სამზარეულოში გადის).

ბლანში. როცა დავფიქრდები, რამხელა ნეტარებაა საკუთარ თავთან მარტო დარჩენა, ბედნიერებისგან ლამის ცრემლები წამომივიდეს!

სტენლი. თქვენი დალასელი მილიონერი, ის თქვენ გვერდით იქნება, თუ მოგცემთ განმარტოების საშუალებას?

ბლანში. თქვენგან განსხვავებით, ის ჩემზე სრულიად სხვა აზრისაა. ის ჯენტლმენია და პატივს მცემს. (უნიჭო იმპროვიზებას მიმართავს) ვაკლივარ, ჩემი საზოგადოება ესაჭიროება. ხანდახან მდიდრებიც საჭიროებენ გვერდში მდგომს. განათლებული, ინტელიგენტი, ზრდილი ქალბატონი კი ამ დანაკლისს იოლად შეავსებს. ყველა ამ სიკეთით უხვად ვარ დაჯილდოებული – რამდენიც უნდა გავცე, არაფერი დამაკლდება. სილამაზე წარმავალია, ხოლო სულიერი მშვენიერება, ჭკუა, მახვილგონიერება – რითიც დაჯილდოებული ვარ – წლებთან ერთად კი არ ქრება, არამედ, იზრდება და მრავლდება. სასაცილო არ იქნება, ჩემნაირ ქალს უქონელი უწოდო, როცა გულით განძს დავატარებ. (ამოიოხრებს) მგონი, საკმაოდ მდიდარიც ვარ, ამგვარად მაინც... არადა, რამდენ ღორს ვუყარე მარგალიტი.

სტენლი. ღორს? ჰა-ჰა!

ბლანში. ღორს, დიახ, თან არაერთს! მარტო თქვენ კი არა, თქვენს მეგობარ მითჩელსაც ვგულისხმობ! შემომიარა, სხვათა შორის! მუშის ტანსაცმლით გამომეცხადა და უნიჭო საძაგლობების მოყოლა დამიწყო, რაც თქვენგან ჰქონდა

გაგონილი! არა უშავს, გავუშვი, სადაც საჭიროა...

სტენლი. ჰო? ჰა-ჰა!

ბლანში. მაგრამ მალევე დაბრუნდა – ვარდების კალათით ხელში, პატიების სათხოვნელად. მეხვეწა, მევედრა, მაპატიეო. მაგრამ განა ყველაფრის პატიება შეიძლება?... განზრახულ სისასტიკეს პატიება არ უწერია! წინასწარ განზრახული სისასტიკე მგონი ერთადერთი ცოდვაა, რომელიც არ ჩამიდენია. ჰოდა, პირში მივახალე ყველაფერი. ვუთხარი, „დიდი მადლობა, მაგრამ მეეჭვება, რამეში მაინც შევეფერებოდეთ ერთმანეთს. ჩვენ-ჩვენი ცხოვრება გვაქვს, თქვენ ჩემთვის უცხო ხართ, მეც არ შეგეფერებით – არც გვარიშვილობით, არც აზროვნებით. ასე რომ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ-მეთქი, მეგობარო, და მაპატიეთ“...

სტენლი. ეს ყველაფერი მილიონერის ტელეგრამამდე გათამაშდა თუ შემდეგ?

ბლანში. რა ტელეგრამამდე? აჰ, არა, არა, მერე იყო... სიმართლე გითხრათ, ტელეგრამა სწორედ იმ დროს მოვიდა, როდესაც...

სტენლი. სიმართლე თუ გინდათ, არანაირი ტელეგრამა არ მოგსვლიათ!

ბლანში. ო-ო!..

სტენლი. არც ეს თქვენი მილიონერი არსებობს ბუნებაში! არც მითჩი დაბრუნებულა აქ ვარდებით ხელში, რადგან კარგად ვიცი, სადაა ახლა...

ბლანში. ო!

სტენლი. ეს სულ თქვენი წარმოსახვის ბრალია, მაგის ოხერი...

ბლანში. ო!

სტენლი. სულ ტყუილებს როშავთ, ცრუობთ, მასხარაობთ!

ბლანში. ო!

სტენლი. ერთი თქვენი თავისთვის შეგახედათ! რას ჰგავხართ ამ საზიზღარ კონკებში... თითქოს კლოუნესა ძველმანებით მოვაჭრესთან შეიმოსა... ან ეს სულელური გვირგვინი რამ დაგახურათ, თავი დედოფალი გგონიათ?

ბლანში. ოო... ღმერთო დიდებულო!

სტენლი. თქვენს შესწავლას იმთავითვე შევუდექი. სულ ჩემს გაცურებას ცდილობდით. ჩამოხვედით და მთელი სახლი პუდრითა და სუნამოებით ააქოთეთ, ნათურასაც კი ქაღალდის აბაჟური ჩამოაცვით... აქ ეგვიპტე ხომ არ გგონიათ, თავი კი – ნილოსის დედოფალი! დაბრძანდა ტახტრევანზე და ვითომც არაფერი, ჩემი ვისკით ილეშება! მე კი ვამბობ: ჰა-ჰა-ჰა! გესმით? ჰა-ჰა-ჰა! (საძინებელში გადის) ბლანში. არ მომიახლოვდეთ! (მის გარშემო, კედლებზე ავისმომასწავებელი ლანდები აფარფატდნენ. მერე და მერე უფრო გამოიკვეთა და სახიფათო იერი მიიღო. სუნთქვაშეკრული მიიპარება ტელეფონთან და სასოწარკვეთილი ბერკეტს დაეჭიდება).

სტენლი საბაზანოში შევა და კარს მიიჯახუნებს.

მორიგე, მორიგე! საქალაქთაშორისო მინდა... დალასში მისტერ შეფ ჰანთლისთან დამაკავშირეთ... ასეთი ცნობილი ადამიანის მისამართი რაღად გინდათ? ვისაც გნებავთ, ჰკითხეთ! ჰკითხეთ... მოიცადეთ, ერთ წამს! მოიცადეთ, ასე ერთ წამში ხომ ვერ მოვნახავ... ერთ წამს... მადროვეთ... ვიღაცამ ხომ უნდა... არაფერი! ნუღარ დამაკავშირებთ, ვთიშავ! (ყურმილი დაკიდა და უჩუმრად გაიპარა სამზარეულოში) ღამე არაადამიანური ხმებით გაჰკივის, ველური ჯუნგლების ღრიალს ჰგავს, თითქოს ყველაფერმა აიწყვიტაო.

ლანდები და ავისმაუწყებელი აჩრდილები მთელ ბინაში კედლებზე აცეკვდნენ, ათამაშდნენ, ახტუნავდნენ. ბინის უკანა კედლის მიღმა მკაფიოდ იკვეთება განათებული ქუჩა და ტროტუარი. მეძავი ქალი იქვე წამოწოლილ მთვრალ კაცს დაეჯახა. კაცი წამოხტება, გაეკიდება, წამოეწევა და დაიჭერს. ხელჩართული ჩხუბია. პოლისმენის სასტვენმა ჩხუბს ბოლო მოუღო. ორივე ფიგურა ქრება. თითქმის იმავე წამს მოსახვევში ზანგის ქალი ჩნდება და ქვაფენილიდან იმ ხელჩანთას აიტაცებს, რომელიც მეძავ ქალს გაუვარდა შეტაკებისას. ნადავლით აჟიტირებული იქვე იწყებს ჩანთის ამოქექვას.

(მომუშტულ ხელებს ტუჩებზე მიიდებს. ისევ ტელეფონთან მივა. სასოწარკვეთილი ჩურჩულით) მორიგევ! მორიგევ!... საქალაქთაშორისო რად მინდა? ტელეგრაფს დამაკავშირეთ. (მოუთმენლად იცდის) ტელეგრაფია? დიახ! დიახ. სწორედ... ტელეგრამის გაგზავნა მინდა... ჩაიწერეთ. „სასოწარკვეთილი, უსასოწარკვეთილესი ვარ. დამეხმარეთ! მახეში გავები“... ო!

საბაზანოს კარი გაიღო, აბრეშუმის მბზინვარე პიჟამაში გამოწყობილი სტენლი გამოჩნდა. ბლანში ჩაიცინებს და ბოლოებზე ფუნჯებიან ქამარს იკრავს. უხმოდ ამოიკვნესებს და ტელეფონს მოსცილდება. სტენლი დაჟინებით უყურებს – პაუზა: ათამდე დათვლა. ტელეფონის ყურმილიდან რაღაც წრიპინი ისმის.

სტენლი. ყურმილი არ დაკიდეთ (ხაზგასმულად ნელა მიდის ტელეფონთან და ყურმილს კიდებს. წესრიგს აღადგენს და ისევ ბლანშს მიაჩერდება, ბაგეზე დამცინავი ღიმილი გადაურბენს, თან კარში დგება, რომ ბლანშს გაქცევის საშუალება მოუსპოს)?

„ლურჯი პიანინო“ აქამდე რომ უკრავდა, თითქოს ჩაინავლება, მაგრამ უცებ დასცხებს მთელი ძალით და მოახლოებული ლოკომოტივის გრუხუნს შეერევა.

ბლანში. (მოიხრება და სანამ ლოკომოტივის ღმუილი გადაივლის, ყურებზე მუშტებს იჭერს. გასწორდა როგორც იქნა) გამიშვით... გამატარეთ!

სტენლი. გაგატაროთ? რა პრობლემაა?! ჰე, რაღას უდგახართ (ნაბიჯი უკან გადადგა და პირდაპირ კარში ჩადგა)?

ბლანში. გაიწიეთ.. იქითკენ (ხელით უჩვენებს მიმართულებას).

სტენლი (გაიკრიჭება.) ვიწროა? ვერ გაეტევით?

ბლანში. გზას მიღობავთ!... მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, როგორმე გავაღწევ აქედან.

სტენლი. თქვენ რა, გგონიათ, რომ რამეს გიპირებთ? ჰა-ჰა!

ნელ-ნელა „ლურჯმა პიანინომ“ შეაპარა სიტყვა. ბლანშმა ზურგი აქვია კაცს და სასოწარკვეთილმა ხელი აიქნია. ჯუნგლები ისევ აჟრიამულდა არაადამიანური ხმებით.

(ქალისკენ გადადგა ნაბიჯი. დგას. ენის წვერს კბენს. ჩუმადაა) აბა, ერთი დავფიქრდეთ... ვითომ რა იქნება, რომ გავერთოთ... მოდი ვცადოთ. რამე რომ იყოს, თქვენთანაც შეიძლება...

ბლანში (საძინებლისკენ დაიხევს) უკან! არ მომეკაროთ! ნაბიჯიც კი არ გადმოდგათ, თორემ...

სტენლი. თორემ რა?

ბლანში. ცუდად წაგივათ საქმე – დღის სინათლეს მოგანატრებთ.

სტენლი. საინტერესოა, რას მოიმოქმედებთ?

ორივენი საძინებელში არიან.

ბლანში. თუ თავი არ მოგბეზრებიათ, გზიდან ჩამომეცალეთ, ისედაც ყელში მყავხართ უკვე ამოსული.

სტენლი კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს ქალისკენ. ბლანშმა მაგიდიდან ბოთლი აიტაცა და ერთი მოქნევით გადატეხა; ხელში გადამტვრეული ბოთლი უჭირავს და სტენლის პირისპირ დგას.

სტენლი. ეს რაღად გინდათ?

ბლანში. ისე, უბრალოდ... თუ რამეა, ამ წამახული წვერით სიფათს გაგილამაზებთ.

სტენლი. ჰო, როგორ არა.

ბლანში. ნახავთ. აბა, გაბედეთ...

სტენლი. ااا... გასაგებია... დაე, მუსიკის თანხლებით მოკვდე, არა? კეთილი, ნება თქვენია (თავს დაესხა ქალს, მაგიდა გადააქცია. ბლანში კივილით მოუქნევს ბოთლის ნამტვრევს, მაგრამ სტენლი მაჯაში ჩაავლებს ხელს). ერთი ამ ანჩხლ კატას დამიხედეთ, გაუშვი ხელი მაგ ბოთლის ნამტვრევს! ეს პაემანი ჩვენ პირველივე ნახვიდან დავგეგმეთ.

ბლანში აკვნესდა. ბოთლის ნამტვრევი იატაკზე ეცემა. ქალი მუხლებზე დაეცემა. სტენლი მის მომჩვარულ სხეულს ხელში აიტაცებს და საწოლისკენ წაიღებს.

„ოთხ ორიანში“ საყვირის ხმამ ჰაერი გააპო და ხმაურიანი დასარტყამიც შეუერთდა.

მეთერთმეტე სურათი

რამდენიმე კვირის შემდეგ.

სტელა ბლანშის ბარგის ჩალაგებით არის გართული. საბაზანოში წყალი ხმაურით მოჩუხჩუხებს.

სამზარეულოსა და საძინებელს შორის პორტიერი სანახევროდ არის გადაფარებული – კარგად მოჩანან სამზარეულოს მაგიდას შემომსხდარი მეპოკერეები: სტენლი, მითჩი, სთივი, პაბლო. სამზარეულოში ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც იმ ავბედით ღამეს, როცა პოკერის თამაში ცუდად დაუმთავრდათ – იგივე ატმოსფერო, უხეში მამაკაცური თავყრილობა მთელი თავისი უდიერი გამოვლინებებით. თავად სახლი, მთელი შენობა, თითქოს ჩარჩოშია ჩასმული და ლაჟვარდოვანი ცაში ჩადგმული. სტელა სამგზავრო ჩანთაში ბლანშის ფერად კაბებს ერთიმეორეზე მიყოლებით აწყობს და ტირის.

კიბეზე იუნისი ჩამოდის, სამზარეულოში შედის. მოთამაშეები უფრო ხმამაღლა აყაყანდნენ.

სტენლი. სთრეითის იმედი მქონდა და გავარტყი კიდეც, ღმერთია მოწმე!

პაბლო. ალდიტა sea tu suerte![8]

სტენლი. ადამიანურად ილაპარაკე, შე გრიზერო! [9]

პაბლო. დღეს რა გიმართლებს, შე ძაღლიშვილო!

სტენლი. (სრულიად თვითკმაყოფილი) ნეტავი, რა გაგეგებათ გამართლებისა? წარმატება იმისია, ვინც მისი ფასი იცის, და არა იმისი, ვინც ყოყმანობს. თუნდაც სალერნო გავიხსენოთ... დარწმუნებული ვიყავი, გამიმართლებდა. ცხადია, ხუთიდან ოთხი რომ ამეღო, არაფერი დამაკლდებოდა – უბრალო გათვლაა, რა. მე კი ჩემებურად მოვიქეცი და იმიტომ გამიმართლა. ეგეთი წესი მაქვს. თამაშში იმას გაუმართლებს, ვისაც სჯერა საკუთარი წარმატების!

მითჩი. ამისმა თავის ქებამ ხომ წაიღო რა ტვინი! სულ „მე“ გაკერია პირზე... მე ასე, მე ისე... გეყო, რა!

სტელა საძინებელში გავიდა, ბარგს ალაგებს.

სტენლი. რა სჭირს?

იუნისი. (მოთამაშეებს ჩაუვლის) სულ იმას გავიძახი – კაცები უსულგულო არსებები არიან, მაგრამ ასეთის მნახველი არა ვარ. ამ დონეზე დაცემა უბრალოდ ღორობაა (საძინებელში შევიდა)!

სტენლი. ან ამას რა ეტაკა?

სტელა. ბავშვი როგორაა?

იუნისი. ანგელოზივით სძინავს. აი, ყურძენი ჩამოგიტანეთ. (რამდენიმე მტევანი სკამზე დადო. ხმას დაუწია) ბლანში რას შვრება?

სტელა. საბაზანოშია.

იუნისი. როგორ არის?

სტელა. არაფერს ჭამს, მხოლოდ დასალევს ითხოვს.

იუნისი. როგორ შეატყობინეთ?

სტელა. ვუთხარი, რომ მოვილაპარაკეთ... რომ ბუნების წიაღში დასვენება არ აწყენდა. მან ეს ყველაფერი გონებაში გადახარშა და შეფ ჰანთლის დაუკავშირა.

ბლანში. (ოდნავ გამოაღო სააბაზანოს კარი) სტელა!

სტელა. რა იყო, ბლანშ?

ბლანში. სანამ აბაზანას ვიღებ, ვინმემ რომ დამირეკოს, ნომერი ჩაიწერე და უთხარი, ახლავე დაგირეკავს-თქო.

სტელა. ვეტყვი.

ბლანში. ერთი ნახე რა, ჩემი აბრეშუმის ყვითელი კოსტიუმი ხომ არ დაიკუჭა – გრილია და მაგას ჩავიცვამ. საყელოზე ზღვის ცხენს გავიკეთებ – ვერცხლის გულსაბნევი რომ მაქვს ფირუზით. გულის ფორმის კოლოფში მოძებნე, წვრილმანი ბიჟუტერია მიყრია მანდ. კიდევ რა, სტელა... იქვე – ოღონდ კარგად ნახე, ხელოვნური იების კონა უნდა იყოს. ჟაკეტზე მივიბნევ ზღვის ცხენთან ერთად (კარი დახურა).

სტელა. (იუნისისკენ შეტრიალდა) არ ვიცი, სწორად ვიქცევი თუ არა...

იუნისი. მეტი რა გზა გაქვთ?

სტელა. ბლანშის მონაყოლი რომ დავიჯერო, მერე სტენლისთან როგორღა დავრჩე? როგორღა ვიცხოვრო ქმართან?

იუნისი. ჰოდა, ნუ დაიჯერებთ, ცხოვრებას მაინც ვერ შეცვლით და... რაც უნდა მომხდარიყო, თქვენი ჭაპანი მაინც თქვენი გასაწევია.

ბლანში. (სააბაზანოს კარს ისევ გახსნის ოდნავ) უცხო ხომ არავინ არის?

სტელა. არავინ არის, ბლანშ. (იუნისს) უთხარით, რომ დღეს ძალიან ლამაზად გამოიყურება.

ბლანში. პორტიერი გადასწიეთ რა, გამოსვლა მინდა.

სტელა. გადაწეულია, გადაწეული.

სტენლი. ... რამდენი აგყავს?

პაბლო. წყვილად.

სთივი. სამი.

ბლანში (კარიდან შემოჭრილ ქარვისფერ სინათლეზე გამოჩნდება. წითელი ატლასის ხალათი აცვია, რომელიც ქანდაკებასავით ყოველ ნაკვთს გამოუკვეთს, ყოველ ხაზს, ახლა ის თვალისმომჭრელად ლამაზია, ტრაგიკულად მშვენიერი. უცებ პოლკის

მოტივი აჟღერდება, თითქოს ბლანშს თან ახლავს ეს მოტივი. შლეგიანივით გამოცოცხლდება, ისტერიკულად მომუშტავს ხელებს) ეს-ესაა თავი დავიბანე.

სტელა. ჰო?

ბლანში. ოღონდ, კარგად ვერ ჩამოვიბანე, მგონი...

იუნისი. რა ლამაზი თმა გაქვთ!

ბლანში. (შეიფერებს) პრობლემური თმა მაქვს. ხომ არ დამირეკეს? არავის ვუკითხავხარ?

სტელა. ვის უნდა ეკითხე?

ბლანში. შეფ ჰანთლის...

სტელა. არა, ჯერ არავის უკითხავარ.

ბლანში. უცნაურია. მე კი...

მისი ხმის გაგონებაზე მითჩს ბანქოიანი ხელი გაუშეშდა, ძლივს დაუშვა მაგიდაზე; ყურადღება გაეფანტა და უაზრო მზერა გაუხდა.

სტენლი. (მხარზე ურტყამს ხელს) ეე, გაიღვიძე!

ბლანშმა შეშინებულმა ასწია ხელი, თითქოს თავს იცავსო. უხმოდ, მხოლოდ ბაგით გამოთქვა იმ კაცის სახელი, ვისი ხმაც ეცნო. სტელამ გვერდით გაიხედა. ბლანში, ვერცხლის პატარა სარკით ხელში, მწუხარე სახით ადგილზე ქვავდება. ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს კაციობრიობის მიერ დაგროვილი მწარე ცოდნისა და გამოცდილების თანაზიარია. ბოლო-ბოლო თავს მოერია, მაგრამ ხმა აუკანკალდა. სადაცაა, ისტერიკა დაეწყება.

ბლანში. აქ რა ხდება (ჯერ სტელასკენ შეტრიალდება, მერე იუნისისკენ)?

მის ხმაში გაჟღერებულმა დაძაბულობამ ბანქოს მოთამაშეების ყურადღება მიიპყრო. მითჩმა თავი უფრო მეტად დახარა, სტენლიმ სკამი გასწია, თითქოს ადგომას აპირებსო. სთივი დამამშვიდებელი ჟესტით მხარზე ხელს ადებს.

(ისევ იმავე ხმით) რა მოხდა აქ? ამიხსენით ვინმემ, აქ რა ხდება?

სტელა. (სადაცაა ძალა უმტყუნებს) ჩშშ! ჩუმად!

იუნისი. ჩუმად, საყვარელო, ჩუმად.

სტელა. გეხვეწები, ბლანშ.

ბლანში. რას მომჩერებიხართ ყველანი? რა ხდება ჩემს თავს?

იუნისი. რა თვალწარმტაცი ხართ დღეს, ბლანშ. მზეთუნახავს არა ჰგავს?

სტელა. ჰო, მართლაც.

იუნისი. თუ არ ვცდები, სადღაც გაგიწევიათ, ხომ?

სტელა. ჰო, ბლანშს ასე სურს. დასასვენებლად ვუშვებთ.

იუნისი. კეთილი შურით მშურს.

ბლანში. ჩაცმაში მაინც მომეხმარეთ!

სტელა (კაბას აწვდის) შენ ხომ ამის...

ბლანში. კეთილი, ეგ იყოს! ერთი სული მაქვს, აქედან თავი დავაღწიო... სახლი კი არა, ხაფანგია პირდაპირ.

იუნისი. რა მშვენიერი ლურჯი ჟაკეტი გქონიათ.

სტელა. იასამნისფერია.

ბლანში. ორივენი ცდებით. ეს ფლორენციული ლაჟვარდისფერია. ასეთი ფერის კაბები აცვიათ მადონებს ძველი ოსტატების ნამუშევრებზე. ყურძენი გარეცხილია (იუნისის მოტანილი მტევნიდან მოწყვეტს ორიოდე მარცვალს)?

იუნისი. ჰა?

ბლანში. ეს ყურძენი გარეცხილია-მეთქი?

იუნისი. ფრანგული ბაზრიდან არის.

ბლანში. მერე ეგ ხომ გარეცხილს არ ნიშნავს.

ტაძრის ზარები რეკავენ.

აი, ტაძრის ზარებიც ახმიანდა... ერთადერთი სიწმინდე თქვენს უბანში. აი, უკვე მზად ვარ, წავალ ბარემ..

იუნისი. (ჩურჩულით) ნახე თუ მანადე არ წავიდეს, სანამ მოაკითხავენ.

სტელა. მოიცა, ბლანშ.

ბლანში. ამათ თვალწინ გავლა არ მინდა.

იუნისი. მაშ, დაუცადეთ, სანამ მორჩებიან.

სტელა. ჩამოჯექი ცოტა ხანს.

ბლანში უხალისოდ შემოტრიალდება უკან. დაბნეულია. სტელა და იუნისი სავარძლისკენ უბიძგებენ, ის დაემორჩილება და ჯდება.

ბლანში. ასე მგონია, ზღვის სურნელი უკვე ჩემამდე აღწევს. დარჩენილ ცხოვრებას ზღვაზე გავატარებ. იქვე მეწევა სიკვდილიც. იცით, რა მომკლავს (მტევნიდან ერთ მარცვალს წყვეტს)? რა და ის, რომ ერთ მშვენიერ დღეს სადმე ღია ზღვაში გაურეცხავ ყურძენს შევჭამ. ჰოდა, სიკვდილის პირას რომ ვიქნები, ჩემი ხელი ვინმე ახალგაზრდა, ლამაზ გემის ექიმს ეჭირება, მას ექნება ქერა ულვაში და ეკეთება დიდი ვერცხლის საათი. ყველა იმას იტყვის: „რა უბედურია, ქინაქინამაც კი არ უშველაო. ამ გაურეცხავმა ყურძენმა გაისტუმრა იმქვეყნადო“.

ტაძრის ზარები რეკავენ.

ზღვაშივე დამკრძალავენ; თეთრ, ფითქინა სუდარაში შემახვევენ და ჩამიშვებენ... შუადღისას, შუა ზაფხულში... პირდაპირ ოკეანეში... ლაჟვარდისფერი...

რეკვა.

როგორც ჩემი პირველი სიყვარულის თვალის ფერი!

მოსახვევში ექიმი და ზედამხედველი ქალი გამოჩნდნენ. წინკარში შემოვიდნენ და საფეხურებზე ამოდიან. ორივე მათგანი საგანგებო მისიის შეგრძნებით არიან განმსჭვალული, რაც სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარ ადამიანებს ახასიათებთ. ექიმი რეკავს. ბანქოს მოთამაშენი წამიერად მიყუჩდნენ.

იუნისი. (სტელას ეჩურჩულება) ალბათ, ისინი უნდა იყვნენ.

სტელამ დამუშტული ხელები მიიჭირა ბაგეზე.

ბლანში. (მშვიდად დგება) რა ხდება?

იუნისი. (ყალბი უდარდელობით) თქვენის ნებართვით, ერთ წუთს დაგტოვებთ – გავიხედო, ვინ არის.

სტელა. კი, კი.

იუნისი სამზარეულოში გადის.

ბლანში. (ნერვიულად). საინტერესოა, მე ხომ არ მომაკითხეს?

შემოსასვლელ კართან ჩურჩულით საუბრობენ.

იუნისი (ბრუნდება. მხიარულად) ვიღაცამ ბლანშს მოაკითხა.

ბლანში. მომაკითხეს (შეშინებულ მზერას ხან ერთზე დაასრიალებს, ხან მეორეზე, ფრთხილად გახედავს პორტიერს)!

ძლივს გასაგონად აჟღერდა პოლკა.

ის ბატონი ხომ არ არის, დალასიდან, მე რომ ველოდი?

იუნისი. მგონი, ის უნდა იყოს, ბლანშ.

ბლანში. მომზადება ვერ მოვასწარი.

სტელა. სთხოვეთ, გარეთ მოიცადოს.

ბლანში. მე... (პორტიერს ამოეფარება) დოლის ჩუმი ხმა ისმის.

სტელა. ყველაფერი ადგილზეა?

ბლანში. ვერცხლის ნაკრები გვრჩება.

სტელა. უი, ჰო!

იუნისი (ბრუნდება) სახლთან იცდიან.

ბლანში იცდიან? მრავლობითში რატომ ამბობთ?

იუნისი. ქალბატონიც ახლავს და...

ბლანში. გადავირევი! ქალბატონიც ახლავს? როგორი ჩაცმულია?

იუნისი. როგორ გითხრათ... სადად... ჩვეულებრივ.

ბლანში. ეტყობა, ეს... (ღელვისგან ხმა ჩაუწყდება) სტელა. აბა, წავედით, ბლანშ?

ბლანში. იმ ოთახის გავლით?

სტელა. შენ გვერდით ვიქნები.

ბლანში. როგორ გამოვიყურები?

სტელა. გადასარევად.

იუნისი. (ექოსავით) გადასარევად!

ბლანში შიშით უახლოვდება პორტიერს. იუნისმა პორტიერი შიდა ოთახისკენ გასწია.

ბლანში. (სამზარეულოში შედის) ნუ ადგებით, გეთაყვა, უბრალოდ, გავდივარ (სწრაფი ნაბიჯით გადაიარა სამზარეულო და კარისკენ წავიდა).

სტელა და იუნისი გვერდიდან არ შორდებიან. მოთამაშეები უხერხულად წამოიწივნენ სკამებიდან – მითჩის გარდა... თავაუწევლად ზის. ბლანში უკვე ქუჩაშია. უცებ შედგა – სუნთქვა შეეკრა.

ექიმი. მოგესალმებით.

ბლანში. მე რომ თქვენ არ გელოდით (ამოიოხრა, უკან დაიხია, სახლისკენ).

გზა კართან მდგარმა სტელამ გადაუღობა.

(ელდანაცემი ეჩურჩულება სტელას) ეს რომ შეფ ჰანთლი არ არის.

სადღაც შორიდან პოლკა მოისმის.

სტელა დაჟინებით უყურებს ბლანშს. იუნისმა ხელკავი გაუკეთა. დუმილი; მხოლოდ კარტის აჭრის ხმა ისმის – სტენლი იქცევს თავს. ბლანში სუნთქვაშეკრული შეიპარა ოთახში. პირზე უცნაური, იდუმალი ღიმილი დასთამაშებს, ფართოდ გახელილი თვალები უბრწყინავს.

სტელამ და გაატარა, თვალები დახუჭა და ხელები ერთმანეთს მოუჭირა. იუნისმა დასამშვიდებლად მოხვია ხელი, მერე ზედა სართულისკენ გასწია.

ბლანში კარში გაიყინა. მითჩი ისევ თავდახრილი ზის, ხელები მაგიდაზე უწყვია. დანარჩენი კაცები კი ცნობისმოყვარედ შესცქერიან ბლანშს. როგორც იქნა, მან მაგიდას შემოუარა და საძინებლისკენ გაეშურა. სტენლიმ სკამი გასწია. ყველაფერზე ეტყობა, რომ ბლანშისთვის აქვს ხელის შეშლა განზრახული. ზედამხედველი ქალი ბლანშს კვალდაკვალ მიჰყვება.

სტენლი. რამე დაგრჩა?

ბლანში. (აგრესიულად, თითქმის კივილით) კი! კი, დამრჩა! რაღაც დამავიწყდა (ჩაუქროლა და საძინებელში შევარდა)!

ავისმაუწყებელი აჩრდილები და ლანდები ისევ აცეკვდნენ კედლებზე. ისევ აჟღერდა პოლკა, ოღონდ უფრო ყალბად, და ამ ხაზგასმულ სიყალბეში არის რაღაც შემზარავი დაცინვა. პოლკის ხმას არაადამიანური წივილი ერთვის, და ბლანშს ისევ ჩაესმის ჯუნგლების ხმა. ის დგას, თავდაცვის მიზნით სკამს ეფარება.

სტენლი. ექიმო, თქვენ მაინც შემოსულიყავით.

ექიმი. (ზედამხედველ ქალს ნიშანს მისცემს) დაიკო, აბა, გამოიყვანეთ.

ზედამხედველი ერთი მხრიდან შემოუვლის, სტენლი მეორე მხრიდან. ზედამხედველი ქალის სახესა და ფიგურაში ქალურობის დეფიციტია, რის გამოც მისი სტერილური თეთრი კაბა უადგილოდ გამოიყურება.

ზედამხედველი ქალი. (მისი ხმა უსიამოვნოდ ხვდება ყურს, მონოტონურია, როგორც სახანძრო მანქანის საყვირი) სალამი, ბლანშ.

ეს მისალმება ექოსავით მეორდება, და ექოს ექო – კედლის მიღმა იდუმალი ხმებია. უწყვეტი ექო მატულობს, ახლოვდება და ტალღებად მიგორავს ღრმა ხეობაში.

სტენლი. რაღაც დამრჩაო...

ახლა ექო მუქარანარევ ჩურჩულზე გადადის.

ზედამხედველი ქალი. არა უშავს. არა უშავს.

სტენლი. რა დაგრჩათ, ბლანშ?

ბლანში მე? მე...

ზედამხედველი ქალი. ეგ არაფერი, მერე წავიღოთ.

სტენლი. კაი, ბარგს ვინმეს გამოვატანთ.

ბლანში (სასოწარკვეთილი იხევს უკან) მე ხომ თქვენ არ გიცნობთ... საერთოდ არ გიცნობთ! არ მინდა... გამიშვით!... გთხოვთ, გეხვეწებით...

ზედამხედველი ქალი. ჰე, ბლანშ...

ექო (ყოველი მხრივ. ხან ახლოვდება, ხან შორიდან მოისმის) ჰე, ბლანშ, მიდი, ბლანშ!...

სტენლი. არაფერიც არ დაგრჩენიათ, გარდა გაგლესილი პუდრისა და სუნამოების გამოცარიელებული ფლაკონების... ბარემ ეს ქაღალდის აბაჟურიც გაიყოლეთ. არ გინდათ ქაღალდის აბაჟური (ტუალეტის მაგიდასთან მივიდა, ნათურიდან ქაღალდის აბაჟური მოგლიჯა და გაუწოდა)?..

ბლანშმა ისე იკივლა, თითქოს აბაჟური კი არა, თავად გაგლიჯეს ნაწილებად. ზედამხედველი მტკიცედ დაიძრა მისკენ. ბლანში ველური კივილით ხელიდან გასხლტომას შეეცადა. მაგიდასთან მსხდომი კაცები ადგილებიდან წამოხტნენ.

სტელა წინკარში გავარდება, იუნისი გაედევნება, რომ დააწყნაროს. სამზარეულოში მყოფი მამაკაცები ყაყანებენ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან.

სტელა (მოახლოებულ იუნისს მიეხუტება) ღმერთო, იუნის, მიშველეთ რამე! რას უშვრებიან? ასე როგორ უნდა ვაწვალებდეთ? ღმერთს გაფიცებთ, ნუ აწვალებთ, შეიბრალეთ! ამას რას უშვრებიან? ეს რას ნიშნავს? (იუნისისგან თავის დაღწევას ცდილობს) იუნისი. არა, არა, საყვარელო... არ გინდა, არ გინდა. იქ არ არის თქვენი ადგილი. აქ დარჩით, ჩემთან, ნუ იხედებით იქით...

სტელა. ეს რა გავუკეთე ჩემს დას, ღმერთო! ეს რა დავმართე!

იუნისი. აბა, სხვა რა გვექნა, რამე გამოსავალი გვქონდა? აქ ხომ ვერ დატოვებდით? წასასვლელიც არსად ჰქონდა, ქუჩაში ხომ არ...

მამაკაცების ხმა მატულობს და წინკარში მდგარი იუნისისა და სტელას საუბარს ფარავს.

სტენლი (სამზარეულოდან გავარდება) ეე, ექიმო! ერთი აქეთ შემოსულიყავით.

ექიმი. სამწუხაროა, ფრიად სამწუხარო. ჩვეულებრივ, ამის გარეშე ვამჯობინებ ხოლმე.

პაბლო. საშინელი ისტორიაა.

სთივი. ასე არ შეიძლება. გაეფრთხილებინათ მაინც...

პაბლო. ადრე de Dios! Cosa mala, muy, muy, mala! [10]

მითჩი საძინებელში შერბის, სტენლი გზას უჭრის, ხელს ჰკრავს და წინ უდგება.

მითჩი (გაცოფებული) ყველაფერი შენი მოწყობილია, შე ახვარო!

სტენლი. გეყო მიქარვა (ხელს ჰკრავს)!

მითჩი. მოგკლავ (მუშტებით დაესხა თავს)!

სტენლი. მომაცილეთ ეს ჩემისა!

სთივი (მითჩს ეტაკება ხელებში) გეყო! გეყო, მითჩ!

პაბლო. ჰოო... რა გინდა, რო ქნა...

მითჩი მოცელილივით დაემხობა მაგიდაზე და ტირის. ამასობაში ზედამხედველმა ქალმა ბლანშს ორივე ხელი ისე მაგრად ჩაავლო, რომ თავის დაღწევა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ბლანში სასოწარკვეთილი კივის და ზედამხედველს ფრჩხილებით ჩაჰფრენია. მაგრამ მსხვილ, ძლიერ ქალს ისე მაგრად უჭირავს, რომ ძალაგამოცლილი ბლანში კვნესით ეშვება მუხლებზე.

ზედამხედველი ქალი. მაგ ბრჭყალების მოქლიბვა მოგვიწევს (საძინებელში შესულ ექიმს შეხედა), დამამშვიდებელი პერანგი ჩავაცვათ, ექიმო?

ექიმი. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში (ქუდს იხდის და უსახური, უსულო არსების ნაცვლად უბრალო, ჩვეულებრივი კაცის სახეს გამოაჩენს. ბლანშთან

დაიხრება. მისი ხმა რბილად, დამამშვიდებლად ჟღერს, თითქოს არწმუნებს, რომ საშიში არაფერია).

როგორც კი ექიმმა ბლანშს სახელით მიმართა, ქალის შიში გარკვეულწილად განელდა. კედლებიდან ქრებიან საზარელი აჩრდილები, აღარც ჯუნგლების ავისმომასწავებელი, არაადამიანური ხმები ისმის, აღარც დამთრგუნველი კვნესა.

მის დადუბუა.

ბლანში შემობრუნდა და ვედრებით უყურებს ექიმს.

(გაიღიმა. ზედამხედველს) არა, დამამშვიდებელი პერანგი არ დაგვჭირდება.

ბლანში (ჩუმად) უთხარით, გამიშვას.

ექიმი (ზედამხედველს) გაუშვით.

ზედამხედველი ქალი ბლანშს გაუშვებს. მუხლებზე მდგარმა ბლანშმა ექიმს ხელი გაუწოდა. კაცი ფრთხილად აყენებს, ხელმკლავს გაუყრის და საძინებლიდან გაჰყავს.

ბლანში (მასზე მიყრდნობილი) რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ხართ... მთელი ცხოვრება პირველი შემხვედრის სიკეთეზე ვიყავი დამოკიდებული.

მოთამაშეებმა, როცა სამზარეულოში შემომავალი ბლანში და ექიმი დაინახეს, უკან დაიხიეს. ბლანში სრულიად მინდობილი, ბრმად მიჰყვება ექიმს. როდესაც წინკარს გასცდებიან, აცრემლებული სტელა საფეხურზე ჩამოჯდება და ყვირის: „ბლანშ! ბლანშ! ბლანშ!“ ბლანში უკანმოუხედავად მიდის. თან მიჰყვებიან ექიმი და ზედამხედველი.

აი, მოსახვევში გაუჩინარდნენ, წავიდნენ. იუნისი სტელასთან ჩამოდის, ხელში ცისფერ საბანში შეფუთნილი ბავშვი უჭირავს. სტელამ სლუკუნით გამოართვა ბავშვი. იუნისი ისევ სამზარეულოში შევიდა, სადაც მამაკაცებს, სტენლის გარდა, მაგიდასთან თავიანთი ადგილები ჰქონდათ დაკავებული.

სტენლი (წინკარში გავიდა, საფეხურზე გაჩერდა, ცოლს უყურებს. გაუბედავად) სტელა...

სტელა თავშეუკავებლად, გულამომჯდარი მოთქვამს. ტირილი შვებას ჰგვრის – ახლა მოურიდებლად შეუძლია დის დატირება, რომელიც მისთვის უკვე აღარ არსებობს.

(შეპარებით, რბილად) კარგი, გეყოფა, საყვარელო! გეყო... არა უშავს... არა უშავს... (მის წინ მუხლებზე დაეშვა, თითები დეკოლტეში შეუცურა) გეყო ახლა, ფისო! არა უშავს, არა უშავს...

მისი ტირილი – უკვე ტკბილი ცრემლებია! – და სტენლის ჩურჩულს „ლურჯი პიანინოს“ აკორდები და საყვირის ხმა შთანთქავს.

სთივი. უტვინო თავი ფეხებს ძალას აყენებდაო.

ფარდა

[1] არაფრის - ესპ.

[2] ბელ-რივი – ოცნება. იტალიურად – ლამაზი სანაპირო.

[3] ცხოვრების ხალისისა (ფრ.).

[4] მე ვარ ქალი კამელიებით. თქვენ კი... არმანი (ფრ.).

[5] ამაღამ ჩემთან დაწოლა არ გსურთ? აჰ, არ გესმით ფრანგული? რა დასანანია!

[6] სიმინდის მჭადი, სულ უმარილო, სიმინდის მჭადი სულ უმარილო. (ესპ.).

[7] ყვავილები. ყვავილები. ყვავილები მიცვალებულთათვის. ყვავილები. ყვავილები... (ესპ.).

[8] არ მიმართლებს.

[9] გრიზერი - მექსიკელთა დამცინავი წოდება აშშ-ში.

[10] ღვთისმშობელო, ეს რა უბედურებაა, რა საშინელებაა (ესპ.).